ვფიქრობ, ალბათ, არამარტო მე. რაკი ისტორიული თხზულებების ავტორი, ჯერჯერობით, დადგენილი არ არის, მას პირობითად დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს უწოდებენ; ისე კი, გამოთქმული ვარაუდით, იგი არსენ იყალთოელი უნდა იყოს – ცნობილი ქართველი მეცნიერი, ფილოსოფოსი, საეკლესიო მოღვაწე, დავითის თანამედროვე და, რაც მთავარია, დავითის თანამოაზრე, „განმზრახი“, მრჩეველი და იდეების თანამოზიარე, მისი თანამებრძოლი და „თანაგამკაფელი“; ამიტომაც აქვს მის შესანიშნავ თხზულებას დიდი ემოციური ზემოქმედების ძალა, ამიტომაც გორგუნავს და თხემით ტერფამდე აღწევს, განაჯღრევს, გაფიქრებს, მოსვენებას ვიკარგავს, და სულ „ქურში წივის“ – „ნათე-

1. „ქართლის ცხოვრება“, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი



სავი ქართველთა ორგულ ბუნება არს!... “ დავითის ისტორიკოსის (არსენ ივალთოელის) ნათქვამი რომ არის, ის გვიკლავს გულს, თორემ სხვას რომ ეთქვა, რაგინდ დიდი ავტორიტეტი ყოფილიყო, ეგებ ყურადღება არც მიექცია კაცს... ამის თანები უთქვამთ?!

ავი დღე დამადგა. თუმცა, როგორც ჩვენი საყვარელი პოეტი ამბობს, „მე ვინა მკითხავს განსჯას ბრძენკაცის მარცხისას?“<sup>2</sup>

„ყურში იწივლებს კრწანისი  
განაჩენივით,  
ასიოდ მხედრით თბილისით  
უკუქცეული,  
შემებრალება საწყალი  
მამაჩემივით  
ერეკლე, სულკურთხეული.“<sup>3</sup>

საიდან სადაო?! – იკითხავთ გაცრებულნი, – იქიდან, ჩემო ძვირფასო ქართველო, რომ ყველა შემთხვევაში ჩვენი ეს ტკივილი, ქართულია ეს სევდა, ეროვნულია ეს ჭრილობა და ხან სად მონახავს ფონს და ხან – როგორ.

ან იქნებ მეც სულკურთხეული მამაჩემივით შემებრალება „ნათესავი ქართველთა“ და... საკუთარი თავიც?!

ბუნებით ფაქიზია ქართველი კაცი და მუდამ საღბუნს ითხოვს მისი იარა; იარა კი ღრმა არის, წარსულიდან მოდის და მისგან იღებს სათავეს... „წარსული წარსულში არ რჩება“,<sup>4</sup> ის აწმყოშიც არის, არასოდეს კვდება, მუდამ თან გვდევს და წარუშლელ კვალს ტოვებს ჩვენს ცხოვრებასა და ფსიქიკაზე. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, თანამედროვე ადამიანს ცალი თვალი მაინც წარსულისკენ გაუბრუნებს და ფიქრი იმისა, როგორები იყვნენ ჩვენი წინაპრები, რას იფიქრებდნენ და როგორ მოიქცეოდნენ ჩვენს ადგილას, მოგვიწონებდნენ თუ არა საქციელს, მოსვენებას არ აძლევს განმსჯელ და მოფიქრალ ადამიანს!

„ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს“, – თქვა სულკურთხეულმა თითქმის 900 წლის წინ და, ალბათ, არ იფიქრა, რა საშვილიშვილო იარაღ დააჩნდებოდა მისი

ნათქვამი შთამომავლობას, რა მიმედ სატარებელი ჯვარი იქნებოდა ის შემდგომი თაობებისთვის...

ქართველი კაცი ბუნებით იმთავითვე ორგულია თავისი ბატონის მიმართ, რადგან როგორც კი განდიდება, გამდიდრდება, დიდებასა და „განსუენებას“ მოიპოვებს, ბოროტის განმზრახველი ხდება, როგორც მოგვითხრობს ქართლის ძველი მატყანე. „საქმენი აწ ხილულნიო“, – წერს დავითის მემატყანე, როცა ლიპარიტ ბაღვაშის დალატსა და ორგულობაზე მიუთითებს. აქედანვე ჩანს, რომ ქართველების ორგულობის, როგორც მათი თვისობრივი მახასიათებლის, უტყუარობას, ავტორი ქართლის ძველი მატყანით იმოწმებს და საკუთარი თვალთ დახახული რეალობითაც. როგორ გავივით უამთააღმწერლის ეს მოსაზრება, მაინც რამ ათქმევინა ეს იმ დალოცვილს?

მოუხსნით „ქართლის ცხოვრების ქრონიკებს“, სადაც ავტორი, ვახტანგ ჭელიძე, თავის მხრივ, ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებას ეფრდნობა. დიდი ისტორიკოსი წერს: „მემატყანე, რომელიც, ამავე დროს, მეფის (იგულისხმება დავით IV აღმაშენებელი. ა. მ.) უახლოესი ადამიანი და თანაშემწე, ბაღვაშის დალატის მღელვარე ეპიზოდების მოწმე და თვითმხილველია, ვიდაცას ცხარედ ეკამათება. ეს „ვიდაცა“ ერთი და ორი კაცი არ არის, ეს მთელი ჯგუფია, გაგლენიანი საზოგადოების დიდი ნაწილი, რომელნიც ბოროტ ხმებს ავრცელებენ (ანუ „მბარალთბელნი“ არიან), რაკი დავითმა მათი თანვებობა ალაგმოს.“<sup>5</sup>

ცხადზე უცხადესია, რომ მემატყანე, მეფის ერთგული მეგობარი და თანამებრძოლი, ვერ და არც იქნება ამ საზოგადოების, გნებავთ, ჯგუფის, მესობზე. უფრო მეტიც: ის დაუძინებელი მოწინააღმდეგეა ყველა იმ პიროვნებისა, ვინც მის სათაყვანებელ მეფეს ამხედრებია და ბრადღებაც ამიტომ ხომ არ გამოვიდა ასეთი მკაცრი?

კალამი ხომ არ გაექცა დავითის მისტორიკოს?

მეფისადმი განსაკუთრებულმა,

გამორჩეულმა სიყვარულმა და მისი საქმეებით აღტაცებამ, ხოლო ლიპარიტის, როგორც დავითის წინააღმდეგ „ადრულის“, დაკინების სურვილმა პირუთვნელობის განცდა ხომ არ შეუსუსტა აღმაშენებლის თანამებრძოლსა და მეგობარს? ლიპარიტი ხომ მისი თანამედროვეა და იქნებ ეს გზა გამოიხატა კალმოსანმა მის გამოსაფხიზლებლად, დასამუნათებლად, სამხილებლად?

თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ამ ისტორიული ჭრილისთვის (გეგულისხმობ ფეოდალური საქართველოსათვის დამახასიათებელ ურთიერთქმედებებს), უცხო არ არის ის, რომ დიდი ფეოდალი, ხოლო ბაღვაში დიდი ფეოდალია, მუდამ ებრძვის მეფეს, რომელშიც ის სულაც არ ხედავს თავის თავზე დიდსა და აღმატებულს, მეტიც – თავის ცოლად და სწორად მიუჩნევია, მეტისმეტი ხომ არ მოუვიდა ისტორიკოსს მთელი ერისთვის ასეთი დაქლის დასმით?

ილია ბრძანებს: „ერი, როგორც კრებულნი ისტორიით შედუღებულ ერთ-სულ და ერთ-ხორც მკვიდრთა, ყოველ პატიოსანისა და ჭკუათმყოფელ ადამიანისაგან უნდა პატივცემულ იყოს ყოველ შემთხვევაში, და მისი ასე თუ ისე... ავად ხსენება დიდად სათაკილო საქციელია. ყოველ ერს თავისი საკუთარი სახე აქვს, თავისი საკუთარი გულისთქმა, თავისი წადილები, თავისი სულთასწრაფვა, თავისი ღირსება. ამავების შეგინება ერთი იმისთანა სიბრიყვეა, რომელიც გონებაგახსნილს ადამიანს არ ეპატიება, არ შეუენდობა. ეს ჩვენ კარგად ვიცით და ღმერთმა გვაშოროს იქ მთელი ერი ვიგულისხმობთ, საცა მარტო ერთგვარი გუნდია ცოდვილი. აი, საფრთხე სწორედ აქ არის, აი, აქედამ მოველით იმ მტვერ-ბუქსა, იმ კუდიან ქარსა, რომლის აყენებას არ მოერიდება იგი ერთგვარი გუნდი, რომ კაცს თვალეუბი დაახუჭვინოს, თვალეუბი აუბას.“<sup>6</sup>

„ქართლის ცხოვრების ქრონიკებში“ ვახტანგ ჭელიძე ქართველთა მემატყანი სეულ შეფასებას ასე ხსნის: „ეს სიტყვები („ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს...“ ა.მ.) ნუ შეგვაშფოთებს და ნუ დაგვაფიქრებს. ეს ორატორული ხერხია: მაგრად უნდა შეანჯღრიოს მოწინააღმდეგე, ვისთანაც პოლემიკა გაუმართავს; მკითხველიც

2. „კრწანისის სევდა“, მურმან ლებანიძე  
3. „კრწანისის სევდა“, მურმან ლებანიძე  
4. „სული აღმაშენებელი“, ჯანსუღ დვინჯილია  
5. „ქართლის ცხოვრების ქრონიკები“, გ. ჭელიძე  
6. „ქვათა დაღაღი“, ილია ჭავჭავაძე

უნდა შეარხოს და დააფიქროს, გული დაწვეტიოს, გააბრაზოს კიდევ იმ ხალხზე, რომელსაც თანამართს ქვემოთ უფრო კონკრეტულად იტყვის. ამიტომაც ნუ შეგვაშო ფოთებს ეს სიტყვები, ეს რა თქმა უნდა, საერთოდ ქართველებს არ ეხებაო.<sup>7</sup>

გაგიხარიათ, ჩვენც ეს გვიანდა, თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიკოსის მისია მკითხველის შერხევა, დაფიქრება, გულის დაწვევა და გაბრაზება კი არ არის, არამედ ის, რომ ობიექტურად, პირუთვნელად, ყოველგვარი მიმხრობისა და შელამაზე ბის გარეშე ფაქტები აღნუსხოს და გადმოსცეს. ე. ი. გამოდის, რბილად რომ ვთქვათ ჩვენი საყვარელი პიროვნება (დავითის ისტორიკოსი, რა თქმა უნდა) ცოტა ტენდენციურიც უნდა იყოს (აკ. ნიკო ბერძენიშვილი, დავითის ისტორიკოსს „პარტიულს“ უწოდებს).

დაგვაგვიანდა, მაგრამ „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს!“ – მინდა გავაფრთხილო ჩემი მკითხველი, რომ ამ წერილს არ აქვს ვინმეს განქიქების მიზანი. დემოთმა დაგვიფაროს ამგვარი კადნიერებისაგან! გვესმის, რომ უმადურ საქმეს მოგვიდეთ ხელი, ვიცით გამოჩნდებიან ოპონენტები, რომლებიც იტყვიან მოლაღატის დაცვა განუხრახავთო, მაგრამ კიდევ ერთხელ გვიანდა განვაცხადოთ, რომ ჩვენი მიზანი ვინმეს დაცვა ან გამართლება კი არ არის, არამედ „ქმნა მართლისა სამართლისა“. ჩვენი მოკრძალებული მიზანია, შეძლებისდაგვარად გავარკვიოთ ის მიზეზები, რამაც ქართველთა ერთგულებაში ეჭვი შეატანა XII საუკუნის ისტორიკოსს. ეს სიტყვები ნუ შეგვაშოფოთებსო, ეს, რა თქმა უნდა, ყველა ქართველს არ ეხებაო, – ამბობს „ქართლის ცხოვრების ქრონიკების“ ავტორი, მაგრამ თავადაც ეტყობა, რომ თავს იმშვიდებს – არ ვიდარდოთ, ეს ჩვეულებრივი ორატორული ხერხია, პოლემიკის ერთ-ერთი ნაირსახეობაო. „არ ვიდარდოთ“ – ამას ის იტყვის, ვინც კარგად იცის, რომ ნამდვილად გაუნდებია ქართველ კაცს დარდის მიზეზი. ხოლო, რაც შეეხება მოწინააღმდეგის „შენჯღრევას“, მისი არ ვიცი და ამ „ორატორულმა ხერხმა“ ჩვენ რომ გვარიახად „შეგვან-

ჯღრია“, „შეგვარხია“ და „დაგვაფიქრა“, „გაგვაბრაზა“ და „გულიც დაგვწვეტიან“, ეს კი უდავოა. პოდა, სწორედ იმიტომ, რომ მავანმა არ იყველავალს – აი, რას ფიქრობდა ქართველ ერზე ისეთი უბადლო გონებისა და ნიჭის პატრონი და უხადო პატრიოტი, როგორც დავითის ისტორიკოსი იყო. დასახმარებლად კვლავ ილიას მივაშურე, სახელდობრ, მის პუბლიცისტურ წერილ „ქვითა დადაღს“. აი, რას წერს დიდი ქართველი:

„ჩვენისთანა დაბრძოლებული, დაბალ ღობედ მიხეული ერი, ჩვენისთანა სახელ გატეხილი, ძნელად თუ სხვა მოიპოვება დედამიწის ზურგზე. ვინც გნებავთ, ან ზედ გვაბოტებს, ან გექვლავს და მიწასთან გვასწორებს. ღამის კავკასიის ქედს აქეთ ჩვე ნი სხენება გააჩანაგონ, ქართველების სახელი დედამიწის ზურგიდამ აღგავონ და ჩალასავით ქარს გაატანონ, თითქოს არც ოდესღაც ვყოფილვართ, არც დღესა ვართ... სულით დაბლანი, ჭკუაგონებით ჩლუნგნი, ზნეობადაცემულნი, სულელნი, უსწავლელნი, გაუნათლებელნი, გადატაკებულნი, ფლიდნი, პირისგამტეხელნი, მხდალნი – ლაჩარნი – აი, ჩვენის სულიერ და ხორციელ ავლა-დიდების სურათი! აი, რანი ვყოფილვართ, რანი ვართ დღეს იმათის სიტყვით, ვისაც ასე თვისდა სასარგებლოდ მიუნწევია ჩვენის სახელის გატეხა, ჩვენი მიწასთან გასწორება. წერით თუ სიტყვით, შინ თუ გარეთ წელებზე ფეხს იდგმენ, რომ ქვეყანა დააჯერონ, ვითომც ჩვენ სწორედ ასეთი უხეირონი და უდირსნი ვყოფილვართ და დღესაც ასეთნივე ვართ, თუ არ უარესნი“.<sup>8</sup>

ჩემო კეთილ მკითხველო, ამ ჩამონათვალს „პირველითგანვე ბუნებით ორგულობაც“ თუ დაემატება, მერე გინდ გაბრაზდი, გინდ – არა, გინდ დაფიქრდი, გინდ – არა, გინდ გეტკინოს, გინდ – არა...

ილიას მიერ შეფასებული XIX საუკუნის II ნახევრის საქართველოს მდგომა რეობა და ის უსახომო ლაფი და ტალახი, რასაც ასე მონდომებით ესროდა ქართველს ათასი ჯურის ვიკინდარა, მხოლოდ იმ ეპოქაში რომ დასრულდებოდა, რომელზეც დიდი მამუ-

ლიშვილი წერს, კიდევ აიტანდა კაცი, მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს კიდევ უფრო აქტუალურია ქართველი ადამიანის დაკნინებისა და სახელის გატეხის „სანუკვარი“ საკითხი, რასაც ხელს უწყობს ქართველების ეროვნული თვითშეგნების დაქვეითება. ბევრი მექანიკურად იმეორებს სხვებისაგან ჩაძახილს – ქართველები გაუტანლები არიან, ისინი ხომ აუცილებლად ვიღალატებენ, ქართველთან საქმის დაჭერა არ შეიძლება, ქართველი ხომ ქართველს სიამოვნებით კლავს, მაშინ, როდესაც მართლაც რომ გაუტანლობით, მოლაღატური ბუნებით ცნობილი ხალხები თავიანთ თავს ვაჟაკებად და ერთგულებად წარმოგვიდგენენ.

საქართველოს ისტორია დაღატის ბევრ მაგალითს იცნობს: მხარგრძელები, მაკანბერძელები, ყორღანაშვილები, გორგიჯანაშვილები, ჭანუაშვილები, არარატიან ცეხი და სხვა, მაგრამ დაღატის ყველა ეს მაგალითი უკანა პლანზე გადადის, თითქოს შეგნებულად არის მიჩქმალული, ხოლო ლაფისა და ჭუჭყის გუნდად ბაღვაშებისა და სააკაძის სახელებს ისვრიან, რომელთა საქციელიც, ჩვენი ღრმა რწმენით, დაღატი კი არა, ფეოდალურ-კლასობრივი ბრძოლის კლასიკური ნიმუშებია. ხოლო მეფის ხელისუფლებისადმი დაპირისპირება და თუნდაც მის წინააღმდეგ ბრძოლა სრულიად არ ნიშნავს ორგულობას და ქვეყნის დაღატს, მითუმეტეს, რომ „მეფის ტიტული შეიძლება ჰქონდეს უდირსსა და ხალხისთვის უსარგებლო ადამიანს – რამდენი ამისთანა მაგალითი შეგვიძლია დავასახელოთ“.<sup>9</sup> ასე რომ არ იყოს, მაშინ ინგლისის და საფრანგეთის ისტორიაში კარგად ცნობილი ოლიგერ კრომველი და თუნდაც ნაპოლეონ ბონაპარტე მოლაღატეები ყოფილან ინგლისელი და ფრანგი ხალხებისა და არა ეროვნული გამირები, რომელთაც მთელი პროგრესული კაცობრი ობსცემს პატივს და მსოფლიო ისტორია მათი და მათი დეაწლის გარეშე წარმოუდგენელია.

ახლა განვმარტოთ, რას ნიშნავს საკუთრივ სიტყვა „ორგულობა“ და მივსადა გება თუ არა იგი ბაღვაშთა საქციელს, ანუ ადამიანის იმ თვისებებს, რომელთაც ბაღვაშები ავლენენ მეფის, ან, გნებავთ, მისი ხელისუფლების მიმართ.

7. „ქართლის ცხოვრების ქრონიკები“, გ. ჭკელიძე

8. „ქვითა დადაღი“, ილია ჭავჭავაძე

9. „ქართლის ცხოვრების ქრონიკები“, გ. ჭკელიძე, ტომი 1, გვ. 22



ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (1960 წ. არნოლდ ჩიქობავას რედაქციით) ჩვენთვის საინტერესო სიტყვის ასეთ განმარტებას ვხვდებით: ორგულობა – ორპირობა, ვერაგობა, მუხანათობა.

სულხან-საბას „სიტყვის კონაში“<sup>10</sup> „ორგულობის“ უკეთ გაგებასათვის, მითითებულია მათეს სახარების 23-ე თავის მე-14 მუხლი, სადაც მაცხოვარი ჩვენი უფალი იესო მიმართავს მწიგნობრებს, ფარისევლებსა და თვალთმაქცებს, რომელთაც „გადასჭამეს ქვრივთა სახლები და მოსაჩვენებლად დიდხანს ლოცულობენ“.

მკითხველი ალბათ მიხვდა, რატომ ვუღრმავდებით ამ საკითხს ასე ძირისძირ. ცხადია, ბაღვაშები მეფისა და მისი პოლიტიკის მოწინააღმდეგეები არიან, უფრო მეტიც – ისინი მტრობენ მეფეს, არ ეთანხმებიან, არ ეუფებიან მას, მაგრამ ისინი პირისპირ, შეუფარავად, აშკარად მტრობენ და ებრძვიან მეფეს და არა – მუხანათურად, არა – ზურგს უკან და არა – მხაკერულად! ამიტომ გვებადება კითხვა: რატომ არის ბაღვაშთა საქციელი „ორგულობა“?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბაღვაშთა მტრობის მთელი ეს სამწუხარო ეპოპეა მხაკერულ, ზურგს უკან მიმართულ-ამოფარებული მტრობა კი არ არის, არამედ აშკარა და დაუფარავი დაპირისპირება ორ აღმატებულ წოდებას შორის, რაც, რასაკვირველია, ჩვენს აღფრთოვანებას არ იწვევს, თუმცა ეს არც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ადამიანის, ან, განებათ, მთელი დინასტიის ერთი თვისება, ერთი მანკიერება მთელ ერზე დაბეჭდვით ვრცელდებოდეს.

მაგანი იკითხავს (იპოვებიათ კაცნი, სამწუხაროდ, არცთუ ცოტანი!) განა მეფე და დიდი ფეოდალი ერთ სიბრტყეზე განიხილება? მეფე ხომ მირონცხებულა, მისი, როგორც უხენაესი მმართველის, სიტყვა ხომ კანონია, ხოლო ყველა ის, ვინც მას ეწინააღმდეგება, უხენაესი კანონის დამრღვევია და სამშობლოს მოღალატე?!

ვფიქრობ, აქ საკამათო არაფერია: მეფე, რა თქმა უნდა, მირონცხებულა, უხენაესი მმართველია ერისა

და სწორედ ეს ღვთიურობა გამოარჩევს მას სხვათაგან, თუნდაც დიდ და წარჩინებულ ფეოდალთაგან (რომ არაფერი ვთქვათ „უაზნოებზე“), მაგრამ მეტადრე მოეთხოვება მას ქვეყნის ღვთიური განგებულებით მართვა, ასწილად და ათასწილად ევალება მას ერის გონიერი მწყემსობა, იმ ერისა და ქვეყნისა, რომელიც მას სამართავად ღმერთმა უბოძა! და რამდენადაც მირონცხებული და ღვთისგან გამორჩეულია, იმდენად ხამს, მართებს და ევალება!!! ისევე ვიმეორებ: „მე ვინა მკითხავს განსჯას ბრძენკაცის მარცხისას“, მაგრამ აქვე დავძენ: ყოველთვის იხენდა კი ბრძენკაცობას ზოგიერთი ქართველი მეფე? ქვეყნისათვის საჭირო დროს, საჭირო ადგილას ყოველთვის იყვნენ კი ისინი უებრონი, ბრძენნი, სამართალმოუწვდომელნი? ჩვენი აზრით, არა და სწორედ აქ არის ძაღლის თავი დამარხული: ერთი რომელიმე „პასაკისა გამო“ სუსტი მეფის შეცდომასა თუ უგზურებაზე, ან ამპარტავან ფეოდალთა გულარძნილობასა და ქვეგამხედვარეობაზე რატომ უნდა აგოს პასუხი მთელმა ერმა და სამუდამოდ დაიდალოს?! „მსგავსი არამზადები ხომ არა თუ ერს, კაცობრიობასაც აღარ ეკუთვნის“.<sup>11</sup>

„ეროვნული თვითკრიტიკა სასარგებლო საქმეა, მაგრამ იგი საკუთარ ერზე ცილისწამებაში არ უნდა გადაიზარდოს“.<sup>12</sup>

ჩვენი წერილის მთავარ საკითხს მივუბრუნდეთ: მაინც რამ ათქმევინა ეს მწარე სიტყვები დავითის ისტორიისთვის? საამისოდ ისტორიას უნდა ჩავუღრმავდეთ, კერძოდ, იმ პერიოდს, ვიდრე დავითის ისტორიკოსი ამ დასკვნას გააკეთებდა.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, დავითის ისტორიკოსი მეფის თანამედროვეა, მისი თანამოაზრეა და მთელი მისი მსჯელობა მიმართულია ბაღვაშების დაპირისპირებაზე დავითთან. არადა, როგორც ჩვენ ვიცით, ამ დაპირისპირებას უფრო ღრმა ფესვები აქვს და შორეული წარსულიდან მოდის. ამიტომ კიდევ ერთხელ გავისხენოთ ბაღვაშების ვინაობა და ის მღვლავარე ეპიზოდები ქართლის ცხოვრებიდან, რომლებიც, ვფიქრობთ, ინტე-

რესმოკლებული არ უნდა იყოს ქართველი მკითხველისათვის.

ცნობილია, რომ ადრევეოდალური ეპოქის ერთ-ერთი ძირითადი მასახი ათე ბელი კლასობრივი ბრძოლის სიმწვავეა. ქვეყნის გაერთიანებასა და ძლიერი სახელმწიფოს შექმნას ოდითგანვე ბევრი მტერი ჰყავდა, როგორც გარედან, ისე ქვეყნის შიგნით. ესენი იყვნენ ადგილობრივი ფეოდალები, წვრილი მთავრები, რომელთაგან უმრავლესობას არა საერთოეროვნული, არამედ საკუთარი ვიწრო-პირადული ინტერესები ამოძრავებდა, მათ სულაც არ აძლევდათ ხელს გაერთიანებული ქვეყნის არტახებში ყოფნა და მეფის ქვეშევრდომობა. პატარა სამთავროებად დაქუცმაცებული ქვეყანა ერჩივნათ, მეტი თავისუფლება და გამდიდრების მეტი საშუალება ეძლეოდათ. ასეთია ფეოდალური ურთიერთობების ხასიათი, მისი სოციალური არსი. იგი დამახასიათებელია, საერთოდ, ფეოდალიზმისათვის, ყველა ქვეყანაში და გამონაკლისი, არც ჩვენი ქვეყანა ყოფილა.

აი, რას წერს ვახტანგ ჭელიძე „ქართლის ცხოვრების ქრონიკებში“: „ვისაც სურს თვალსაჩინოდ წარმოიდგინოს ფეოდალურ ურთიერთობათა ცოცხალი სურათი, მისთვის საინტერესო იქნება ჩახედოს სქემას, რომელსაც სუმბატ დავითის ძის ქრონიკის მიხედვით ადგენენ ხოლმე. ეს არის სქემა ბაგრატიონთა შთა მომავლობის იმ შტოსი, რომელთაც მეცხრე-მეათე საუკუნეებში უცხოვრიათ... სქემაზე თითქოს უფრო მკაფიოდ და გარკვევით გამოისახა ყველაფერი – სუმბატ დავითის ძის ქრონიკაში მოხსენებულ ადამიანთა შემკვიდრებითი თანმიმდევრობა, ნათესაური ურთიერთობანი, საზოგადოებრივი მდგომარეობა იმით არის საინტერესო, რომ სქემაზე გამოსახული ხალხის ამბიციურ ბუნებაზე მიგვანიშნებს, ამ ხალხის ხასიათს გვინვენებს, საერთოდ მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ურთიერთობის ხასიათს, ამ ხალხის დაუოკებელ პატივმოყვარეობას, სიხარბეს... მათ ფეოდალურ სულის კვეთებას... ერთმანეთს არ ინდობდენ, სისხლს ანთხევდნენ. თავიანთივე სისხლს – ძმისა და ძმისშვილის სისხლს, ესენი ხომ ერთი კაცის შთამომავლები არიან. აშოტ დიდის შვილები, შვილიშვილები,

10. „სიტყვის კონა“, სულხან საბა, ტომი I, გვ. 601

11. ზვიად გამსახურდია წერილები, ესეები

12. ზვიად გამსახურდია წერილები, ესეები

შეილთაშვილები... ერთი კაცის შთამომავლები არიან, მაგრამ დანდობა არ იციან ერთმანეთის, ყველაფერი ეწირება განდიდების ჟინსა და სურვილს, რამაც ზომა არ იცის, რასაც საზღვარი არა აქვს, დაუოკებელ პატივმოყვარეობას ეწირება ყველაფერი... თითქოს უწყინარ, არაფ რის მოქმედ სახელებს კითხულობ; იქვე უნდა იგულისხმოდ, რომ თითოეული ამ სახელის პატრონი ფეოდალია, ფეოდალის მოუსვენარი გული უბორგავს მკერდში, ფეოდალის ხარბი და ამღვრეული თვალებით იყურება, სულ იმის ცდაშია, სხვისი ტერიტორია შემოიერთოს და თავისი გააფართოოს, მეზობელს დამოუკიდებლობა წაართვას და ვასალად გაიხადოს, დაამციროს, გაქელოს... ფეოდალის დაუცხრო მელი ვნება წარმართავს მის მოქმედებას. თავისი ამბიციური მიზნის მისაღწევად არაფერს არ თაკილობს და არ მოერიდება, ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად ძნელსა და ხიფათიან გზაზე ძმას არ დაინდობს, სისხლის მორევს დააყენებს“ (ამის დასტურად, ბატონ ვახტანგს მოყვანილი აქვს სქემა, რომელსაც ჩვენ, მკითხველი რომ არ გადავდალოთ, შეგნებულად არ ვურთავთ).<sup>13</sup>

დამერთო ჩემო, რა ხდება, ეს ხომ მხოლოდ ერთი ფეოდალური გვარის შიგნით ხდება? (თუნდაც ის სამეფო დინასტია იყო).

ახლა გავიხსენოთ ვინ არიან ბაღვაშები:

პირველი ბაღვაში თავისი საკუთარი მამულიდან, არგვეთიდან გადმოსულა თრიალეთს, კლდეში კარი გაუჭრია, დიდი ციხე აუგია და „მტკიცედ დამჯდარა“. ის ტახტის გვირგვინოსნებს იმთავითვე არ ეპუებოდა. აქედან მოყოლებული მათი ურთიერთობა კლასიკური მაგალითის ძალას იძენს ფეოდალური ეპოქის ვასალ-სუზერენის ურთიერთობის უკეთ წარმოსახვანად.

„არ გეგონოთ კლდეკარის საერისთავო პატარა ყოფილიყოს, ერთი ჩვეულებ რივი ფეოდალის სამფლობელო. არა, რა ბრძანებაა, ბაღ-

ვაშები დიდი ფეოდალები იყვნენ, მეფეს არ უდებდნენ ტოლს. მთელი თრიალეთი, ქართლში მტკვრის სამხრეთ ნაწილი „მანგლისის ხევი და სკვირეთი“ მათი იყო. ერთი დიდი ციხე რომ კლდეკარში ჰქონდათ, ატენის ციხეზეც ედავებოდნენ მეფეს და ხშირად თვითონვე ფლობდნენ, რაკი ეს ციხე მტკვრის სამხრეთ ნაწილში იყო.“<sup>14</sup> ამას ემატებოდა მამულები არგვეთის საერისთავოში, საიდანაც იყვნენ წარმოშობით, კერძოდ, კაცხი და მიმდებარე ტერიტორიები.

კლდეკარის ერისთავი ამ დროს ლიპარიტი იყო. „მრავალმხრივ საინტერესო ვაჟკაცი გახლდათ ლიპარიტი, ღრმად განათლებული, მაღალნიჭიერი, მამაცი, უშიშარი, შეუპოვარი და მტრის რისხვა.“<sup>15</sup> დავითამდე სამი საუკუნის განმავლობაში რამდენ ჯერ მე გვხვდება კლდეკარის ერისთავი, გამორჩეული შეუპოვრობითა და სიმტკიცით.

თავდაპირველად ბაღვაშები საქართველოს მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში მეფის ხელისუფლების ერთგული დასაყრდენი იყვნენ, ბიზანტიის იმპერიისა თუ განძის ამირა ფადლონის წინააღმდეგ ბრძოლაში. სანამ ასეთი მოკავშირე ჰყავდა, ქართლის მეფეების საქმეც გაადვილებული იყო.

ნიკო ბერძენიშვილის ერთ-ერთ გამოკვლევაში, რომელიც სწორედ პატრონ ყმური ურთიერთობის თავგადასავალზე მოგვითხრობს, დახატულია ზოგადი სურათი ამგვარი დაპირისპირებისა. დიდი მეცნიერი იქვე იმასაც მიუთითებს, რომ „ეს საკითხი სპეციალური დამუშავების ღირსად უნდა მივიჩნიოთ ფეოდალური ურთიერთობის უკეთ შესწავლისათვის“.

ამიტომ შევეცდებით, თვალი გადავაგლოთ ამგვარი დაპირისპირების ზოგად სურათს. გავიხსენოთ: ქვეყნის ხელახალი გაერთიანება გამთლიანებისათვის მუდმივი ბრძოლა ინტენსიურად მიმდინარეობდა და განსაკუთრებულ აქტიუობას მეფე ბაგრატ III-ის დროს აღწევს. ივანე ჯავახიშვილი წერს „ბაგრატი წესრიგის დამყარებას

შეუდგა“-ო, რაც ქართლის ფეოდალებს დიდად არ ეპიტნავთ. მეფის წინააღმდეგ შეთქმულ აზნაურებს ქავთარ ტბელი მეთაურობდა. ბაგრატ III-მ სასტიკად დაამარცხა შეთქმულები – ზოგი შეიპყრო, ზოგი გაიქცა. ამის შემდეგ მეფეს გადავიდა ურჩი ფეოდალების დამორჩილება. მეფის წინააღმდეგ შეთქმულებაში ბევრი ფეოდალი მონაწილეობდა, გარდა კლდეკარის ერისთავისა. ფორმალურად ის მეფის ქვეშევრდომი იყო, მაგრამ მეფეს არ მორჩილებდა, რასაც მოისურვებდა, იმას აკეთებდა. მაგრამ, რადგან შეთქმულე ბაში მონაწილეობა არ მიუღია, ამიტომაც გადაურჩა მეფის რისხვას, თუმცა ყველაფერიდან ჩანს, რომ მეფე მისი დასჯა-განადგურებისათვის მიზეზს ეძებდა. „კლდეკარის ერისთავი იქნებ გამაღიზიანებლად და გამომწვევად არ იქცეოდა, ჯერჯერობით, თითქოს აქტიურ მტრობას არ ამჟღავნებდა, მაგრამ რაკი დამოუკიდებლობის შენარ ჩუ ნებას ცდილობდა, მაინც ურჩი იყო.“<sup>16</sup> მეფე ბაგრატ III-ს, ალბათ, მაშინვე უნდოდა ბაღვაშების დამორჩილება, მაგრამ „ძლიერი და გავლენიანი კაცი გახლდათ და ბაგრატი რისკს მოერიდა. ამაშიც გამოიმუდავნდა მეფის ჭკუა და სიდიხვე. ანქარებით იქნებ სააღალბედოდ გაეხადა საქმე და ყველაფერი გაეფუჭებინა. ამიტომ ხელი არ ახლო, ისე გაბრუნდა ქუთაისში, რომ მისი დამორჩილება არც კი უცდია, ხელსაყრელ დროს დაელოდა – როცა მოღონიერდებოდა და თავის პოზიციებს განამტკიცებდა.“<sup>17</sup> ნუ დაგავიწყდებათ, რატომ ორბელიანი ჩვეულებრივი წვრილი აზნაური კი არ ყოფილა, ძლიერი ფეოდალი გახლდათ, სამხედრო ძლიერებით ზოგიერთ მეფესაც არ დაუდებდა ტოლს... „12 000 მხედრის გამოყვანა შეეძლო“. მარი ბროსე გადმოგვცემს, ეს დიდი და მრისხანე ძალა იყო იმ დროში. მეფეს უსათუოდ უნდა გაეწია ანგარიში, თორემ შეიძლებოდა ცუდად დატრიალებულიყო საქმე. ამიტომაც დაელოდა ხელსაყრელ დროს. ეს დროც მალე დადგა.“<sup>18</sup> ე.ი. ბაღვაშების ორგულობა და „დალატი“ აქ არაფერ შუაში ყოფილა. მეფე ბაგრატ III-ს გადაწვეტილი ჰქონდა ქვეყნის გაერთიანება და ამ გზაზე მას ყველაზე მეტად ბაღვაშობელიანები „უშლიდნენ ხელს, მეფეს წინ

13. „ქართლის ცხოვრების ქრონიკები“, გ. ჭელიძე, წიგნი II, გვ. 150-152  
 14. „ქართლის ცხოვრების ქრონიკები“, გ. ჭელიძე, წიგნი II, გვ. 346  
 15. „ქართლის ცხოვრების ქრონიკები“, გ. ჭელიძე, წიგნი II, გვ. 346  
 16. „ქართლის ცხოვრების ქრონიკები“, გ. ჭელიძე, წიგნი II, გვ. 247  
 17. „ქართლის ცხოვრების ქრონიკები“, გ. ჭელიძე, წიგნი II, გვ. 247  
 18. „ქართლის ცხოვრების ქრონიკები“, გ. ჭელიძე, წიგნი II, გვ. 247-248



ელობებოდნენ, სახელსა და დიდუბაში ეცილებოდნენ, ღამის ქვეყნის ფაქტიურ გამგებლად იქცნენ... მათ შორის შუღლი სულ უფრო და უფრო ღვივდებოდა, ბრძოლა ხან ჩუმი, ხან აშკარა და შეუპოვარი – გრძელდებოდა და სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა. ფაქტიურად ქვეყანაში ორი მეფე იყო და არავინ იცოდა, როდის მოედებოდა ბოლო ამ ორმეფობას<sup>19</sup>. ე.ი. დაწყებული იყო ქვეყნის გაერთიანების საშვილიშვილო პროცესი, დაქუცმაცებული წვრილი ფეოდალური სამფლობელოები უნდა მოქცეულიყვნენ ერთიანი, ძლიერი ხელისუფლების ქვეშ და ამ გზაზე ნებისმიერი მსხვილი თუ წვრილი ფეოდალი აღიქმებოდა დაბრკოლებად, მითუმეტეს მსხვილი ფეოდალი, რომელიც ტოლს არ უდებდა მეფეს და ცდილობდა, მას ჩანაცვლებოდა. ეს ბრძოლა გარდაუვალი იყო, ბუნებრივი და, ან ბაგრატიონების გამარჯვებით უნდა დამთავრებულიყო, ან ბაღვაშორებლიანებისა. რა კავშირი აქვს ყოველივე ამასთან „ორგულ ბუნებას“, მითუმეტეს, რომ ამ ბრძოლაში ბაღვაშები მარტო არ იყვნენ და მეფის ხელისუფლებას ასევე უპირისპიდე ბოდნენ აბაზასძენი, ტბელნი, კახეთის ერისთავნი და სხვა. თუმცა, მიუხედავად ასეთი დაპირისპირებისა და პერიოდული წარმატება-წარუმატებლობისა, მაინც მოხერხდა მათი შერიგება და ბაღვაშები, ნებით თუ ძალით, მაინც აღიარებდნენ სამეფო ხელისუფლების უპირატესობას და ერთგულად ემსახურებოდნენ მას.

ეს ერთგულება გრძელდებოდა იქამდე, ვიდრე არ მოხდა კონფლიქტი ბაგრატ IV-სა და ლიპარიტ ბაღვაშს შორის. ეს კონფლიქტი, რომელიც შემდგომ მწვავე დაპირისპირებაში გადაიზარდა და რამაც, ფაქტობრივად, სათავე დაუდო ბაღვაშების „ორგულობასა“ და აშკარა მტრობას მეფის ხელისუფლების მიმართ, ასე დაიწყო:

XI საუკუნის 30-იან წლებში, კერძოდ, 1032 წელს, ქართველებმა თავგამო დებული ბრძოლა დაიწყეს ტფილისის გასათავისუფლებლად. ლიპარიტ ლიპარიტის ძემ და იოანე აბაზას ძემ მეფის დავალებით და სურვილით მცირე

ლაშქარი მიიყვანეს მუხათგვერდს, ტფილისის ამირა ქალაქიდან გაიტყუეს, ბორკილებით შეკრეს, მეფეს მიჰგვარეს და ბირთვისის ციხე აიღეს. მეფე ბაგრატ IV-მ, რომელიც იმჟამად 12 წლისა იყო, სხვათა ჩაგონებით, ამირა ჯაფარი ტყვეობიდან გაათავისუფლა და თავის ტახტზე ისე დააბრუნა, რომ ლიპარიტისთვის არაფერი უკითხავს, ამავი ფეოდალი არაფრად ჩაუგდია.

ლიპარიტმა დიდი წყენა გულში დაიმარხა და კვლავაც მეფის ერთგული დარჩა. მალე ბაგრატი დარწმუნდა, რომ შეაცდინეს და არასწორი გადაწყვეტილება მიადებინეს. 5 წლის შემდეგ 17 წლის მეფემ კვლავ გადაწყვიტა თბილისიდან არაბების განდევნა. მან საომარი სამზადისი სწორედ ბაღვაშს დაავალა, რომელმაც ამჯერადაც კეთილსინდისიერად შეასრულა მეფის ბრძანება. ტფილისის აღება 2 წელიწადს გაგრძელდა. ამ პერიოდში აიღეს ორბეთისა და ფარცხისის ციხეები, ტფილისის გარე ციხეებისაგან გაშიშვლდა, ქალაქი საშინელმა შიმშილმა მოიცვა და ის იყო დღედღეზე უნდა დაცემულიყო, რომ მოულოდნელად ბაგრატმა, როგორც ცნობილია, „დიდებუ ლე ბის ჩაგონებით“, ამირა ჯაფართან ზავი დადო ისე, რომ ლიპარიტ ბაღვაში არც ამჯერად გახსენებია. ეს მოხდა 1039 წელს. ეს უკვე მეტისმეტი იყო. ასეთ შეურაცხე ყოფას დიდი ფეოდალი კი არა, უბრალო მოკვდავიც არ მოითმენდა. როგორც „ქართლის ცხოვრება“ გვაუწყებს, „მიერთგან შეიქნა ლიპარიტ ქვეამხედვარედ თავისი პატრონისაგან“.

შენ რას იზამდი ლიპარიტის ადგილზე, ჩემო მკითხველო???

ასე რომ, აღნიშნულ პერიოდამდე ბაღვაშები მეფის ხელისუფლების ძირითადი დასაყრდენი იყვნენ, ხოლო მას შემდეგ, რაც მეფემ სრულიად უარყო მათი დამსახურება და იოტისოდენა ანგარიში არ გაუწია მათ პატივმოყვარეობას, ერთგულებასა და თავდადებას სამეფო ხელისუფლებისადმი, ისინი სამკედრო-სასიცოცხლო დაპირისპირებამდე მივიდნენ. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ისინი მეფეს, კერძოდ პირს მტრობენ და ამ მტრო-

ბაში წამითაც არ მიიხნევენ, რომ სამშობლოს დალატობენ. უფრო მეტიც: მათი ფიქრით, ისინი ემტერებიან ისეთ სუზერენს, რომელმაც მალემრწმე ნობითა თუ ქვეყნისათვის არასწორი, უგუნური გადაწყვეტილებების მიღებით, სამშობლოს ავნო.

როგორც ამ წერილის ეპიგრაფშია მინიშნებული, ქართველი კაცი სიამაყითა და სახელის მაძიებლობით არის გამორჩეული, განსაკუთრებით შეუგუებელია იგი უმადურობისა და ამაგის დაუფასებლობის მიმართ, და თუ ჩვეულებრივი ქართველი კაცია ამგვარი, დიდი ფეოდალი, მეფის პიროვნებაში არა აღმატებულის, არამედ ტოლისა და სწორის დამნახავი, რა გასაკვირია, კიდევ უფრო შეუგუებელი იყოს? მეფე ხომ აზნაურია აზნაურთა შორის, მითუმეტეს იმ ეპოქაში მეფეც ხომ ჩვეულებრივი ფეოდალია, არაფრით გამორჩეული, როგორც ნიკო ბერძენიშვილი აღნიშნავს, „პირველი თანასწორთა შორის“<sup>20</sup> (Primus inter pares) და არა აღმატებული და ოლიმპზე მდგომი.

დიახ, სწორედ ამაგის დაუფასებლობამ და სამეფო ხელისუფალთაგან გამოვლენილმა უმადურობამ (და, როგორც ზემოთ ითქვა, არა მარტო ამან) მიიყვანა მანამდე ერთგული და მამაცი ფეოდალი ლიპარიტ ბაღვაში მტრობამდე, ბაღვაში, რომელიც, უნდა გავმეორდეთ, უმადურ ტოლ-სწორს ებრძვის და მტრობს და არა სამშობლოს! რა გამოდის? „ის, რაც უბრალო მოკვდავს ამორალობდა და მიუტყვებელ ცოდვად ჩაეთვლება, გვირგვინოსნისათვის კანონიერიც არის და მორალურად გამართლდებულად“<sup>21</sup>.

აი, საიდან იღებს სათავეს სხვა მიზეზებთან ერთად ბაღვაშების დაპირისპირება მეფის ხელისუფლები სადმი, რამაც თავისი ლოგიკური გაგრძელება ჰპოვა დავით აღმაშენებლის ეპოქაში და მის მერეც.

1039 წლის შემდეგ ბაღვაშები მტრობენ თითქმის ყველა მეფეს და ცდილობენ ჩაენაცვლონ მათ, რაც ჩვენი აზრით, კარგი სრულებითაც არ არის, მაგრამ ბუნებრივი მახასიათებელი კია ფეოდალური ხანის სუზერენ-ვასალური ურთიერთობისათვის და სრულებით არ გამოდგება იმის დასამტკიცებლად, რომ „ქართველთა ბუნება ორგულ არს“.

19. „ქართლის ცხოვრების ქრონიკები“, გ. ჭელიძე, წიგნი II, გვ. 359  
20. ქართლის ცხოვრება  
21. „ქართლის ცხოვრების ქრონიკები“, გ. ჭელიძე, წიგნი I, გვ. 54

ეს მტრობა თითქოს მემკვიდრეობით გადაეცა შთამომავლობასაც – ბაღვაშები თითქმის ყველა მეფეს უპირისპირდებიან. „თითქმის ყველა მეფეში“ დავით აღმაშენებელი იგულისხმება, რომელიც იმ დროისათვის ჯერ კიდევ არ არის მეფე-აღმაშენებელი, ანუ მას ეს თიკუნი ჯერ არ აქვს. ამიტომ გასაკვირი არ არის ბაღვაშთა „მემკვიდრეობითი მტრობა“ მის მიმართაც. ასევე ბუნებრივია დავითის თანამებრძოლისა და „თანაგამკაფეველის“ რეაქციაც ბაღვაშთა მტრობაზე, რაზეც ზემოთ უკვე ითქვა. უმადურობის და სულსწრაფობის ზუსტად ასეთივე გასაკვირველ და ძნელად ასახსნელ შემთხვევასთან გვაქვს ადგილი ცოტა მოგვიანებით დავით ულუ ლაშას ძის მეფობის დროს, როდესაც მეფის დაუკვირვებელი (???) საქციელის გამო „იქმნა მიერთგან განდგომილება მესხთა ვიდრე მეფის გიორგი ბრწყინვალისადმდე“. სამცხის სპასალარს სარგის ჯაყელს სხვა გზა აღარ ჰქონდა, მეფის საქციელმა აიძულა იგი „ლაღატის“ გზას დასდგომოდა (1266 წელს). როდესაც მეფის მიერ მონღოლთა ყაენის მიმართ დაუკვირვებელი განდგომის და უფრო უაზრო სიტყვების გამო საქართველოს ყველა დიდებული განდგურდა, მხოლოდ სარგის ჯაყელი დარჩა მეფის ერთგული, მხოლოდ ჯაყელი იბრძოდა მეფესთან ერთად მონღოლებსა და განდგომილი ქართველი დიდებულების წინააღმდეგ. ხოლო, როდესაც მეფე დავით–ულუ პულაგუ ყანის წინაშე წარსდგა, იგი თან ეახლა მეფეს და მისი ყველა „დაწაშალი“ თავის თავზე აიღო, რითაც მეფის გადასარჩენად თავი გასწვრიდა და მხოლოდ შემთხვევით გადარჩა სიკვდილით დასჯას. ამის შემდგომ მეფეს გაჰყვა მონღოლთა შორის წარმოშობილ ომებში, სადაც შაბურანის ბრძოლაში სარგის ჯაყელმა დიდი თავგანწირვით აშკარა სიკვდილისგან იხსნა პულაგუ ყანი, რომელიც მარტოდ დარჩენილი მოწინააღმდეგის მემკვიდრებს ბორცვზე მოემწყვდიათ. ქართველმა სარდალმა რომ დაინახა განსაცდელში ჩავარდნილი ყანი, ცხენი იქითკენ გააქანა და ყანზე ხმალშემართულ ჩრდილოეთის ურდოელ მონღოლებს შეუტია, გააქცია... აშკარა დაღუპვას გადაარჩინა

პულაგუ ყანი.. ბრძოლის შემდეგ ყანმა მადლიერება გამოიჩინა ქართველი მეფისა და მისი მემკვიდრის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ბრძოლა მან წააგო, მეფესაც და ქართველ მემკვიდრესაც „ფრიადითა პატივითა პატივ-სცა“, სარგის ჯაყელს კი განსაკუთრებული სიამაღის და დამსახურებისათვის უბოძა კარნუ(ყარსი) ქალაქი და მიმდგომი მისი ქვეყანა. მეფეს ვერაფრად ეჭაშნიკა სამცხის მთავრის ასეთი დაფასება და ელგონ ნოინის მეშვეობით ყანს შეუთვალა: „რაღა კარნუ ქალაქი, ბარემ მეფობაც მისცეს ყანმა ჯაყელს“ – ყანმაც აღარ მისცა დანაპირები კარნუ (ყარსი) ქალაქი ჯაყელს. ეს ამბავი არ დაიმაღებოდა, რაღა გასაკვირია, რო სარგის ჯაყელს ეწვინა მეფის ასეთი სულმოკლეობა, ასევე სწერს მემკვიდრე: „შეიქმნა გულკლებით და ქვეგამხედვარედ პატრონისაგან“. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო ღალატი. ჯერ აღბათ ყოყმანობდა სარგის ჯაყელი და იქნებ მორეოდა კიდევ თავს, ისე რომ არ გამოეჩინა მეფეს სულმოკლეობა. უკეთურმა ადამიანებმა („უკეთურთა კაცთაო“–სწორედ ასე წერს უამთადმწერელი) მეფეს ჩააგონეს სამცხის სპასალარი შენგან განდგაო. მეფემ აშკამადაც დაივიწყა მისი ერთგულება და „დაივიწყა მისი დამსახურება“ და გადაწვეიბა მისი დასჯა. მეფემ ვერაგულად სასახლეში მიიწვია სამცხის სპასალარი — „მოუწოდა პალატად და შეიპყრა და ტყუე ყო“. სამცხელი აზნაურები მაშინვე ყანთან გაქანდნენ და მეფემ სამცხის სპასალარის დასჯა ვერ მოასწრო. „მაშინ ყანმან ამცნო მეფესა განტეგება სარგისისა და განტეგვა და იქმნა მიერთგან განდგომილება მესხთა ვიდრე მეფის გიორგის ბრწყინვალისადმდე“. სამცხის სპასალარს ახლა უკვე სხვა გზა აღარ ჰქონდა. მას მხოლოდ ამით შეეძლო სიცოცხლის შენარჩუნება და ყანს „ხასინჯუდ“ შეწვალება სოხოვა, ყანმაც სიხარულით შეიწყალა. ასე ძალად გადაიკიდა მეფემ უერთგულების ქვეშევრდომი, კარგი ვაჟკაცი და დიდი მამულისშემილი, განათლებული პიროვნება წინდაუხედაობითა და უმადურობით. მოკლედ კომენტარი ზემდეტია.

მეფე ყოველთვის მართალია? არა მგონია უმადურობა ისეთი მძიმე გრძობაა, რაც ყველაზე უფრო მეტად ატკენს გულს ადამიანს და გაამწარებს. უბიძგებს მას სამაგიეროს გადახდისკენ. როგორც ამბობენ– უმადურობა ბილწი ადამიანის სულმდაბლობაა. სამეფო ხელისუფლებსა და ფეოდალებს შორის დაპირისპირება ყველაზე მწვავედ სწორედ მეფე დავით IV აღმაშენებლის ეპოქაში გამოიკვეთა. ქვეყნის წინაშე ახალი რეალობა დადგა „მეფე დავითმა თავიდანვე გადაწყვიტა, რომ ისეთი ხასიათი ფეოდალური ურთიერთობისა, რასაც მისივე მამა-პაპა ითმენდა, უკვე აღარ გამოდგებოდა, ის უკვე ქვეყნის შემდგომ განვითარებას ბორკილად ედებოდა და მოსათმენი აღარ იყო“<sup>22</sup> როგორც ნიკო ბერძენიშვილი შენიშნავს, „საჭირო იყო ახალი ხარისხის საზოგადოების შესაფერისი სახელმწიფოებრივი წყობილება“. მეფეს ვეღარ დააკმაყოფილებდა „პირველობა თანასწორობა შორის“ (Primus inter pares). ეს ხელაღვე იგრძნეს დიდებულებმა, იგრძნო კლდეკარის ერისთავმაც, რომელიც ასეთ მორჩილებას ვერ შეურიგდებოდა. მითუმეტეს, რომ ბაგრატიონებიც ხომ დაწინაურებული ერისთავები იყვნენ? ერთი სიტყვით, კვლავ დაუპირისპირდა ერისთავი მეფეს. „ერთთარცა ძალდი მიექცა ნათხევარსა და ვითარცა ღორი ინწუბა საგორელსა მწვირისასა“ – ძალღვივთ თავისივე ამონთხეულს დაუწყო ლოკვა და ღორივით წუმპეში დაიწყო გორვაო, – ბაღვაშების მისამართით ამბობს მემბატია ნე და რომ დაძაბოს სიტუაცია, უკადრის სიტყვებსაც არ ერიდება, რის შემდეგაც მეფემ შეიპყრო ლიპარიტ ბაღვაში, სიკვდილით არ დასაჯა, მაგრამ სამუდამოდ გააძევა საქართველოდან, ხოლო კლდეკარის საერისთავო სრულიად გააუქმა. „ეს არ იყო უბრალო მოვლენა, დიდი ისტორიული აქტი გახლდათ. ამით იწყებოდა დავით აღმაშენებლის დიდი რეფორმები, ამ აქტით მეფე საჯაროდ აცხადებდა, რომ ამიერიდან მადალი თანამდებობები მიენიჭებოდათ არა მემკვიდრეობითა და შორეული წინაპრების დამსახურებათა მიხედვით, არამედ პირადი ნიჭის, ცოდნის, ღირსებისა და დამსახურების კვალობაზე... ამრიგად, კლდეკარის ძველი ერისთავი ახალი ერისთავი ვით კი არ იცვლებოდა, ეს მიწა-წყალი სამეფო საკუთრებად ცხადდებოდა“<sup>23</sup>

22. „ქართლის ცხოვრების ქრონიკები“, გ. ჭელიძე, წიგნი III, გვ. 27-28  
 23. „ქართლის ცხოვრების ქრონიკები“, გ. ჭელიძე, წიგნი III, გვ. 29



როგორც ხედავთ, ეს ქვეყნის ცხოვრებაში ფუნდამენტური ცვლილება იყო, პრინციპულად იცვლებოდა ურთიერთობები და საკუთრების ფორმაც. „ამიერიდან მეფე თანას წორთა შორის პირველი კი აღარ იყო, არამედ იგი სულ ცალკე იდგა, მაღლა, და ყველანი მისი მორჩილები იყვნენ. მეფემ ერისთავობის საუკუნეობით დაკანონებულ ინსტიტუტს სახესებით ახალი სახელმწიფოებრივი წყობა დაუპირისპირა“.<sup>24</sup>

ამ შემთხვევაში მთავარი და საგულისხმო ის არის, რომ, თუ დავითამდე ცალკეული მსხვილი ფეოდალების – ერისთავების წინააღმდეგ მეფეების ბრძოლის დიდი ხნის ისტორიას თავისებური ელფერი ჰქონდა, დავითის ბრძოლა წინარე მეფეთა ბრძოლებისაგან პრინციპულად განსხვავდებოდა. აქამდე თუ მეფე ცალკეულ ერისთავს ებრძოდა და მის „ალაგმვას“ ცდილობდა ან დასჯიდა, საერისთავო ისევ მას ან მის მემკვიდრეებს რჩებოდათ, რითაც პრინციპული თვალსაზრისით თითქმის არაფერი იცვლებოდა, ხოლო ამჟამად მეფე უპირისპირდება არა ცალკეულ ერისთავებს, არამედ მთლიანად ერისთავობის სისტემას და ცვლის მას. ამიერიდან გაუქმებულ საერისთავოს მეფე იტოვებს თავის საკუთრებაში და სამართავად ნიშნავს თავის მოხელეს. ამ დროიდან შეიცვალა დიდი „ფეოდალის“ – მამულის – მემკვიდრეობითი ფლობის სისტემა და დამკვიდრდა სამოხელეო თანამდებობისა და მამულის დროებითი ფლობის ფორმა „საკარგავი“. „საკარგავი“ ის მიწა-წყალი, ის მხარე იყო, რომელსაც მეფე გარკვეული დროის განმავლობაში თავის ერთგულ მოხელეს ჩააბარებდა ხოლმე სამარ თავად. ეს იყო უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა, საქართველოსა და მკობელი ქვეყნების ისტორიას მსგავსი ანალოგი არ ახსოვს. ზედმეტია იმაზე საუბარი, თუ რა პროგრესული იქნებოდა ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური განვითარებისთვის. დავით აღმაშენებლის რეფორმების ძირითადი არსი ხომ ზუსტად ამაში მდგომარეობდა. ჩვენ ვიცით, თუ რაოდენ დიდი ბიბი მისცა მან ქვეყნის განვითარება-გაძლიერებას. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ახალი წყობისთვის საფუძველი დიდი ხნის წინ იყო მომზადებული. ამის დას-

ტურია წინა მეფეების – აშოტ კუროპალატის, ბაგრატ III-ის, ბაგრატ IV-ისა და დანარჩენი მეფეების – დაუცხრომელი ბრძოლა სხვა მეფეთაგან და ერისთავების წინააღმდეგ. აი, სწორედ ამიტომ იყო ეს ბრძოლები ასეთი მწვავე და დაუნდობელი, აი, რატომ ჰყავდა დავით მეფესაც ამდენი მოწინააღმდეგე და „მაბრალბელნი“, რომელზეც დავითის ისტორიკოსი მოგვითხრობს და მიგვანიშნებს, ამიტომაც არის, ჩვენი აზრით, ბაღვაშების (და სხვა ფეოდალების) დაპირისპირება მეფესთან ფეოდალურ-კლასობრივი ბრძოლა, რაც დამახასიათებელია ამ ეპოქის ყველა ქვეყნისათვისაც და არა ქვეყნის დალატი და ქართველთა, როგორც ეთნოსის „ორგული ბუნება“. უნდა აღინიშნოს, რომ დავით აღმაშენებელს ამ ახალი სისტემის დამკვიდრებისათვის დიდი ძალისხმევა და სისხლის დაღვრა დასჭირდა და საბოლოოდ მაინც ვერ დაამკვიდრა, რადგან ეს ბრძოლა, როგორც ვიცით, დავით აღმაშენებლის შემდგომ ეპოქაშიც გაგრძელდა უფრო მწვავედ და დაუნდობლად. თუ რამდენად მძიმე და მტკივნეული იყო ეს ბრძოლა არა მარტო ფეოდალებისთვის, რომელთაც მამულებზე მემკვიდრეობითობის უფლება დაკარგეს, არამედ თვითონ მეფისათვისაც, კარგად ჩანს დავით მეფის „გალობანი სინანულისანი“-ში, სადაც მეფე იხანებებს კიდევ თავის ნამოქმედარს:

ბოროტად გარდავკვდ  
საზღვართა და შევჭრთე  
სახლი სახლსა  
და აგარაკი აგარაკსა, და  
უძღურესთა  
მივბუჭე ნაწილი მათი,  
და ვიღუპილ უმეზობლობასა,  
ვითარმცა მარტოა ვმკვდრობად  
ქვეყანასა ზედა...<sup>25</sup>  
საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ხელისუფალთა უმადურობამ არაერთი ჭეშმარიტი მამულიშვილი გაუყენა ორგულობის გზას. სამწუხაროდ, ამის მაგალითი არც თუ ცოტაა საქართველოს ისტორიაში. მათი ჩამოთვლისაგან ამჯერად თავს ვიკავებთ, რადგან ვთვლით, რომ ცალკე საუბრის თემაა. მაგალითისათვის გიორგი სააკაძის ფენიშენი რად ღირს, იმ დიდი მოურავისა, რომელიც მეფე თეიმურაზის მიმართ (და არა მარტო თეიმურა-

ზის) გაწეული სამსახურის დაუფასებლობის გამო იქცა მოღალატედ. ბევრი ცუდის მოტანა შესძლებია „ავთა კაცთა ნაუბარს“, „ავთა კაცთა ენამან შემაცდინაო“, – ამბობს დიდი სულხან-საბას „სიბრძნე სიცრუისას“ პერსონაჟი მეფე ფინეხი, როცა უფლისწული გონიერი და უდანაშაულო აღმზრდელის სიკვდილით დასჯას განიზრახავს.

სამეფო კარის წეს-ჩვეულებების უბადლო მცოდნე და პოლიტიკური ინტრიგების მსხვერპლმა ორბელიანმა შესანიშნავად უწყოდა, „ბოროტ კაცთა შესმენით“ რა სავალალო შედეგებამდე მიდიოდა ქვეყანა, როგორ სუსტდებოდა და უძღურდებოდა, თუკი მეფე პოლიტიკურ სიბეცესა და მალემრწემრობას გამოიჩინდა! ცხადია, როცა მეფეთა პოლიტიკურ სიბეცესა და უმადურობაზე ვსაუბრობთ, დავით აღმაშენებელს არ ვგულისხმობთ, მისი წინარე და შემდგომი მეფეების საქმენი გვაქვს მხედველობაში (იგულისხმება ბაგრატ III, ბაგრატ IV, გიორგი მეორე და სხვანი), საქმენი, რომელთა განხორციელებაში სწორედ ზემოთხსენებულ „ავთა კაცთა ნაამბობს“ და „მაბრალბე ბელთა“ მკვამენებს უღვეთ ღომის წილი. ჩვენი ღრმა რწმენით, ფეოდალური დაქუცმა ცეცხლის წინააღმდეგ მეფის ხელი-სუფლების ბრძოლის უდაოდ პროგრესულ და ეროვნულ საქმეში მსხვილი ფეოდალების (ბაღვაშების, აბაზასძენის, ტბელის, ჰერე თის, კახეთის ერისთავთა და სხვათა) ბედი წინასწარ იყო განსაზღვრული და მიზეზს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. მიზეზი და საბაბი ყოველთვის მოიძებნებოდა და მეფის ისტორიკოსის მტკიცება, ბაღვაშები (და სხვანი) დალატისა და ორგულო ბი სათვის დაისაჯნენო, საფუძველს მოკლებულია. მიმდინარეობდა ქვეყნის გაერთიანება-ცენტრალიზაციის კეთილშობილ ღუ რი საქმის პროცესი და იმ დროს მას ვერაფერი შეაჩერებდა.

მემატიანისა არ იყოს, ვგონებ მეც გამეცქა კალამი. „პირველსა სიტყვასა ზედა მოვიდეთ“, როგორც ბრძანების ჰაგიოგრაფი მწერალი და აი, ჩვენი მოკრძალებული დასკვნაც: ბუნებით ორგული და „პირველთაგანვე“ ქვეამხედვარე კი არ არის ქართველი კაცი, უმადურობასა და სამსახურ-ამაგის დაუფასებლობას მიჰყავს იგი აქამდე, ეროვნული გმირიდან – მოღალატეობამდე! მაშ „რა არის ქართველი კაცისათვის ყველაზე მეტად

24. „ქართლის ცხოვრების ქრონიკები“, გ. ჭელიძე, წიგნი III, გვ. 30  
25. „გალობანი სინანულისანი“, დავით აღმაშენებელი

დამახასიათებელი თვისება, რა არის ის ძირითადი თავისებურება, რომელიც ისტორიულად მოხდგამს ჩვენს ერს და განსაზღვრავს მის ინდივიდუალურ პროფილს? პასუხს იძლევა დაკვირვება რჩეული ქართველი ადამიანების ბიოგრაფიისა, მათი ბედისა, მათი აღსასრულისა. ზოგან აშკარად, ზოგან კი უადრესად ფარუ ლად ჩანს, რომ ეს თვისებაა მოყვასისათვის თავგანწირვა, მსხვერპლი, საკუ თარი სიცოცხლის არად ჩაგდება მოყვასის საკეთილდღეოდ. ჩვენი ისტორიის დიდი გმირები: ვახტანგ გორგასლანი, დავით და კონსტანტინე არგვეთის ერისთავები, დავით აღმაშენებელი, თამარი, დიმიტრი თავდადებული, ცოტნე დადიანი, იოთამ ზედგე ნიძე, ცხრა ძმა ხერხეულიძეები, თვედორე მღვდელი, ლუარსაბ მეფე, სვიმონ მეფე, ქეთევან წამე ბული, სამასი არაგველი, ილია ჭავჭავაძე და სხვანი მრავალნი დიდმოწამენი და წმინ და ნნი გვიდასტურებენ ამას საოცარი სიცხადით. განსაცვიფ რებელია, რომ ამ გაღერე ას ზედ ერთვიან უცხოელნიც, რომლებშიაც საქართველომ აღზარდა ეს გრძნობა. ესენი არიან: წმიდა შუშანიკი, წმიდა რაჟდენი, ევსტათი მცხეთელი, აბო ტფილელი... ქართულ ენაში არის ერთი გა-

საოცარი სიტყვა, რომელიც ნათელყოფს, თუ რამდენად ორგანულია ეს შტრიხი ქართველი ერისთვის. ეს არის სიტყვა „გენაცვალე“, აგრეთვე გამოთქმა „შენი ჭირიმე“. რომელ ენას გააჩნია მსგავსი სიტყვები? არც ერთს.

მოყვასისათვის თავგანწირვაშია ქართული ისტორიის პათოსი. და როდესაც დაუფიქრდები, რამ მოიყვანა ქართველი ერი დღემდის, რამ გადაარჩინა ისტორიის შემზარავ ქარტყილებს, რწმუნდები, რომ მხოლოდ და მხოლოდ ამ თავისებურებამ. ეს თვისება სისხლში ჰქონდა გამჯდარი ერს. ეს თითქოსდა თანდაყოლილი, შესისხლხორცებული რამ იყო, და არა გარეგანი, ეთიკური აღზრდის მიღწევა.<sup>26</sup>

ხომ გვასწავლის დიდი შოთა, როდესაც ტარიელის, როგორც მეფის, გონიერებაზე და სიბრძნეზე მიუთითებს:

„ორგული და მოღალატე ნამსახურსა დავაძგვანე,

ესე არის მამაცისგან მეტისმეტი სიგულვანე?“-ო.<sup>27</sup>

ჰოდა, თუკი შესაძლებელია ორგულისა და მოღალატის ნამსახურისათვის დამგვა ნება, რატომ არ შეიძლება რომ „ნამსახური“ ორგულად და მოღალატედ არ ვაქციოთ?!

არადა, ნიჭიერმა ხელისუფალმა და გონიერმა პოლიტიკოსმა უნდა შეძლოს (ვაღლებულიც არის) თითოეული პატრიოტის ქვეყნის სამსახურში ჩაყენება, სათანადო აღგილის მიჩენა და დაფასება, რაც, სამწუხაროდ, ყოველთვის ვერ ხერხდება.

თქვენი არ ვიცი და ჩემთვის ფრიად „საწუხ არს ესე“!

ასე, რომ როგორც ზემოთქმულიდან ირკვევა, ქართველები „ორგულნი“ და „მოღალატენი“ კი არ არიან „ბუნებით“ და „დასაბამით“, არამედ ამგის დაუფასებლობისადმი არიან შეუგუებელი და, ამაგდროულად, სახელის მაძიებელი.

არ ვიცი, მოვასხერხეთ თუ არა თქვენი დარწმუნება, მაგრამ ჩვენი კეთილი სურვილია, გაეთავისუფლდეთ ამ კომპლექსისაგან და დაგრჩეთ ისეთებად, როგორც ბადაც ვახუშტი ბატონიშვილი გვასახიათებს: „ხოლო კაცი ამა ქვეყნისანი არიან მხენი, მუშაკნი, ჭირთა მომთმენნი... მკვირცხლნი, მხიარულნი... ამაყნი, ლაღნი, სტუ მართა და უცხოთა მოყვარენი, უკეთუ ორნი ან სამნი არიან, არარა შეიჭირვონ, უხვნი... საუნჯეთა არამმესველნი, გონიერნი, მსწრაფლ მიმხმდომნი, სწავლის მოყვა რენი... ზნენი აქვნდათ პირმტკიცობა, მტერთა ზედა ერთობა, თავისუფლე ბისათვის მხნედ ბრძოლა, მაგრად დგომა მისთვის... გარნა თუ სძლია ვინმე მძლავრობანი, არა დაემორჩილონ...“<sup>28</sup>

მაისი, 2009 წ.

26. „წერილები, ესეები“, ზვიად გამსახურდია, გვ. 548-549  
 27. „გეფხისტყაოსანი“, შოთა რუსთაველი  
 28. „ადწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება“, ვახუშტი ბატონიშვილი, ტომი IV, თბ., 1993 წ.

**რეზიუმე**

**ქართველთა ბუნება ორბულ არს?!**

*ალექსანდრე (ალემო) მიტაბერიძე*

*(საქართველოს ჰუმანიტარულ და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემია)*

ბუნებით ფაქიზია ქართველიკაცი და მუდამ საღბუნს ითხოვს მისი იარა; იარა კი ღრმა არის, წარსულიდან მოდის და მისგან იღებს სათავეს დაგვაგვიანდა, მაგრამ „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს!“ – მიხდა გავაფრთხილო ჩემი მკითხველი, რომ ამ ნაშრომს არ აქვს ვინმეს განქიქების მიზანი. დემეტომა დაგვიფაროს ამგვარი კადნიერებისაგან! გვესმის, რომ უმაღლურ საქმეს მოვკიდეთ ხელი, ვიცით გამოჩნდებიან ოპონენტები, რომლებიც იტყვიან მოღალატის დაცვა განუზრახავთ, მაგრამ კიდევ ერთხელ გვინდა განვაცხადოთ, რომ ჩვენი მიზანი ვინმეს დაცვა ან გამართლება კი არ არის, არამედ „ქმნა მართლისა სამართლისა“. ჩვენი მოკრძალებული მიზანია, შეძლებისდაგვარად გავარკვიოთ ის მიზეზები, რამაც ქართველთა ერთგულებაში ეჭვი შეატანინა XII საუკუნის ისტორიკოსს.

**SUMMARY**

**DOES A GEORGIAN MAN HAVE TREACHEROUS CHARACTER?!**

*ALEXANDER Mikaberidze – Georgian Academy of Humanitarian and Art Sciences*

Character of a Georgian man is tender and his wounds always demands balm. The wounds is deep and it comes from ancient times. We are late, But it is better late than never, I would like to warn my reader, that this work has not been done to criticize someone. God forbid us from such daring! We acknowledge, that we have started to do work that will never be praised, opponents will show up – who will say, that our purpose is to protect traitors; However, I would like to state yet again, that our goal is not to protect or justify someone, but to enforce the justice. Our goal is to find the reasons , that gave 12th century historian doubts about loyalty of Georgians.

2014 წელი





ახალი მოსაზრება

ავტორი ფიქრობს, რომ ულანდის ამ ტექსტის მიხედვით შეიძლება გრიგოლ ორბელიანის „მუშა ბოქულადზე“

მურმან თავდიშვილი

1987 წელს გამოვიდა ილიას თხზულებათა I ტომი. აქ დაბეჭდილია სანტიმენტალური ლექსი „მოთქმა საწყლისა“. ამ ლექსზე ჭაბუკი მოშაირის მუშაობა დაახლოებით დაემთხვა მამამისის გარდაცვალებას და მკვლევარები ტექსტს მაინცადამაინც ამ ამბავს უკავშირებენ. კომენტარებში /გვ. 523/ უცნაურ რასმე ვკითხულობთ: თუკი შინაარსს დავეყრდნობოდით და ვირწმუნებდით, რომ მასში ასახულია რეალობა, მაშინ დაწერის თარიღის ფართო არეალი /1840 – 1850/ უფრო დავიწროვდებოდა: ის დაიწერა 1852 წლის მეორე რიცხვით ილია მაშინაც დაობლდაო. მოგვიანებით ეს იდეა გაიზიარა გურამ შარაძემაც.

უფრო საგულისხმოა კომენტარის მეორე ნაწილი: „მაგრამ ლექსის ასეთ ბიოგრაფიულ ინტერპრეტაციას ადვილად შესაძლებელია შეცდომაში შევყვანეთ, რადგან ამ ლექსში ისეთი ფაქტებიც არის წარმოსახული, რომლებიც ილიას ცხოვრებაში არასდროს მომხდარა, ასე, მაგალითად: ილიას ყრმობის პერიოდში არ ყოფილა მომენტი, რომ მას არ ჰყოლოდა „შემნახავი“, არ ჰქონოდა სახლ-კარი თუ თავშესაფარი, და ლუკმაპურის სათხოვნელად „კარ-კარ“ დასჭირებოდა სიარული“.

მეც მანდა ვარ! კომენტარის მეორე ნაწილი ცამდე მართალია, ხოლო ამ ლექსს არავითარი კავშირი არ აქვს 1852 წელსა და ავტორის მამის გარდაცვალებასთან.

მოკლედ მოვჭრათ: გერმანელმა სანტიმენტალისტ-პრომანტიკოსმა ლუდვიგ ულანდმა დაწერა „ბოსიაკური“ ლექსი „ას ღიდ“ /„სიმღერა“/; უსახლკარო, ბოგანო „ბოსიაკი“ უთავბოლოდ დაეხეტება; ხედავს სხვის სასახლეებს, ქონებას, სიმდიდრეს, მაგრამ გულში ბოღმა და შური მაინც არ უჭაჭანებს. ის იმითაც კმაყოფილია, რომ საიქიოში ერთნაირად მიიღებენ მასაც და მდიდარსაც.

ეს ტექსტი გადმოიღო რუსმა მეოსანმა ვასილი შუკოვსკიმ. მას ეწოდება „Песня бедняка“. შუკოვსკის საქართველოში აღმერთებდნენ. განსაკუთრებით მოსწონდა იგი გრიგოლ ორბელიანს. შემთხვევითი როდია, რომ „სადღეგრძელო“ რუსი ავტორის პოემის ქარგაზე ავტობული; თვითონ გრიგოლმა მიაწერა მას: „წაბაძვა შუკოვსკისა“.

მითითებული სანტიმენტარები ლექსი შურნად „ცისკრის“ მკითხველთ ძალიან მოსწონდათ, რაკილა 1850–1860-იანი წლების ქართველ საზოგადოებაში სანტიმენტალური გრძობიერება სჭარბობდა.

ამიტომაც შემთხვევითი როდია, რომ მითითებული ტექსტი, სულ ცო-

ტა, სამმა ქართველმა მაინც გადმოიღო. ლიტერატურის ერთმა მოყვარულმა თავისი თარგმანი დაბეჭდა „ცისკრის“ სწორედ იმ ნომერში, სადაც გრიგოლ ორბელიანის რამდენიმე ტექსტიც იყო მოთავსებული. ეტყობა, ამან უბიძგა გრ. ორბელიანს, რომ შესდგომოდა „პესნია ბედნიაკას“ თარგმნას. ამ მცდელობის შედეგია „მუშა ბოქულადე“.

ძირითადი იდეა აქაც იგივეა: მართალია, მე არაფერი მახადია, სხვებს ყველაფერი აქვთ, მაგრამ გულში შური და ბოროტება მაინც არ მიდულს. იქ, „მუნ“, ხომ მაინც თანასწორნი ვიქნებით. ეკ, ძმაგ, წადი შენ შენს გზაზე და მე ჩემს ბარგს როგორმე იქ მოვიხსნი, სადაც ვიქნებით თანასწორნი – საუკუნოს განსასვენსა ალაგსა!

მესამე ავტორი, რომელმაც ამ ლექსის გადმოყენება სცადა – ეს გახლავთ ჭაბუკი ილია. როგორცა ჩანს, მას წაუკითხავს „ცისკრის“ ის ნომერი, რომელშიც შუკოვსკის ქმნილების თარგმანი იყო გამოქვეყნებული და სურვილი აღძვრია, თავადაც ეთარგმნა იგი.

მაშასადამე, „მოთქმა საწყლისა“ გახლავთ არა ორიგინალური, არამედ გადმოკეთებული, თავისუფლად თარგმნილი „პესნია ბედნიაკა“.

სხვათა შორის, ამგვარად გადმოკეთებული ლექსები ილიას სხვაც ბევრი აქვს. მაგალითად: „მიბაძვა ჰინესი“, „სიხარული“/მიბაძვა/ და სხვა.

რეზიუმე

ავტორი ფიქრობს, რომ ულანდის ამ ტექსტის მიხედვით შეიძლება გრიგოლ ორბელიანის „მუშა ბოქულადე“

მურმან თავდიშვილი

ილია ჭავჭავაძის „მოთქმა საწყლისა“ მეცნიერებს ორიგინალური ავტობიოგრაფიული ლექსი ჰგონიათ. ამიტომაც ვაკვირვებულნი არიან, როცა აქ გადააწვდნენ ჩივილს უსახლკარობაზე, სიღარიბეზე. პრობლემა წყდება იმ შემთხვევაში, თუ ქმნილებას ლუდვიგ ულანდის „სიმღერის“ თარგმანად ან გადმოკეთებად მივიჩნევთ. ავტორი ფიქრობს, რომ ულანდის ამ ტექსტის მიხედვით შეიძლება გრიგოლ ორბელიანის „მუშა ბოქულადე“.

SUMMARY

THE AUTHOR THINKS THAT THIS VERSION OF THE WORK DUE LUDVIG ULAND CAUSED CREATION OF “WORKER BOKULADZE” BY GRIGOL ORBELIANI

MURMAN TAVDISHVILI

According to explorers opinion the literary work “Pauper Lamentation” is considered to be an autographical poem. Therefore they were surprised when they came across the complaints over homelessness and poverty. The problem will be solved in a case the creative work will be considered as translation or alteration of Ludvig Uland’s “Song”. The author thinks that this version of the work due Ludvig Uland caused creation of “Worker Bokuladze” by Grigol Orbeliani.

# ჩვენ თუ არა, ვინ?

გიგო ბოჭუშა

(საქართველოს ჰუმანიტარულ და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემია)

თანამედროვე მეცნიერთა მტკიცებით, მსოფლიოში, სადაც 1300-მდე სხვადასხვა ხალხი ცხოვრობს, 300-მდე ენაა, უფრო ზუსტად – 2976. ენათა ამ უზარმაზარ, ნაირფეროვან, სურნელოვან თაიგულში ჯერაც თვალნათლივ კაიფობს ქართული – დედასავით სათაყვანო ჩვენი დედაენა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II ასე წარმოგვიდგენს მშობლიური ენის-ღირსებას: „უდიდესისა უნჯეაჩვენი ქართულიენა!.. იგი უძველესი და უტკბილესია, რაღაც განსაკუთრებული მადლით მოხილი!.. ჩვენ უნდა გავუფრთხილდეთ ჩვენს ენას!“ მითუმეტეს, რომ „მეორედ მოსვლის ჯამს ქართულითა ენითა განისჯება სამყარო“ და „საქართველოთაო განკითხვა ქართული ენით მოხდება“.

ისტორიულად საქართველოს გამუდმებით ესხმოდნენ თავს მომხდურნი სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან, აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან. ისინი მიწვივ ცდილობდნენ, რომ ქართველისთვის წავგლიჯათ არამარტო მამული და ქონება, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ენა, სარწმუნოება და ქართული სული. ამ ბრძოლისას განსაკუთრებით იზარალა ჩვენმა მშობლიურმა ენამ, რომელიც მომეტებულად იმღვრებოდა უცხო დამპყრობელთა ენის მძლავრი შემოტევითა და ქართულის ძალადობრივი უგულვებელყოფით.

- ყოველივე ამას დღეისათვის ემატება საქართველოში არსებული გენოფონდის ტრაგიკული შემცირება, რომელიც უარყოფითი ნიშნით არის წარმოდგენილი.

ცხრილი 1. დემოგრაფიული მაჩვენებლები, საქართველო, 2012

	მოსახლეობა (ათასი)	დაბადება	გარდაცვალება	ბუნებრივი მატება (%)
თბილისი	1 172,0	16 573	12 459	3,5
აკურა	393,9	5 733	3 274	6,2
გურია	139,8	1 538	1 926	-2,8
იმერეთი	705,7	8 619	8 868	-0,4
კახეთი	406,1	4 931	4 969	-0,1
მცხეთა-მთიანეთი	109,3	1 235	1 513	-2,5
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	46,7	384	891	-10,9
სამეგრელო და ზემო სვანეთი	478,2	5 048	5 412	-0,8
სამცხე-ჯავახეთი	213,8	2 413	2 162	1,2
ქვემო ქართლი	511,2	6 628	4 438	4,3
შიდა ქართლი	314,0	3 929	3 436	1,6
<b>საქართველო</b>	<b>4 490,7</b>	<b>57 031</b>	<b>49 348</b>	<b>1,7</b>

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სურათი 1. დემოგრაფიული მაჩვენებლები, საქართველო, 2000-2012



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური


ბუნებრივია, გენოფონდის განვითარებაზე დიდ ზემოქმედებას ახდენს მოსახლეობის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ხშირი განქორწინებები, ლტოლვილთა გაუსაძლისი პირობები, შინაბრძოლის დიდ რიცხვი, მოსახლეობის მიგრაცია და სექსუალურ უმცირესობათა თავსმოხვეული მოთხოვნები. ყოველი-

ვე ზემოაღნიშნული ძლიერ ინდიკატორს წარმოადგენს დემოგრაფიული პროცესების განვითარებაში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით, საქართველოს დემოგრაფიული კატასტროფა ემუქრება. 2050 წლისთვის ამიერკავკასიაში საგრძობლად დაირღვევა დემოგრაფიული ბალანსი, რაც გამოიხატება იმაში, რომ საქართველოს მოსახლეობა შესაძლებელია 1700000-ით შემცირდეს.

• საქართველოში, ბოლო ათწლეულის განმავლობაში, ყოველწლიურად 0-5 წლამდე ასაკის 900 ბავშვი იღუპება, მათ შორის 1 წლამდე ასაკის 800 ბავშვი. 2012 წელს საქართველოში ყოველ 1000 ცოცხალშობილზე 0-5 წლამდე ასაკის 14,4 ბავშვი დაიღუპა, მაშინ, როდესაც ევროკავშირის ქვეყნების ეს მაჩვენებელი 4,9-ით განისაზღვრებოდა.


სურათი 2.5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა 1000 ცოცხალშობილზე



წყარო: ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის „ჯანმრთელობა ყველასათვის“ მონაცემთა ბაზა

ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის 0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა მაჩვენებელი საქართველოში შუალედურ ადგილს იკავებს.

სურათი 3. 5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა 1000 ცოცხალშობილზე ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები, ბოლო ხელმისაწვდომი წელი



წყარო: ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის „ჯანმრთელობა ყველასათვის“ მონაცემთა ბაზა

ჩვენ რომ გვეკონდეს შესაფერისი დონის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ხოლო ჯანდაცვის სისტემაზე შესატყვისად განვითარებული იყოს, შესაძლებელი იქნებოდა ყოველწლიურად 500-მდე ბავშვი სიკვდილისაგან გადაგვეყრინა.

• მსოფლიოს ჯანდაცვის კომპეტენტური ორგანიზაციების მიერ დიდი ხანია დადგენილია, რომ დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობა დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე:

• გენეტიკა და გარემო – 8-10% (ნაკლებად მართვადაი);


• ცხოვრების წესი – 49%;

• ჯანმრთელობის დაცვა 8-10%.


• დღევანდელი საქართველოს ჯანდაცვის სისტემისათვის გამოყოფილი შედარებით მწირი ბიუჯეტი გვაიძულებს განვსახდროთ ყველაზე პრიორიტეტული მიმართულებები, რომელიც ნაკლებ დანახარჯებს მოითხოვს და სწრაფ რეაგირებას მოახდენს სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების საქმეში. ასეთ პრიორიტეტულ მიმართულებად ჩვენ დღეს მიგვაჩნია პერინატალური და ნეონატალური დარგების სწრაფი განვითარება და მათი სრულყოფა. დღეისათვის არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დიდი ნაწილი უკლებლივ უნდა მოხმარდეს მედიცინის ამ პრიორიტეტულ მიმართულებას, რადგან უაღრესად აქტუალურია ანტინატალური პერიოდის ნაყოფის მართვის, დაავადებათა პროფილაქტიკისა და მკურნალობის იმ მეთოდების დანერგვა, რომლებიც დღეს მთელ მსოფლიოში რუტინულ ხასიათს ატარებს, ხოლო საქართველოს ქალთა კონსულტაციებში და სამშობიარო სახლებში, ერთეული გამონაკლისის გარდა, მათი დანერგვის პროცესები ჭიანჭურვად ან საერთოდ ვერ ხორციელდება.

პერინატალური სიკვდილიანობა, რომელიც ორსულთა, მშობიარეთა და ახალშობილთა სამედიცინო მომსახურების დონეს და ხარისხს ახასიათებს, ინტეგრირებული მანქანებელია, რომელიც მკვდრადშობადობას და ადრეულ ნეონატალურ სიკვდილიანობას მოიცავს. საქართველოში როგორც მკვდრადშობადობის, ასევე ადრეულ ნეონატალური სიკვდილიანობის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად აღემატება ევროპის და ზოგ ყოფილი საბჭოთა კავშირის მაჩვენებლებს. მეტად მნიშვნელოვანია პერინატალური სიკვდილიანობის შემადგენელი კომპონენტების შეფარდება. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის შეფასებითი გათვლებით საქართველოში მკვდრადშობადობის და ადრეული ნეონატალური სიკვდილიანობის შეფარდება არ უნდა აღემატებოდეს 1. 2-ს, რაც უკანასკნელი წლების განმავლობაში მხოლოდ 2009 წელს დაფიქსირდა, ხოლო მომდევნო წლებში მნიშვნელოვნად გადააჭარბა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებულ სტანდარტს.

**სურათი 4. პერინატალური სიკვდილიანობა 100000 დაბადებულზე, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები, ბოლო ხელმისაწვდომი წელი**



**სურათი 5. მკვდრადშობადობის და ადრეული ნეონატალური სიკვდილიანობის შეფარდება, საქართველო, 2000-2012**



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ როგორც ადრეულ ნეონატალურ პერიოდში გარდაცვლილ ახალშობილთა, ასევე მკვდრადშობილთა ერთი მესამედი ნორმალური წონის იყო.

**ცხრილი 2. ახალშობილთა გარდაცვალება და მკვდრადშობადობა წონების მიხედვით**

	სულ	წონა დაბადებისას (გრამებში)					2500 გ. და მეტი წონის გარდაცვლილთა პროცენტი
		500-999	1000-1499	1500-2499	2500-3999	4000+	
0-6 დღე	83	28	17	18	20	0	24%
მკვდრადშობადობა:							
მუცლად სიკვდილი	239	239	0	0	0	0	-
ანტენატალური სიკვდილი	379	33	98	123	110	15	33%
სამშობიარო მოქმედების დროს	29	9	2	9	8	1	31%

წყარო: დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

პერინატალურ პერიოდს, რომლის დროსაც ნაყოფის განვითარება, განსაკუთრებით ორგანოგენეზისა და პლაცენტაციის პერიოდებში რიგ დრამატულ სტადიებს გადადის, ბავშვთა სიკვდილიანობის გამოწვევად მრავალ ფაქტორთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია.

**ცხრილი 3. ბავშვთა სიკვდილიანობის წამყვანი მიზეზები, საქართველო, 2012**

	% საერთო რაოდენობიდან	
	0-დან 1 წლამდე	0-დან 5 წლამდე
პერინატალურ პერიოდში განვითარებული მდგომარეობები	62,0	54,0
თანდაყოლილი ანომალიები	12,4	11,3
ნერვული სისტემის ავადმყოფობები	4,8	6,2
სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობები	3,5	3,8
სასუნთქი სისტემის ავადმყოფობები	2,0	3,6

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ეფექტური პერინატალური დახმარება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემაა, რადგან მასში დაფუძნებული მტკიცებითი მედიცინის პრინციპები და ახალი ტექნოლოგიების გამოყენება საფუძველს გვაძლევს გამოვავლინოთ იმ პათოლოგიური პროცესების ხვედრითი წონა, რომელთა განვითარება პერინატალურ მიზეზებთან არის დაკავშირებული.



დღეისათვის პერინატალური დახმარების ცნება გულისხმობს მიდგომათა ერთობლიობას, რომლის მიზანია ქალის ჯანმრთელობის ხელშეწყობა ორსულობის ნებისმიერ ეტაპზე, ნაყოფის გადარჩენის უზრუნველყოფა და უსაფრთხო მშობიარობის წარმართვა.

ზრუნვა და კონტროლი ნაყოფისა და ახალშობილის განვითარებაზე პრე- და პოსტნატალურ პერიოდებში დიდ როლს თამაშობს მომავალი თაობის ჰარმონიული განვითარებისა და მათი ჯანმრთელობის სრულფასოვნობის ჩამოყალიბებაში. ავილოთ თუნდაც ნაყოფისა და ახალშობილის ჰიპოქსიური პროცესები, რომლებიც იწვევს მოზარდთა დეველუცურ ქცევებს, კერძოდ, მოზარდების 76%, რომლებსაც აქვთ გადატანილი პერინატალური იშემიური დაავადება, მიდრეკილია ნარკომანიისა და ტოქსიკომანიისადმი. ზოგიერთი პერინატალური პათოლოგია, 82% შემთხვევაში, ავადმყოფებს მოზარდის სისხლის სამართლის დამნაშავედ. პერინატალური პერიოდის გენეტიკურ სტიმებს შორის გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაზიანება მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება. გულის სისტემური გადახრები საწყის წყაროს წარმოადგენს მოზარდობის პერიოდში გულის იშემიური დაავადების განვითარებისათვის. განსაკუთრებით ყურადღების ღირსია მუცლად ყოფნის პერიოდში დედასა და ნაყოფს შორის იშემიური კონფლიქტური პროცესები, განპირობებული სისხლის ჯგუფური და რეზუს კუთვნილების შეუთავსებლობით, როდესაც ტოქსიური ბილირუბინემია იწვევს ენცეფალოპათიებს და სხვადასხვა სახის ნევროლოგიურ დაზიანებებს, რომლებიც გრძელდება მთელი სიცოცხლის განმავლობაში.

ცხრილი 4. პერინატალური და ნეონატალური ლეტალობის წამყვანი მიზეზები

ნაყოფი	დენაკალული	დროული
პლაცენტის უკმარისობა	დრამა დენაკალულობა	კონგენიტალური ანომალიები
მუცლადყოფნის ინფექცია	რესპირაციული დისტრეს სინდრომი	დაბადებისას ასფიქსია, ტრავმა
მზიმე კონგენიტალური მალფორმაციები (ანომალიები)	ინტრაცენტრიკულური ჰემორაგია	ინფექციები
პლაცენტის დაზიანება	ინფექციები	მეკონიუმის ასპირაცია პნევმონიით
ნაყოფის წყალმანკი	ნეკროზული ენტეროკოლიტი	პერსისტული პულმონური ჰიპერტენზია
	ბრონქოპულმონალური დისპლაზია	-

დღეისათვის დადგენილად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ახალშობილთა ძირითადი დაავადებების აღმოჩენა უშუალოდ იწყება მუცლადყოფნის პერიოდში, ნაყოფზე მრავალმხრივი უარყოფითი ფაქტორების ზეგავლენის გამო. ნაყოფზე მუდმივ ზემოქმედებას ახდენს დედის არასრულფასოვანი კვება, სივარცის მოწყვეა, ალკოჰოლიზმი, სხვადასხვა მედიკამენტების და ნარკოლოგიური საშუალებების მიღება, ფსიქოლოგიური ტრავმები და სხვა.

აქსიომად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ორსულობისა და მშობიარობის ბუნებრივ პროცესებში ჩართვა უნდა მოხდეს მხოლოდ საფუძვლიანი მიზეზების შემთხვევაში, იგი უნდა იყოს გამართლებული, ხელმისაწვდომი და უსაფრთხო.

თანამედროვე პერინატალური მედიცინის განვითარების სამსახური მეტად მჭიდრო კავშირშია ისეთ სამედიცინო დარგებთან, როგორცაა: სამედიცინო გენეტიკა, რეპროდუქტოლოგია, მეანობა, გინეკოლოგია, ნე-

ონატალოგია, პედიატრია და სხვა. მედიცინის ეს დარგები საგნობლად ამდიდრებს პერინატალოგიის შემუშავებულ სტანდარტებს მათი კრიტერიუმების დახურვის შემდეგ.

პერინატალური დაცვის თანამედროვე პრინციპებია:

- ორსულთა რისკის განსაზღვრა;
- პერინატალური დახმარების რეგონიზაცია;
- მშობიარობის ფიზიოლოგიური მართვა მინიმალური ჩარევით;

- მშობიარობის დემედიკალიზაცია;
- ეფექტური პირველადი რეანიმაცია.
- გამოძინარე ამგვარი მიდგომებიდან, ნეონატალოგ-რეანიმატოლოგები მუდმივად მზადყოფნაში უნდა იმყოფებოდნენ, რათა გაატარონ შესატყვისი რეანიმაციული ღონისძიებები პერინატალური პერიოდის რისკ-ფაქტორებით დაბადებულ ახალშობილებზე.

საქართველოში მრავალი წლების განმავლობაში ნაყოფის მკვლად შობადობა, დენაკალულობა, დედასა და ბავშვის სიკვდილიანობა მუდმივად მაღალი მაჩვენებლებით იყო დატვირთული. უშირესად ეს მოვლენები კავშირში იყო პერინატალური პერიოდის ნაყოფის ზრდა-განვითარების პროცესების მრავლობით დარღვევებზე. ამას კი უშუალო კავშირი ჰქონდა ქალთა კონსულტაციებისა და სამშობიარო სახლების უხარისხო მომსახურებასთან.

ანტენატალური მეთვალყურეობის მიზნით ყოველ ორსულ ქალს უნდა მიეწოდებოდეს ინფორმაცია, თუ ვინ უნდა განახორციელოს მისი მეთვალყურეობა, რა სკრინინგული ტესტები უნდა ჩაუტარდეს და სად უნდა დაიკავოს მისი მეთვალყურეობა და მშობიარობის პროცესები.


სოციალური მომსახურების ქსელის ვაჭერების პროგრამის თანახმად, დაბალი რისკის ჯგუფის ორსულებისათვის 4 ანტენატალური ვიზიტა გათვალისწინებულია, რომლის დროსაც ხორციელდება რუტინული კლინიკო-ლაბორატორიული გამოკვლევები, მათ შორის ერთჯერადად მცირე მენჯის დრუს ორგანოების ექოსკოპია მე-18-20 კვირის ორსულობაზე. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ერთჯერადი ექოსკოპიური გამოკვლევები ნაკლებად მისაღებია, რადგან პერინატალური პერიოდი რამდენიმე ეტაპისგან შედგება და ამიტომ ნაყოფის განვითარების პროცესებში მოგვიანებით შესაძლებელია ჩამოყალიბდეს პათოლოგიური პროცესები, რომლებიც ამოუცრობი აღმოჩნდება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, რომ დროული პერინატალური დიაგნოსტიკა უზრუნველყოფს ორსულობის მიმდინარეობას და ნაყოფის მდგომარეობის შეფასებას. პერინატალური დიაგნოსტიკის საფუძველზე დაყრდნობით შესაძლებელი ხდება:

- ორსულობის დარჩენილ ვადაში ნაყოფის მდგომარეობის მართვა;
- ორსულობის შეფასება;
- მშობიარობის პროცესის მოსალოდნელი გართულებების თავიდან აცილების ღონისძიებების შემუშავება;
- ორსულობის შეწყვეტის ან გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.


- ანტენატალური ვიზიტების ადექვატურ რაოდენობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციას მიაჩნია ანტენატალური ვიზიტების გაზრდის აუცილებლობა. საქართველოში როგორც ოფიციალური სტატისტიკა, ასევე კვლევები ანტენეტალური მომსახურებით მაღალ მოცვას გვაჩვენებს და ყოველწლიურად იზრდება ორ-

სულობის პირველ ტრიმესტრში ანტენატალურ მეთვალყურეობაზე აყვანილ ორსულთა წილი.

სურათი 6. ანტენატალური მომსახურებით მოცვა, 4 სრული ვიზიტი (%), საქართველო, 2002-2012



სურათი 7. ორსულობის პირველ ტრიმესტრში ანტენატალურ მეთვალყურეობაზე აყვანილ ორსულთა წილი (%), საქართველო, 2002-2012




წყარო: დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი


მიუხედავად ამისა, საქართველოში კვლავ მაღალია დედათა სიკვდილიანობის დონე და დედათა სიკვდილის მიზეზებს შორის ანტენატალური მოვლის ხარვეზებით გამოწვეული დედათა სიკვდილობის ხვედრითი წილი.

პოსპიტალური პერინატალური სამსახური გაწეული დახმარების მოცულობის ხარისხისა და კომპლექსურობის მიხედვით შეიძლება დაიყოს 3 ძირითად დონედ.

სურათი 8. დედათა სიკვდილიანობა 100000 ცოცხალშობილზე



სურათი 9. დედათა სიკვდილიანობა 100000 ცოცხალშობილზე, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები, ბოლო ხელმისაწვდომი წელი



წყარო: ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის „ჯანმრთელობა ყველასათვის“ მონაცემთა ბაზა

I დონე (საბაზისო) პერინატალური დახმარება მიეწოდება იმ ორსულებს, რომლებსაც სამშობიარო გართულებების დაბალი რისკი აქვთ. გართულების რისკ-ფაქტორების გამოვლენის შემთხვევაში ქალების გადაგზავნა მომსახურების უფრო მაღალი დონის დაწესებულებებში სათანადო დახმარების მისაღებად.

II დონე (სპეციალიზებული) პერინატალური დახმარება მიეწოდება ორსულებს, რომლებსაც დაუდინდათ გართულების განვითარების მაღალი რისკი, ან ზოგიერთ შემთხვევაში მსუბუქი ან საშუალო სიმძიმის პათოლოგიის მქონე ახალშობილების დახმარება, რომელთა მდგომარეობა სტაბილურია და მათი პრობლემები არ საჭიროებს დამატებით კვლევებს. ეს უზმირესად ეხება დღენაკლულ ახალშობილებს.

III დონე (მაღალი სპეციალიზებული) პერინატალური დახმარება მიეწოდება ქალებს ორსულობის და მშობიარობის გართულების განვითარების აშკარა ან პოტენციური მაღალი რისკით, რომელიც საფრთხეს უქმნის დედის, ნაყოფის და ახალშობილის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას. აღნიშნულის გამო ისინი მოითხოვენ უმაღლესი დონის სპეციალიზებულ დახმარებას ფართო სპექტრის სპეციალისტების ჩართვით და ნაყოფის კვლევების (ბიოქიმიური, ნეიროფიზიოლოგიური, იმუნური) ჩატარების შესაძლებლობას, როგორც დედისა და ნაყოფისთვის, ისე ახალშობილისათვის.

ორსულთა სხვადასხვა დონის მომსახურების სერვისების განხორციელება უშუალოდ წარმოებს რეფერალური სისტემის სწორად გააზრებული მონიტორინგის მეშვეობით. ეს არის II ან III დონის დაწესებულება, რომელიც წინასწარი შეთანხმების საფუძველზე უწევს ამავე პროფილის დაწესებულებებს აუცილებელ საკონსულტაციო დახმარებას ან ორსული გადაყვას უფრო მაღალი დონის სპეციალიზებულ სამშობიარო სახლებში.

დედის ნაკლებად კონტროლირებადია საქართველოს რეგიონებში პერინატალური სამსახურის მდგომარეობა, მათ შორის ახლადშენებულ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში, როგორ არიან ისინი მატერიალურ-ტექნიკური თვალსაზრისით მომარაგებულნი და მომსახურების რომელ დონეს მიეკუთვნებიან. თუ რეფერალური სისტემის მონაცემებით ვიმსჯელებთ, ხშირია მივლინებულ სპეციალისტთა არაკვალიფიციციური დახმარება, ორსულთა დაგვიანებული გადაყვანა ქვეყნის ცენტრალურ სტაციონარებში და სხვა. ეს ყველაფერი მაგალითია იმისა, რომ რეფე-



რალური პროგრამის მონიტორინგი არასწორად არის დაგეგმილი და იგი მოიცავს გარკვეულ ხარვეზებს. პერინატალური დახმარების სრულყოფილი სერვისების გამოყენებას ხელს უშლის ის გარემოებაც, რომ დღემდე საქართველოში სამშობიარო სახლები სტანდარტულად არ არიან დაყოფილი პროფესიონალური დახმარების დონის მიხედვით. 94 სამშობიარო დაწესებულება, რომელიც დღეს საქართველოში ფუნქციონირებს, მათზე გაცემული სერტიფიკატების მიხედვით თითქმის ერთმანეთისაგან დიდად არ განსხვავდება და ამიტომაც მათი საქმიანობის არეალიც ბევრ გაუგებრობას იწვევს. ამას კიდევ ხელს უწყობს რეგიონალური პერინატალური ცენტრების პროფესიონალური კადრებისა და სათანადო აღჭურვილობის არარსებობაც.

გესტაციური ასაკის ნაყოფის პათოლოგიური პროცესის ან ნაადრევი მშობიარობის რისკის დადგენის მიზნით მოწოდებულია პერინატალური დიაგნოსტიკის შემდეგი მეთოდები:

- ულტრასონოგრაფია;
- ამნიოცენტეზი;
- ქორიონის ხალების კვლევა;
- დედის სისხლში სხვადასხვა სახის ბიოქიმიური, მოლეკულურ-ბიოლოგიური და იმუნოლოგიური ანალიზები.

**ულტრასონოგრაფიული სკრინინგი** – არაინვაზიური მეთოდია. მისი საშუალებით შესაძლებელია სხვადასხვა ორგანოსა და ქსოვილების ამნიონური სითხის გარემოცვაში ჩაძირული ნაყოფის ხილვადი გამოსახულების მიღება დაწყებული მე-9 კვირიდან, ხოლო ყველაზე ეფექტურად კი მე-16-20 კვირებში. ულტრასონოგრაფიის კვლევით შესაძლებელია ნაყოფის პლაცენტის ზომების, მისი პოზიციის, ამნიონური სითხის რაოდენობისა და ნაყოფის მთლიანად ანატომიის დადგენა.

**ამნიოცენტეზი** – ინვაზიური მეთოდია. მცირე მუცლის ასაკში ინექციის საშუალებით ხდება საშვილოსნოს ამნიონური სითხის მიღება (მე-14 კვირიდან), მასზე შეიძლება განხორციელდეს ქრომოსომული, ბიოქიმიური, მოლეკულურ-ბიოქიმიური ანალიზი. ამნიოცენტეზის გვერდითი გამოვლინების რისკი მინიმალურია, თუ ექიმში ამ საქმეში დახელოვნებულია.

**ქორიონის ხალების კვლევა** – ულტრაბერის კონტროლით კათეტერი შეჰყავთ საშვილოსნოს ყელიდან პლაცენტამდე. ტარდება ქორიონის ხალების უჯრედების ქრომოსომული ანალიზი და ნაყოფის კარიოტიპირება. შესაძლებელია ჩატარდეს ბიოქიმიური ან მოლეკულური ბიოლოგიური ანალიზი (ორსულობის 0-12 კვირამდე).

**დედის სისხლში სხვადასხვა სახის ბიოქიმიური, მოლეკულურ-ბიოლოგიური და იმუნოლოგიური ანალიზი:**

- ემბრიონალური უჯრედების კვლევა – ქრომოსომული აპარატის ტიპირება;
- ტრიპლე სკრინინგი – კომბინირებული კვლევის მეტად მგრძობიარე ტესტი. იგი იძლევა საშუალებას, დროულად შეფასდეს ემბრიონალური გადახრები, როგორც არის: ნერვული ღეროების დეფექტი, მე-21 ქრომოსომის ტრისომია, მე-18 ქრომოსომის ტრისომია, მრავალნაყოფიანი ორსულობა და ემბრიონალური ლეტალობა. ეს ტესტი გულისხმობს ალფა-ფეტო პროტეინის, Beta HCG და ესტროლის ერთდროულ განსაზღვრას.

არსებობს კიდევ მრავალი გამოკვლევა (ინჰიბინის განსაზღვრა, Beta HCG ცალკე განსაზღვრა და სხვა). დედის სისხლში ჩართული გამოკვლევები, რომლებიც პერინატალური დიაგნოსტიკის საკითხებისათვის

უაღრესად დიდი მნიშვნელობისაა, რატომაც ხელმიუწვდომელია საქართველოს მრავალი სამშობიარო სახლებისათვის, მაშინ როდესაც ჩვენი ქვეყნის დიდ ქალაქებში და უშუალოდ ქ. თბილისში დიდი რაოდენობით არის გახსნილი უცხოური უმაღლესი დონის ლაბორატორიები, სადაც თავისუფლად არის შესაძლებელი ჩამოთვლილი ანალიზების გაკეთება. თუმცა რაზე უნდა ვილაპარაკოთ, როდესაც საქართველოს უმრავლეს სამშობიარო სახლებში ამნიოცენტეზის გამკეთებელი ნაკლებად მოიძებნება. დღეს საქართველოს დედათა და ბავშვთა სამსახური იმ ამოცანის წინაშეა, თუ როგორ მოახდინოს პერინატალური სამსახურის ორგანიზება, რათა არსებული შესაძლებლობების ფარგლებში გაუწიოს მაღალი ხარისხის სამედიცინო დახმარება. ამისათვის საჭიროა გადაისინჯოს საქართველოში დღეისათვის არსებული პერინატალური სამსახურის მოწყობის ორგანიზაციურ-ფუნქციური გეგმა, რათა შემუშავდეს სათანადო რეკომენდაციები საჭირო ცვლილებების შესახებ.

პერინატალური დარგის განვითარების მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

1. სამედიცინო დარგებში პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადდეს პერინატალური და ნეონატალური დარგების განვითარება, როგორც მყარი ინდიკატორები ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებისა საქართველოში
2. გაიზარდოს სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე ორსულთა ვიზიტების რაოდენობა, ხარისხი და მათი მომსახურების სერვისებში გაფართოვდეს ლაბორატორიული და ექოსკოპიური კვლევების რიცხვი
3. გაძლიერდეს პირველადი ჯანდაცვის (ქალთა კონსულტაციები და ოჯახის ექიმები) და სამშობიარო სახლების ერთობლივი კოორდინირებული საქმიანობა, რათა პერინატალური დახმარება აყვანილ იქნეს პროფესიონალურ დონემდე
4. საქართველოში პერინატალური მედიცინის სწრაფი განვითარების მიზნით ქვეყნის ძირითად რეგიონებში ჩამოყალიბდეს სპეციალიზებული სამშობიარო სახლები (III დონის მომსახურებისათვის), რომლებსაც შეეძლება მაღალ დონეზე აწარმოონ ნაყოფის მართვის ყოველგვარი პროცედურები
5. რეგიონალიზაციის პრინციპების სწორად წარმართვის მიზნით გაფართოვდეს და გააქტიურდეს რეფერალური სისტემის მონიტორინგი, რაც საგრძობლად გააუმჯობესებს ორსულ ქალთა პერინატალური პროცესების სწორად წარმართვას, მომსახურების სხვადასხვა დონის პირობებში.
6. მუდმივ რეჟიმში განხორციელდეს პერინატალური დარგის გაიდლაინების დანერგვა საქართველოს ყველა სამშობიარო დაწესებულებაში, რათა მათი მეშვეობით განხორციელდეს კლინიკო-ლაბორატორიული მეთოდებისა და ახალი ტექნოლოგიების გამოყენება ნაყოფის პათოლოგიური პროცესების დადგენის მიზნით.
7. საქართველოს სამშობიარო სახლებში განხორციელდეს პერინატალური დარგში მომუშავე სპეციალისტების გადამზადება, უწყვეტი სამედიცინო განათლებისა და სერტიფიცირების სწორად წარმართვის პროცესების გათვალისწინებით
8. ინფორმირებულობის გაზრდა;
9. საქართველოში პერინატალური განვითარების მიზნით მიზანშეწონილია III დონის სამშობიარო სახლებში დაინერგოს ექიმ-პერინატოლოგთა სპეციალური შტატი, რომლის მაგალითს წარმოადგენს მრავალი განვითარებული ქვეყნები.

**ლიტერატურა:**

1. <http://www.ncdc.ge/index.php?do=fullmod&mid=139>

რეზიუმე

პერინატალური მართვის პრიორიტეტები და მათი განვითარების პერსპექტივები საქართველოში

პროფესორი ავთანდილ კვეზერელი-კოპაძე საქართველოს პედიატრთა ასოციაციის პრეზიდენტი

საქართველოს დღევანდელი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მკვეთრად აისახება მოსახლეობის და, კერძოდ, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. ჯანდაცვის სფეროში გატარებული რეფორმების ანალიზმა გამოავლინა შემდეგი:

- სამედიცინო პერსონალის დაბალი ანაზღაურება;
- სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუარესება;
- სამედიცინო დაწესებულებების მწირი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- სამედიცინო მომსახურების დაბალი ხელმისაწვდომობა.

პერინატალური დარგის განვითარების მიზნით ემუშავებულა საჭირო ღონისძიებების გატარება.

SUMMARY

PRIORITIES OF PERINATAL MANAGERMENTS AND PERSPECTIVES OF THEIR DEVELOPMENT IN GEORGIA

Prof. A. KVEZERELI-KOPADZE President of Georgian Pediatric Association

Hard social-economic situation in Georgia is reflected on population and on mother-child health situation. Analysis of new reforms in the healthcare fields revealed following points:

- Low Salaries of Healthcare personnel
- Quality of Health Service Decreased
- Low Quality of Equipment in Medical institutions
- Low accessibility to the Health Service.

Several Steps to evolve perinatal field has been worked out.

S O S

პედიატრიის კომერსიალიზაცია მიუღებელია

პროფესორი ავთანდილ კვეზერელი-კოპაძე საქართველოს პედიატრთა ასოციაციის საპატიო პრეზიდენტი



როგორც იქნა დაიბადა შესანიშნავი ჯანმრთელი ბავშვი, რას ახვედრებს საქართველოს პედიატრიული სამსახური ამ ღვთისაგან მოვლენილ არსებას? საქართველოს პედიატრიულ სამსახურს მრავალი პატრონი და გულშემოტიკივარი ჰყავდა:

1. თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული ფაკულტეტი მისი კათედრებით;
2. ჯანდაცვის სამინისტროს დედათა და ბავშვთა სამმართველო, რომელიც შემდგომში გადაკეთდა იმავე დასახელების დეპარტამენტად;
3. პედიატრიის ს/კ ინსტიტუტი,

რომელიც სპეციალურად გაიხსნა ამ დარგის ხელმძღვანელობისათვის და 50 წლის განმავლობაში დიდი წვლილი შეჰქონდა საქართველოში პედიატრიული აზროვნების, პრაქტიკული ცოდნის გაღრმავებისა და მეთოდოლოგიური კრიტერიუმების დანერგვის ღონისძიებებში.

ყველა ეს ჩამოთვლილი ორგანიზაციები საუბედუროდ ერთიანად წარსულს ჩაბარდა. განა კანონზომიერად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ დღეისათვის საქართველოს გენოფონდი, როდესაც ესეთ მძიმე მდგომარეობაში იმყოფება, მისი ფლაგმანი პედიატრიის ს/კ ინსტიტუტი ლიკვიდაციის ფორმატშია წარმოდგენილი. თუ ღრმად გავაანალიზებთ დღევანდელი პედიატრიული სამსახურის მოწყობილობას, დავრწმუნდებით, რომ მისი დღევანდელი ნეგატიური მოვლენების მიზეზთა შორის გარკვეულ როლს თამაშობს მრავალი პედიატრიული დაწესებულების კერძო სექტორში გადასვლა. აღნიშნულმა რეფორმებ-

მა მოკლე დროით თითქმის გაურკვეველი პროგრესი გამოიწვია ბავშვთა მომსახურების მრავალმხრივი სერვისების დანერგვის საკითხებში, მაგრამ სრულფასოვანი პროფილაქტიკისა და მკურნალობის განხრით მთლიანად ქვეყნის მასშტაბით უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა. დაირღვა სინქრონულად მიმდინარე ურთიერთდამოკიდებულება პირველადი ჯანდაცვის რგოლისა და სადაზღვევო კომპანიებსა და ჰოსპიტალურ სექტორს შორის. ამის მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს კომერცისადმი დიდი ლტოლვა, რამაც თავის რიგად გამოიწვია პაციენტების მიმართ არასრულფასოვანი სერვისების განხორციელება და მკურნალობის პროცესების უხარისხოდ ჩატარება.

დაფიქრებას მოითხოვს რამდენად მიზანშეწონილია, როდესაც მთლიანად საქართველოს პედიატრიული სამსახური გადაყვანილი არის კერძო პირთა დაქვემდებარებაში. რა უარყოფითი ზეგავლენის მოხდენა



შეუძლია ჩატარებულ რეფორმებს:

1. კერძო სექტორი ნაკლებად კონტროლირებადია სახელმწიფო ორგანოების მხრიდან;

2. სრულად იგნორირებულია პედიატრიული დარგის პროფილაქტიკური მედიცინის საფუძვლები და მთლიანად გადასული არიან მხოლოდ სამკურნალო საქმეზე;

3. მეტად სავალალოა პედიატრიული სამსახურის მდგომარეობა რეგიონებში, პირველადი ჯანდაცვის და ჰოსპიტალური მომსახურების სფეროებში. იგი გამოირჩევა მეტად დაბალი სამედიცინო მომსახურების დონით, რამაც გამოიწვია ავადმყოფთა განუწყვეტელი დინება თბილისის სტაციონარებისაკენ, რაც იწვევს მათ საგრძნობ გადარტყმას. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში პედიატრიული საწოდების დაგეგმარების დონისძიებებს ნაკლები ყურადღება ეთმობა. დაიხურა რამდენიმე ბავშვთა სტაციონარი, გაუქმდა ბავშვთა საწოდების ზოგიერთ მოზრდილთა საავადმყოფოებში, რამაც მთლიანობაში გამოიწვია ბავშვთა საწოდების ფონდის შემცირება ქვეყანაში. ჩვენს მიერ შესწავლილმა მონაცემებმა გამოავლინა შემდეგი სურათი.

ცხრილი №5  
ზოგიერთი მონაცემი 0-დან 15 წლამდე ასაკის ბავშვთა ლეტალობისა და სამედიცინო სერვისების შესახებ საქართველოში

	1995	2007	2008	2011
პედიატრიული საწოდების სასუალო წლიური რაოდენობა	6186	2542	2479	2011
საწოდებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი 1000 ბავშვზე 0-15 წლამდე	5.8	3.3	3.3	2.6
ჰოსპიტალიზებულ ბავშვთა რაოდენობა	54393	64658	69553	73389
ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებელი 1000 ბავშვზე 0-15 წლამდე	50.8	84.3	92.5	96.5
ახალი შემთხვევების რაოდენობა	201424	273032	276872	406709
ავადობის მაჩვენებელი 1000 ბავშვზე 0-15 წლამდე	184.8	355.9		534.9

**რეზიუმე**

**S O S  
პედიატრიის კომერციალიზაცია მიუღებელია**

პროფესორი ავთანდილ კვეზერელი-კოპაძე, საქართველოს პედიატრთა ასოციაციის საპატიო პრეზიდენტი

საქართველოს პედიატრიულ სამსახურს მრავალი პატრონი და გულშემატკივარი ჰყავდა. ეს ორგანიზაციები კი საუბედუროდ ერთიანად წარსულს ჩაბარდა.

დაფიქრებას მოითხოვს რამდენად მიზანშეწონილია, როდესაც მთლიანად საქართველოს პედიატრიული სამსახური გადაყვანილი არის კერძო პირთა დაქვემდებარებაში. რა უარყოფითი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ჩატარებულ რეფორმებს.

**SUMMARY**

**COMMERCIALIZATION OF PEDIATRY IS UNACCEPTABLE**

Prof. A. KVEZERELI-KOPADZE, President of Georgian Pediatric Association

Pediatric field had a lot of supporters. However, now most of those organizations are in the past.

It must be discussed if the fact that whole Georgian Pediatric service is in the hands of private companies. What kind of negative effects can this kind of reforms do?

ხანში თითქმის აღარ გვევლინება აკადემიური აღმზრდელი პედაგოგები, რომელთა გარეშეც ვერ მოხდება თაობათა ცვლის კანონზომიერი პროცესები საქართველოში. ვინ უნდა გამოასწოროს დღევანდელი პედიატრიული სამსახურის მიმე მდგომარეობა? მხოლოდ ჯანდაცვის სამსახურის ძალისხმევით ამ დარგის ნორმალურ პირობებში ჩაყენება შეუძლებელია, თუ ამ საქმეში არ ჩაერთო მთლიანად საქართველოს პედიატრიული საზოგადოება და მისი წამყვანი ბირთვი დარგობრივი ასოციაცია, როგორც ეს დაკანონებულია უცხოეთის სამედიცინო დარგში. მათი წევრობა ყველა პედიატრისათვის მეტად სასახელოა, ამიტომ ყველაფერს აკეთებენ, რათა საკუთარი წვლილი შეიტანონ თავისი დარგის აღორძინებისათვის. საქართველოში კი მეტად სამარცხეინოა, რომ ბევრმა პედიატრმა არც კი იცის, რომ არსებობს ასეთი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლის წევრობაც სავალდებულოა, ვიდრე იგი ამ პროფესიით არის დასაქმებული.

დარგობრივი ასოციაციის არსებობა და მათი მრავალმხრივი საქმიანობა ის ძირითადი ქვაკუთხედი, რომლითაც ხორციელდება პროფესიონალიზმის აღორძინებისა და განვითარების საქმე.

ვიმედოვნებთ, რომ ახლად არჩეული პედიატრთა ასოციაციის პრეზიდენტი და გამგეობის წევრები გამოძებნიან ისეთ ღონისძიებებს, რომლითაც დაინტერესებენ საქართველოს პედიატრებს, რომ ისინი გახდნენ ასოციაციის ნამდვილი წევრები და ამით ნაწილობრივ მაინც მოახდინონ დაქსაქსული პედიატრიული საზოგადოების გამოთლიანება.

ლიტერატურა:  
1. <http://www.ncdc.ge>

# პედიატრთა უწყვეტი პროფესიული განვითარება

ირაკლი შავლენიშვილი - საქართველოს პედიატრთა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (საქართველოს პედიატრთა აკადემია)



პედიატრთა უწყვეტი პროფესიული განვითარება ერთეორი უმნიშვნელოვანესი საკითხია. შრომაში დაწვრილებით იქნება გა-

ანალიზებული ექიმთა პროფესიული მზადების კონცეფციის არსი, სამედიცინო განათლების საფეხურები და სხვ.

## ექიმთა აკოფესიული მზადების კონცეფციის არსი

პროფესიული სამედიცინო მ.შ. პედიატრის საფეხურებობრივი განათლება უმაღლესი სასწავლებლის პირველი კურსიდან დაწყებული და ექიმის პროფესიული საქმიანობის ბოლო დღით დამთავრებული, არ მორიზრება უწყვეტობის გარეშე მთელი ამ ხნის განმავლობაში

**სამედიცინო განათლების საფეხურები**  
(ევროდირექტუა 2005/36EC, WFME, WHO)

საბაზისო განათლება


დიპლომის შემდგომი განათლება/რეზიდენტურა

უწყვეტი პროფესიული განვითარება

### მართიანი დიპლომის შემდგომი საკვალიფიკაციო გამოცდა მემიციონაში

წლები	სიითი რაოფინოა	ზღვარი დაპლია	ზღვარი ვირ დაპლია	არ ბამოცხადლა
2006	1 450	652 (45,0%)	718 (49,5%)	80 (5,5%)
2007	1 370	661 (48,2%)	635 (46,4%)	74 (5,4%)
2008	1 156	484 (41,9%)	628 (54,3%)	44 (3,8%)
2009	1 310	579 (44,2%)	678 (51,8%)	53 (4,0%)
2010	1 291	668 (51,7%)	539 (41,8%)	84 (6,5%)
2011	1 079	310 (28,7%)	658 (61,0%)	111 (10,3%)
2012	1 042	211 (20,2%)	666 (64,0%)	165 (15,8%)
2013	955	260 (27,2%)	548 (57,4%)	147 (15,4%)

### ექიმის პროფესიული მზადება ევროპაში



□ მსოფლიოში იზრდება უპე-ს რეგულირების აუცილებლობა ევროკავშირის ქვეყნები – სავალდებულოა 21 ქვეყანაში 2012 წლის მონაცემები

რითი მიიღწევა ეს სავალდებულოა ?

სავალდებულოა კანონმდებლობით	სავალდებულოა რეგულაციებით	სავალდებულოა პროფესიული ასოციაციების მოთხოვნით
1. ხორვატია	1. უნგრეთი	1. ირლანდია
2. ჩეხეთი	2. ღატვია	2. იტალია
3. საფრანგეთი	3. ღიტვა	3. შვეიცარია
4. გერმანია	4. პოლანდია	
5. საბერძნეთი	5. სლოვენია	
6. პოლონეთი	6. დიდი ბრიტანეთი	
7. რუმინეთი	7. ავსტრია	
8. სლოვაკეთი	8. ღუქსემბურგი	

### ექიმის პროფესიული მზადება საქართველოში



ევროკავშირის ქვეყნები – არაა აუცილებელი 12 ქვეყანაში 2012 წლის მონაცემები

1. ბელგია	7. მალტა
2. ბულგარეთი	8. ნორვეგია
3. კვიპროსი	9. პორტუგალია
4. დანია	10. ესპანეთი
5. ესტონეთი	11. შვეცია
6. ფინეთი	12. თურქეთი

თუმცა არსებობს უპე-ს მოტივაციის და წახალისების ფორმები – ძირითადად ფინანსური



**უკბ / უსბ ს ა მ ე ა რ ო**

ორგანიზატორები და განმახორციელებლები საკრედიტაციო და მარეგულირებელი ორგანოები

ექიმები კომერციული სპონსორები


სამედიცინო სკოლები/ინსტიტუტები/უნივერსიტეტები

სამედიცინო დაწესებულებები /კლინიკები / საავადმყოფოები

სამედიცინო განათლების არასამთავრობო ორგანიზაციები /კოორდინატორები

ჯანდაცვის ორგანიზატორების წარმომადგენლები


დამსაქმებლები სამედიცინო ასოციაციები ფარმაცევტული კომპანიები



სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაცია (WFME):




სამედიცინო განათლების ხარისხის გაუმჯობესების გლობალური სტანდარტები ევროპის სპეციფიკაციების გათვალისწინებით (2007)

**მიზანი:**  
ექიმის პროფესიული მზადების პარამონიზაცია ევროპაში




**სამედიცინო განათლების რეგულაცია**

სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) ტრილოგია (ხარისხის გაუმჯობესების გლობალური სტანდარტები)





რატომაა ასე მნიშვნელოვანი ასოციაციების როლიც ექიმის კომპეტენციის შენარჩუნებაში



მაკოლმ კენდრიკი

„პარტნიორობა სწავლებაზე მთელი ცხოვრების მანძილზე“

სამედიცინო სკოლის დასრულების შემდგომ ექიმი "ფხვდაფხვს რომ მიყვას" თანამედროვე მედიცინის გამოწვევებს მხოლოდ სამედიცინო პუბლიკაციების კითხვით, დაჭირდება სრული 55 წელიწადი "წიგნთან ჯდომა"

სისტემური მიმოხილვა: შედარებითი ანალიზი კლინიკურ გამოცდილებასა და სამედიცინო მომსახურების ხარისხს შორის

წყარო: Niteesh K. Choudry MD, Robert H. Fletcher MD, MSc and Stephen B. Soumerai, " Systemic Review: The Relationship between Clinical Experience and Quality of Health Care" – Ann Inter Med. 2005 Feb 15; 142 (4):260-73

- დადგინდა უარყოფითი კავშირი ექიმის პროფესიული მოღვაწეობის ხანგრძლივობასა და სამედიცინო დახმარების ხარისხს შორის. კერძოდ,
  - 62 საექსპერტო კვლევიდან 32 (52%) კვლევა მიუთითებს სამედიცინო დახმარების გაწევის ხარისხის ყველა პარამეტრის შემცირებაზე სამედიცინო მოღვაწეობის ხანგრძლივობის მატებასთან ერთად;
  - 13 საექსპერტო კვლევა (21%) მიუთითებს სამედიცინო დახმარების გაწევის ხარისხის რამდენიმე პარამეტრის შემცირებაზე სამედიცინო მოღვაწეობის ხანგრძლივობის მატებასთან ერთად;
  - 2 საექსპერტო კვლევა (3%) მიუთითებს სამედიცინო დახმარების გაწევის ხარისხის რაღაც ეტაპამდე მომატებაზე, ხოლო შემდგომ შემცირებაზე სამედიცინო მოღვაწეობის ხანგრძლივობის მატებასთან ერთად;

სისტემური მიმოხილვა: შედარებითი ანალიზი კლინიკურ გამოცდილებასა და სამედიცინო მომსახურების ხარისხს შორის

წყარო: Niteesh K. Choudry MD, Robert H. Fletcher MD, MSc and Stephen B. Soumerai, " Systemic Review: The Relationship between Clinical Experience and Quality of Health Care" – Ann Inter Med. 2005 Feb 15; 142 (4):260-73

- 13 საექსპერტო კვლევა (21%) ვერ გამოავლინა რაიმე კავშირი სამედიცინო დახმარების გაწევის ხარისხსა და სამედიცინო მოღვაწეობის ხანგრძლივობის მატებას შორის;
- 1 საექსპერტო კვლევა (2%) გამოავლინა სამედიცინო დახმარების გაწევის ხარისხის მხოლოდ რამდენიმე პარამეტრის მატება სამედიცინო მოღვაწეობის ხანგრძლივობის მატებასთან ერთად;
- 1 საექსპერტო კვლევა (2%) გამოავლინა სამედიცინო დახმარების გაწევის ხარისხის ყველა პარამეტრის მატება სამედიცინო მოღვაწეობის ხანგრძლივობის მატებასთან ერთად;

სისტემური მიმოხილვა: შედარებითი ანალიზი კლინიკურ გამოცდილებასა და სამედიცინო მომსახურების ხარისხს შორის

წყარო: Niteesh K. Choudry MD, Robert H. Fletcher MD, MSc and Stephen B. Soumerai, " Systemic Review: The Relationship between Clinical Experience and Quality of Health Care" – Ann Inter Med. 2005 Feb 15; 142 (4):260-73

დასკვნა

•ექიმისათვის არსებობს სამედიცინო დახმარების ხარისხის შემცირების რისკი მისი პრაქტიკის ხანგრძლივობის მატებასთან ერთად.

•ექიმისათვის აუცილებელია მუდმივი სწავლა/ტრენინგი სამედიცინო დახმარების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

ექიმთა დაბალი კვლიფიკაცია – ეს დაკარგული სიცოცხლეები, ჯანმრთელობა და ხარჯები

დიდი ბრიტანეთი – ყოველწლიურად აღირიცხება 850 000

გართულება, რომელიც დაკავშირებულია ექიმთა არასწორ ქმედებებთან.

პოსპიტალიზებულ ავადმყოფთა 10%-ს უვლინდება გართულებები,

რომელთა ნახევარი შეიძლება თავიდან იქნეს აცილებული.

ზარალი: 3 მილიარდი დოლარი

კანადა – საექიმო შეცდომა რეგისტრირდება 13 პოსპიტალიზებული

ავადმყოფიდან 1 შემთხვევაში.

ზარალი: ზედმეტი 1.1 მილიონი საწოდ-დე

აშშ – ყოველწლიურად აღირიცხება სიკვდილობის 44 - 98 ათასი

შემთხვევა რომელიც დაკავშირებულია საექიმო შეცდომასთან.

ზარალი: 17-29 მილიარდი დოლარი

საქართველო – ამ სახის ვალიდური კვლევა არ არის ჩატარებული

რა არის „უწყვეტი პროფესიული განვითარება“

„უწყვეტი პროფესიული განვითარება (უპგ)“ არის საგანმანათლებლო მეთოდი, რომელიც ავსებს, ავითარებს და აძლიერებს ექიმთა უნარს მიუსადაგონ ცოდნა, ჩვევები და დამოკიდებულება მათ ყოველდღიურ პროფესიულ საქმიანობას.

უპგ-ის მიზანია გააუმჯობესოს პრაქტიკოსი ექიმის საქმიანობის ყველა ასპექტი“.

სამედიცინო სპეციალობათა ევროპული კავშირის (UEMS) „ბაზელის დეკლარაცია“ (2001 წ.)



უბ სისტემა:

- უზრუნველყოფს ექიმის წარმატებულ საქმიანობას;
- ორიენტირებულია ექიმის პრაქტიკული კლინიკური საქმიანობის სტანდარტების ამაღლებაზე და, შესაბამისად, სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე და არა მხოლოდ ექიმის განათლებაზე;
- მაქსიმალურად ხელმისაწვდომი ექიმისთვის, როგორც დროის თვალსაზრისით, ისე ფინანსურად და გეოგრაფიულად;
- იმართება ექიმის და მისი პროფესიულ გაერთიანებაში მონაწილეობით.

**ექიმის უწყვეტი პროფესიული განვითარება**

თავად ექიმის, ექიმთა პროფესიული გაერთიანებების, სამედიცინო და საგანმანათლებლო დაწესებულებების, პაციენტთა ჯგუფებისა და სახელმწიფოს თანამშრომლობით უნდა მიმდინარეობდეს.

**უწყვეტი პროფესიული განვითარების ძირითადი კომპონენტებია**

- უწყვეტი სამედიცინო განათლება;
- უწყვეტი პრაქტიკული საქმიანობა;
- პროფესიული რეაბილიტაცია;
- ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესება.

**უწყვეტი სამედიცინო განათლება**

- დასწრებული უწყვეტი სამედიცინო განათლების ფორმები:
- მოკლევადიანი (1-10 დღე) სწავლების/ტრენინგების კურსები;
  - ლექციები;
  - ადგილობრივ და საერთაშორისო პროფესიულ კონფერენციებში, კონგრესებში მონაწილეობა;
  - სტაჟირება მეთრეული ან მესამეული დონის სამედიცინო დაწესებულებაში როგორც ქვეყნის ფარგლებში, ისე მის გარეთ.

**უწყვეტი სამედიცინო განათლება**

- დაუსწრებელი უწყვეტი სამედიცინო განათლების ფორმები:
- დასკვნითი შეფასების კითხვარით თანხლებული ნაბეჭდი ლიტერატურის დამუშავება;
  - დასკვნითი შეფასების კითხვარით თანხლებული აუდიო, ვიდეო, მულტიმედიის მასალების დამუშავება;
  - ინფორმაციის გაცნობა და დამუშავება ინტერნეტისა და ინფორმატიკის სხვა საშუალებების გამოყენებით, თანხლებული დასკვნითი შეფასების კითხვარით.

**უწყვეტი სამედიცინო განათლება**

უწყვეტი სამედიცინო განათლების სხვა ფორმები:

- ✓- უსვ პროგრამების მომზადება და ჩატარება;
- ✓- დიპლომის შემდგომი მზადების პროგრამების წარმართვა;
- ✓- უმაღლეს სამედიცინო სასწავლებელში კლინიკური დისციპლინების სწავლება;
- ✓- აკადემიური ხარისხის მოპოვება;
- ✓- მოხსენების მომზადება და წარმოდგენა ადგილობრივ და საერთაშორისო პროფესიულ კონფერენციებზე, კონგრესებზე;
- ✓- სამეცნიერო ნაშრომის (სტატიის) გამოქვეყნება;
- ✓- მონოგრაფიის, სახელმძღვანელოს ან კლინიკური რეკომენდაციების („გაიდლაინი“) მომზადება;
- ✓- პრაქტიკული კლინიკური საკითხების ამსახველი პუბლიკაციების გამოქვეყნება;
- ✓- რეფერატული მიმოხილვების მომზადება და მათი წარმოდგენა.

**უწყვეტი პრაქტიკული საქმიანობა**

უწყვეტი პრაქტიკული საქმიანობა ექიმის ყოველდღიურ პროფესიულ აქტიურობას მოიცავს და არ გულისხმობს ექიმის მოწყვეტას აღნიშნული საქმიანობისაგან. უწყვეტი პრაქტიკული საქმიანობა ფასდება შემდეგი რაოდენობრივი მაჩვენებლებით:

- გატარებული პაციენტების რაოდენობა;
- მანიპულაციების რაოდენობა;
- კლინიკურ გარჩევებში, კონსილიუმებში მონაწილეობა;
- შემოვლა, კონსულტაციები;
- ლეტალური შემთხვევების გარჩევაში, კლინიკურ-პათოლოგანატომიურ კონფერენციებში მონაწილეობა.

**პროფესიული რეაბილიტაცია**

პროფესიული რეაბილიტაცია განკუთვნილია მხოლოდ იმ ექიმისთვის, რომლის პროფესიული აქტიურობა დაბალია (სტაჟის წყვეტა ან არასაკმარისი დატვირთვა).

პროფესიული რეაბილიტაცია გულისხმობს შედარებით ხანგრძლივი (2-5 თვე) პროგრამებით მზადებას.



**ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესება**

- ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესება თითოეული სამედიცინო დაწესებულების მნიშვნელოვანი ინტერესი და პრეროგატივაა.
- ხარისხის გაუმჯობესება გულისხმობს ექიმის პრაქტიკული საქმიანობის შეფასებას (შიდა ან გარე აუდიტი);

**უწყვეტი პროფესიული განვითარება**

უწყვეტი სამედიცინო განათლების მართვითი ფორმები	I ტიპის უპ/თლა
უზ. მოკლევადიანი (1-10 დღე) ტრენინგი	1 საათი - 1 ქულა
დღეცხრა დასკვნითი შეფასებით ან მის გარეშე	1 საათი - 1 ქულა
აფილიატივი და საერთაშორისო პროფესიულ კონფერენციასზე, კონგრესზე, ფორუმზე და სხვ. დასწრება	1 საათი - 0,5 ან 1 ქულა
სტაჟირება სარეზიდენტო პროგრამებში მონაწილე სამედიცინო დაწესებულებაში ანდა უცხოეთის შესატყვის დაწესებულებაში	1 დღე - 0,5 ან 1 ქულა
პროფესიული რეაბილიტაციის კურსის ავტორობა/განხორციელება	1 თვე - 15 ქულა
სამუშაო სტაჟი	II ტიპის უპ თლა
5 სრული წელიწადი და მეტი	75 ქულა
4 სრული წელიწადი	60 ქულა
3 სრული წელიწადი	45 ქულა
2 სრული წელიწადი	30 ქულა
1 სრული წელიწადი	15 ქულა
1 წელიწადზე ნაკლები/სტაჟის გარეშე	0 ქულა
პროფესიული რეაბილიტაციის განხორციელება	III ტიპის უპ თლა
1 თვე	15 ქულა
2 თვე	30 ქულა
3 თვე	45 ქულა
4 თვე	60 ქულა
5 თვე	75 ქულა

**უპ და რესერტიფიკაცია**

უწყვეტი პროფესიული განვითარების სისტემაში მონაწილეობა და დადგენილი რაოდენობის ქულების დაგროვება ექიმს საშუალებას აძლევს გაიგრძელოს სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედების ვადა გამოცდის გარეშე.

ანუ, სასერტიფიკაციო გამოცდაზე გასვლა არ არის აუცილებელი რესერტიფიკაციისათვის!

**უპ და რესერტიფიკაცია**

მეორე მხრივ, თუ პრაქტიკულად მომუშავე ექიმს სურვილი აქვს სერტიფიკატის ვადა გაიგრძელოს სასერტიფიკაციო გამოცდაზე გასვლის გზით, მას არ მოეთხოვება უწყვეტი სამედიცინო განათლებაში მონაწილეობის დადასტურება ქულების წარდგენით.

ანუ, უპ-ში მონაწილეობა არ არის აუცილებელი რესერტიფიკაციისათვის!

**უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელმისაწვდომობის და დაზინანების შესახებ**

უწყვეტი პროფესიული განვითარების სისტემა ფინანსურად და გეოგრაფიულად აბსოლუტურად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ქვეყანაში მომუშავე ყველა ექიმისათვის.

ამასთან, გათვალისწინებული უნდა იქნეს ქვეყნის სხვადასხვა რეგიონების თავისებურება ზემოთ მოხსენებული ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

**უწყვეტი პროფესიული განვითარება სასარგებლოა**

პაციენტისათვის:

მეტი შესაძლებლობა იქმნება იმისათვის, რომ პაციენტმა მიიღოს ადეკვატური სამედიცინო მომსახურება.

**უწყვეტი პროფესიული განვითარება სასარგებლოა**

ექიმისათვის:

მეტი შესაძლებლობა იქმნება იმისათვის, რომ ექიმმა გაიუმჯობესოს/სრულყოფს ცოდნა და უნარ-ჩვევები და დაიკმაყოფილოს პროფესიული ღირსების გრძობა, მიაღწიოს წარმატებული ექიმის სტატუსს.

**უწყვეტი პროფესიული განვითარება სასარგებლოა**

სამედიცინო დაწესებულებისათვის:

მეტი შესაძლებლობა იქმნება იმისათვის, რომ დაწესებულებას ჰყავდეს მაღალი დონის პროფესიონალები, შესაბამისად, წარმატებას მიაღწიოს სამედიცინო მომსახურების ბაზარზე.

**უწყვეტი პროფესიული განვითარება სასარგებლოა**

საზოგადოებისათვის:

მეტი შესაძლებლობა იქმნება იმისათვის, რომ კარგად განსწავლულმა სამედიცინო პერსონალმა მეტი წვლილი შეიტანოს ჯანმრთელობის და მასთან დაკავშირებული სოციალური პრობლემების მოგვარების საქმეში.

**რატომ უნდა იყოს დაინტერესებული ძველანა, აქიმა პროფესიული კომპეტენციის ადეკვატურობის უზრუნველყოფის საკითხით**

უფლება სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ერთ-ერთი შემადგენელია.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და გაუმჯობესება სახელმწიფოსა და მთლიანად საზოგადოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია.

ამიტომ სახელმწიფო უნდა ცდილობდეს ჩამოაყალიბოს ჯანმრთელობის დაცვის ეფექტური სისტემა, რომელიც პაციენტს უზრუნველყოფს ადეკვატური, ანუ სათანადო ხარისხის სამედიცინო მომსახურებით.




სერთიფიცირებული კვირბრუნები და ნეონატოლოგები

წლები	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	სულ
პედიატრი	2 044	387	106	58	147	96	93	44	36	81	3 092
ნეონატოლოგი	417	79	28	12	19	27	31	9	15	26	663

წლები	2011	2012	2013	სულ
პედიატრი	88	53	42	3 275
ნეონატოლოგი	25	31	11	730

ე.წ. "პროტეჯილი",  
რომელშიც აისახება  
ქიმიის აქტივობა  
შსპ/შპ სისტემაში



სერთიფიცირებულ კვირბრუნებსა და ნეონატოლოგებს განაწილება ასაკის მიხედვით 2006 წლისათვის

დაბადების წელი	1980-1970	1969-1959	1958-1948	1947-1941	1941 და <	შენიშვნა
პედიატრი	462	1 133	827	160	158	2
ნეონატოლოგი	98	223	175	26	33	-

სერთიფიცირებულ კვირბრუნებსა და ნეონატოლოგებს განაწილება სქმის მიხედვით 2006 წლისათვის

სპეციალობა	ძალი	ზამთარი
პედიატრი	2 595	147
ნეონატოლოგი	532	23

დალაძი/რეგიონი	კვირბრუნები	ნეონატოლოგი	სულ
თბილისი	1 049	253	1 302
აჭარა	71	-	71
აჭარა	144	41	185
ბათუმი	103	33	136
ქუთაისი	4	2	6
ქობულეთი	25	4	29
მუხრანის რაიონი	1	-	1
სედიკარის რაიონი	8	-	8
სედიკარის რაიონი	3	2	5
<b>ცხრამეტი</b>	<b>1</b>	<b>-</b>	<b>1</b>
<b>კახეთი</b>	<b>215</b>	<b>40</b>	<b>255</b>
მდინარე	52	7	59
ახალციხის რაიონი	20	6	26
კარსის რაიონი	38	3	41
მდინარე-სტეფანავანის რაიონი	9	1	10
მდინარე-სტეფანავანის რაიონი	18	3	21
საბურთლოს რაიონი	27	5	32
სოფლის რაიონი	30	10	40
თბილისის რაიონი	21	5	26
<b>მცხეთა-მთიანეთი</b>	<b>48</b>	<b>11</b>	<b>59</b>
მცხეთის რაიონი	26	7	33
მთიანეთის რაიონი	11	3	14
თბილისის რაიონი	7	1	8
თბილისის რაიონი	4	-	4

დალაძი/რეგიონი	კვირბრუნები	ნეონატოლოგი	სულ
<b>შიდა ქართლი</b>	<b>132</b>	<b>24</b>	<b>156</b>
კარსი	64	13	77
ახალციხის რაიონი	4	1	5
კახეთი	19	2	21
ქარსი	14	2	16
სამცხე-ჯავახეთი	31	6	37
<b>ძველი ქართლი</b>	<b>172</b>	<b>28</b>	<b>200</b>
მცხეთის რაიონი	76	12	88
მთიანეთის რაიონი	16	2	18
გარდაბანის რაიონი	44	7	51
მცხეთის რაიონი	3	1	4
თბილისის რაიონი	6	1	7
მთიანეთის რაიონი	27	5	32
<b>სამცხე-ჯავახეთი</b>	<b>49</b>	<b>12</b>	<b>61</b>
ახალციხის რაიონი	15	2	17
თბილისის რაიონი	5	1	6
ახალციხის რაიონი	7	3	10
ახალციხის რაიონი	2	2	4
მთიანეთის რაიონი	16	4	20
წალკის რაიონი	3	-	3
მთიანეთის რაიონი	1	-	1

დალაძი/რეგიონი	კვირბრუნები	ნეონატოლოგი	სულ
<b>იმერეთი</b>	<b>377</b>	<b>63</b>	<b>440</b>
ქუთაისი	177	31	208
ბათუმი	7	2	9
კარსი	10	1	11
სამცხე-ჯავახეთი	39	4	43
თბილისი	14	3	17
სამცხე-ჯავახეთი	27	3	30
სამცხე-ჯავახეთი	21	5	26
თბილისი	14	3	17
წალკის რაიონი	24	3	27
ქუთაისის რაიონი	27	7	34
სამცხე-ჯავახეთი	4	1	5
სამცხე-ჯავახეთი	13	-	13
<b>გურია</b>	<b>106</b>	<b>12</b>	<b>118</b>
ოზურგეთის რაიონი	37	3	40
დასის რაიონი	24	3	27
სამცხე-ჯავახეთი	15	1	16
სამცხე-ჯავახეთი	30	5	35

დალაძი/რეგიონი	კვირბრუნები	ნეონატოლოგი	სულ
<b>სამცხე-ჯავახეთი-სამცხეთის რაიონი</b>	<b>147</b>	<b>37</b>	<b>184</b>
სამცხე-ჯავახეთი	71	16	87
ახალციხის რაიონი	13	1	14
მთიანეთის რაიონი	13	6	19
სამცხე-ჯავახეთი	12	4	16
მთიანეთის რაიონი	11	2	13
წალკის რაიონი	17	5	22
სამცხე-ჯავახეთი	7	2	9
მთიანეთის რაიონი	3	1	4
<b>რაჭა-ლეჩხუმი-ძველი ქართლი</b>	<b>20</b>	<b>4</b>	<b>24</b>
ახალციხის რაიონი	8	1	9
მთიანეთის რაიონი	3	1	4
მთიანეთის რაიონი	4	1	5
სამცხე-ჯავახეთი	5	1	6
<b>შვეთის რაიონი</b>	<b>211</b>	<b>30</b>	<b>241</b>
<b>სულ</b>	<b>2 742</b>	<b>555</b>	<b>3 297</b>

პროფესიული რეაბილიტაციის აკრედიტებული მოდულები

კვირბრუნები		
მოდული N°	მოდულის დასახელება	ხანგრძლივობა
1.	განვითარებისა და ქვეყნის პედიატრია	2 თვე
2.	მონარდის მდინარე	2 თვე
3.	ზოგადპედიატრიული სტაციონარი	5 თვე
4.	ბავშვთა გადაუდებელი დახმარება	2 თვე
5.	ბავშვთა რეანიმაცია და ინტენსიური თერაპია	2 თვე

ნეონატოლოგები		
მოდული N°	მოდულის დასახელება	ხანგრძლივობა
1.	ნაყოფის ანტენატალური დაცვა, პერინატალური მდინარე	2 თვე
2.	ინტრანატალური და ნეონატალური პერიოდების მართვა, სამშობიარო ბლოკის/ახალ მშობილთა განყოფილება	3 თვე
3.	ამბულატორიული ნეონატოლოგია	1 თვე
4.	დროულ ახალშობილთა სტაციონარი	2 თვე
5.	ახალშობილთა კრიტიკული მდინარე	1 თვე
6.	დღენაკლულ და მცირე მასის ახალშობილთა სტაციონარი	3 თვე







**ათვისების ხარისხი სწავლების სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით**

სწავლების მეთოდი	ათვისების ხარისხი
სხვების სწავლება (პედაგოგია)	95%
პრაქტიკული საქმიანობა	75%
დისკუსია ჯგუფებში	50%
დემონსტრაცია/პრეზენტაცია	30%
აუდიოვიზუალური სწავლება	20%
ლიტერატურის გაცნობა	10%
ლექცია	5%

**შპს: აუდიტორიებიდან ავადმყოფის საწოლისაკენ**

**დასკვნა:**  
**გაბონილი - მ ა ვ ი შ ყ დ ე ბ ა**  
**ნანახი - მ ა მ ა ხ ს ო ვ რ დ ე ბ ა**  
**ნაკეთებს - ვ ი თ ა ვ ი ს ე ბ**  
 შპს-ს ტენდენცია  
**აუდიტორიებიდან ავადმყოფის საწოლისაკენ**

უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემა უნდა მოიცავდეს აგრეთვე ამ პროცესის ეფექტურობის დამდგენ მეთოდებს, რაც სამომავლო სტრატეგიის სწორად დაგეგმვის საშუალებასაც იძლევა.


იდეალურ შემთხვევაში უწყვეტი სამედიცინო განათლება 4 დონეზე ფასდება:

- დასწრება და დამსწრე პირთა მიერ კურსის ათვისება
- ექიმის კომპეტენციის ცვლილებები, პროგრამის დასრულებისას
- ექიმის საქმიანობისა და უნარ-ჩვევების ცვლილებები მის სამუშაო გარემოში
- სამედიცინო დახმარების ხარისხის და პაციენტების მკურნალობის შედეგების ცვლილებები.


დასკვნა: სახელმწიფო უნდა ცდილობდეს ჩამოაყალიბოს ჯანმრთელობის დაცვის ეფექტური სისტე-

**ზრდასრულთა სწავლება**

- ახალგაზრდობაში ნასწავლი ფაქტები და უსწავლედები დროთა განმავლობაში გადახედვას მოითხოვს, ზოგ შემთხვევაში კი არასწორი ხდება, ხოლო ათვისებული უნარ-ჩვევები, ხშირად ახალი ტექნოლოგიებით იცვლება;
- ზრდასრულ ადამიანებს, მიუხედავად სპეციალისტების, რომელთაც მიღებული აქვთ განათლება, ცოდნა, პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება და უკვე ჩამოყალიბებული აქვთ საკუთარი სტერეოტიპი, არცთუ იშვიათად უვლინდებათ “სხვისგან” სწავლების ერთგვარი წინააღმდეგობის, პროტესტის გრძობა;
- ისინი დარწმუნებულები არიან, რომ იციან და ახდენენ ამ ცოდნის დემონსტრაციას თანასწორებთან.
- აქედან გამომდინარე, სწავლებისას ზრდასრული მოიაზრება “როგორც მოსწავლედ და როგორც მასწავლებელიც”



ცოდნა სიმდიდრეა, მერე იმისთანა მადლიანი სიმდიდრეა, რომ, რაც უნდა ბევრს დაურიგო, ბევრს გაუწილად, შენ არა დაგაკლდება-რა, თუ არ მოგემატება



თუ გინდა ისწავლო - ასწავლე

მა, რომელიც პაციენტს უზრუნველყოფს ადეკვატური, ანუ სათანადო ხარისხის სამედიცინო მომსახურებით.

**რეზიუმე**

**პედიატრთა უწყვეტი პროფესიული განვითარება**

*ირაკლი შავლენიშვილი-საქართველოს პედიატრთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი (საქართველოს პედიატრთა ასოციაცია)*

პედიატრთა უწყვეტი პროფესიული განვითარება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. შრომაში დაწვრილებითაა გაანალიზებული ექიმთა პროფესიული მზადების კონცეფციის არსი, სამედიცინო განათლების საფეხურები და სხვ.

დასკვნა: სახელმწიფო უნდა ცდილობდეს ჩამოაყალიბოს ჯანმრთელობის დაცვის ეფექტური სისტემა, რომელიც პაციენტს უზრუნველყოფს ადეკვატური, ანუ სათანადო ხარისხის სამედიცინო მომსახურებით.

**SUMMARY**

**CONTINUOUS PROFESSIONAL DEVELOPMENT OF PEDIATRICIANS**

*IRAKLIPAVLENISHVILI – vice President of Georgian Pediatric Association*

Continuous professional development of pediatricians is one of the most important subjects. This work discusses detailed concept of doctors professional development, various steps of educational steps and etc.

Conclusion: The state should be trying to form effective healthcare system, which will provide adequate high quality medical service for the patients.

# ჯანსაღი და უსაფრთხო სკოლის თანმიმდევრული განვითარებისთვის

ლ. სირაძე; მ.ბაიდაშვილი; მ. ვარაზაშვილი; ბ.სიმონია; ლ.შენგელია; რ.თათარაძე  
(ალიანსი ჯანსაღი და უსაფრთხო სკოლა, რეაბილიტაციის და ჯანმრთელობის სამეცნიერო-პრაქტიკული ეროვნული ცენტრი, საქართველოს შრომის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო. დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი)

აღიარებულია, რომ ჯანმრთელობასა და აკადემიურ წარმატებას შორის არის მჭიდრო ურთიერთკავშირი და რომ ჯანსაღი და უსაფრთხო სკოლა, ეს არის გარემო სადაც თერთმეტი აკადემიური სასწავლო წლის დასრულების შემდეგ

მოზარდს აქვს მიღებული განათლება ჯანმრთელობის შესახებ;საერთაშორისო სტანდარტით მოსწავლე აანალიზებს ოჯახის წევრების, მეგობრების ქცევას, ჯანმრთელობაზე მედიის და ტექნოლოგიების ზეგავლენას; ირჩევს ჯანმრთელობის ხელშემწყობ ინფორმაციას, პროდუქტს და მომსახურებას; იღებს გადაწყვეტილებას დაიშვას ჯანმრთელობა; იგი ისახავს მიზანს და იძლევა იმუნარებს, რომლებიც ეხმარება ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებაში; შესწევს უნარი თავიდან აიცილოს ან შემციროს ჯანმრთელობისთვის მავნე რისკების; ზრუნავს საკუთარ, ოჯახის და საზოგადოების ჯანმრთელობაზე. (Health Education Standard)

მოზარდიარის ჯანმრთელი ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად, რასაც განაპირობებს სკოლის ფიზიკური, სოციალური პირობები და სამედიცინო მომსახურება.

## რა არის ჯანსაღი და უსაფრთხო სკოლა?

ჯანსაღი და უსაფრთხო სკოლა ეს არის ერთიანობა ძირითადი ელემენტების, რომლებიც მოწოდებულია ჯამოს და ოტავას, ჯაკარტის საერთაშორისო დეკლარაციების მიხედვით, კერძოდ:

- ჯანმრთელი და უსაფრთხო სკოლის პოლიტიკის განმახორციელებელი დოკუმენტები;
- სკოლის ფიზიკური გარემო
- სკოლის სოციალური გარემო.
- სასკოლო ფორმალური და არაფორმალური განათლება.
- საზოგადოებასთან კავშირი
- სამედიცინო მომსახურება

რა ღონისძიებები ტარდება საქართველოს სკოლებში და რა საერთაშორისო გამოცდილება შეგვიძლია გავიზიაროთ ჯანსაღი და უსაფრთხო სკოლის თანმიმდევრული განვითარებისთვის საქართველოში?

განათლების და ჯანდაცვის სამინისტროების სამსახურების, სამედიცინო არასამთავრობო, საზოგადოებრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ტარდება და ნაბიჯ-ნაბიჯ მიმდინარეობს ჩვენთვის ცნობილი ღონისძიებები:

2011–20016 წ. ეროვნულ სასწავლო გეგმების საგნობრივ სტანდარტში მნიშვნელოვანი ყურადღება ექ-

ცევა განათლებას ჯანსაღი და უსაფრთხო ცხოვრებისთვის

• მაგ: 1-დან მე-6 კლასის ჩათვლით სწავლების შედეგი, რომელიც უნდა იყოს მისწვლელი თითოეულ კლასში წლის ბოლოს, დაკავშირებულია მოსწავლის მიერ: ა) პირადი ჰიგიენის და ბ) უსაფრთხო ქცევის ელემენტარული წესების დაცვასთან.

• VI მავნეჩვევების (ნიკოტინის, ნარკოტიკის, ალკოჰოლის მოხმარება) გავლენაადამიანის ჯანმრთელობაზე.

• VIII კლასის ბიოლოგიის პროგრამით მოსწავლეს მოეთხოვება თითქმის ყველა ორგანოთა სისტემასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის პრობლემების, ჰიგიენის; სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების ცოდნა

• XI კლასის სტანდარტით გათვალისწინებულია მძიმე ინფექციური დაავადებების (შიდსი, ტუბერკულოზი) და მათი პრევენციის ცოდნა.

• მე-IX კლასის პროგრამის დასრულებისას მოსწავლეს უნდა შეეძლოს იმსჯელოს ჯანსაღი ცხოვრების წესთან დაკავშირებულ პრობლემებზე

• I–XII კლასის ჩათვლით „ფიზიკური განათლება და სპორტი“ სტანდარტის გამჭოლ მიმართულებას წარმოადგენს „ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“,

(მანანა ვარაზაშვილი ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი განათლების და მეცნიერების სამინისტრო 27 იანვარი 2014წ.)

• ეტაპობრივად მიმდინარეობს ფიზიკური გარემოს, შენობა-ნაგებობების, სასკოლო ინვენტარის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან, იგეგმება და ხორციელდება სხდასხვა ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს სკოლის უსაფრთხო ფიზიკურ გარემოს, სკოლის შენობების შიგნით და გარეთ. მაგ:

• იატაკის ზედაპირებზე არ იყოს მოცურების საშიშროება, კიბეებზე ქონდეს მყარი მოაჯირები.

• შხამი და ქიმიურად საშიში ნივთიერებები ინახება დალუქულ კაბინეტებში და მათზე კეთდება შესაბამისი ეტიკეტები

• პირველი დახმარების ტექნიკა და ცნობები უსაფრთხოების პროცედურების შესახებ ხელმისაწვდომია

• სკოლის ყველა ტერიტორიას აქვს საკმარისი განათება, ხოლო დაჩრდილული ადგილები კი კონტროლდება.

• დაინსტალირებულია და ფუნქციონირებს სახანძრონივთები სისტემა

• ფეხით მოსიარულეებს სთავაზობს სპეციალურ გადასასვლელებს.



• შოლის ავტობუსები მუდმივად ფუნქციონირებენ რეგიონებში

• სივრცე და შესაძლებლობები ფიზიკური აქტიულობისათვის მათ შორის სათამაშო მოედნები და სპორტული მოედნები აკმაყოფილებს უსაფრთხოების რეკომენდირებულ სტანდარტებს

• სასიამოვნო სასწავლებლის ტერიტორია და შენობები

• სოციალურ-ემოციური გარემოს გასაუმჯობესებლად ტარდება ძალადობის, ჩაგვრის არაფორმალური საგანმანათლებლო ღონისძიებები. ასევე იმართება სხვადასხვანაირი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ინტერვენციები, მიმართული სკოლის სოციალური ურთიერთობების გასაუმჯობესებლად. მოსწავლეებს შორის, მოსწავლეს და მასწავლებელს შორის. მასწავლებელს და მშობელს შორის, სკოლის მომსახურე პერსონალს შორის

• დამუშავდა და მომზადდა ადაპტაციისთვის ჯანმრთელი და უსაფრთხო სკოლის პოლიტიკის განმარტოვებული საერთაშორისო (WHO, Scotland, England, DCD) დოკუმენტები. აღიანსი „ჯანსაღი და უსაფრთხო სკოლის“ წევრი და კოლაბორაციული 20 ორგანიზაციის მათ შორის გაეროს ბავშვთა ფონდის, ევროკავშირის დაავადებათა კონტროლის და სამინისტროებსა დასაჯარო სკოლებთან ერთად შეიქმნა დოკუმენტი:

1. ჯანსაღი და უსაფრთხო სკოლის სტრატეგიული ელემენტები - მთავრობისთვის (სადაც შესწავლილია და გაანალიზებულია საქართველოს სამეცნიერო და სტატისტიკური მონაცემები, ათეულობით საერთაშორისო სტრატეგია, სტანდარტი, მოდული, ჩარჩო ხელშეკრულებები, დეკლარაციები, გზამკვლეუები)

2. მოდული სკოლისთვის

ასევე გადაითარგმნა და მომზადდა ადაპტაციისთვის შემდეგი დოკუმენტები:

3. მოზარდის ზრდა-განვითარება

(8-14წწ) ასაკში. სკოლების სათრეინინგო პაკეტი

4. გზამკვლევი ჯანმრთელობის ხელშემწყობი სკოლებისთვის.

5. ჯანსაღი კვება ახალგაზრდებისათვის მთელს ევროპაში.

6. უელსის ჯანსაღი სკოლის ქსელის სქემა (ინგლისი)

7. ჯანსაღი სკოლის ინდექსი (ინგლისი)

8. ჯანმრთელობის ხელშემწყობი მეორადი საფეხურის სკოლებში.

9. საკვების და ნუტრიციების პოლისი სკოლებისთვის.

10. ჯანმრთელობის ხელშემწყობი სკოლის განხორციელების გზა.

11. ჯანმრთელი სკოლების პროფილი.

12. ჯანმრთელი სკოლების ქსელი და რესურსები ედინბურგსა და ლათიანში

13. ჯანსაღად ყოფნა შოტლანდიაში ჯანმრთელობის ხელშემწყობი სკოლების ფარგლებში

როგორც ავღნიშნეთ ჯანმრთელი და უსაფრთხო სკოლა ეს არის არამარტო განათლება ჯანმრთელობის შესახებ, დოკუმენტები, მოდულები, გზამკვლეუები, სკოლის ფიზიკური გარემო: შენობა ნაგებობები და ინვენტარი, არამედ ასევესამედიცინო სამსახური სკოლაში, რომელსაც ანხორციელებს სამე-

დიცინო ჯგუფი, ექიმის და/ან ექთანის ხელმძღვანელობით.

**სამედიცინო მომსახურების მოვალეობები:**

მოსწავლეების მუდმივი დაკვირვება // მონიტორინგი „ჯანმრთელი მოსწავლეების“ ასაკობრივ რისკებზე, მათი გამოვლენის და დროული პრევენციის მიზნით: იზომება: სხეულის სიმაღლე და წონა, სხეულის მასის ინდექსი, დისლიპიდემია, არტერიული წნევა, მიმდინარეობს მხედველობა, სმენა, პირის ღრუს სკრინინგი, მონიტორინგი ფიზიკური კვლევაზე: იმუნიზაცია, ჰემატოკრიტი, ჰემოგლობინი, ტყვიის სკრინინგი, ტუბერკულოზის სინჯი, სქესობრივ გზით გადადები დაავადებების სკრინინგი, ქცევის ფსიქოლოგიური დაკვირვება რათა დროულად მოხდეს მათი გამოვლენა და პრევენციული ღონისძიებების გატარებისთვის.

განსაკუთრებულ საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების ჯანმრთელობის მდგომარეობის მეთვალყურეობა დიაბეტით, ნერვულ-ფსიქიური დაზიანების მქონე, და ა/შ.

**სამედიცინო აღრიცხვის წარმოება**

• ასაკის შესაბამისი სპორტული დატვირთვის მეთვალყურეობა.

• აწარმოებს სკოლის ფიზიკური გარემოს მონიტორინგს (სპორტული დარბაზი, კვების ბლოკი, სანიტარულ-ჰიგიენური კვანძების, სკოლის ფიზიკური გარემო: შენობა: სათამაშო ადგილები, სასკოლო ინვენტარი, სკოლის შემოგარე ტერიტორია. შენობის სანიტარია და წყლით უზრუნველყოფა, სუფთა ჰაერი.

• უწყვეს მეთვალყურეობას საკვების სტანდარტის სასკოლო კვებისთვის და, კვების პროგრამების განხორციელებას, კვების მომსახურების გარემოს, კვების დახლ-ბარებით მომსახურეობას სკოლაში. საკვები და არალკოჰოლური საშუალებით ვაჭრობას. საკვების სკოლის მიმდებარე ტერიტორიებზე.

**ჩვენი მიზანია არგუმენტებზე დაყრდნობით დავა-საბუთოდსასკოლო სამედიცინო სამსახურის პასუხისმგებლობა საქართველოს სკოლებშიდაგამოვსატოთ ჩვენი, როგორც პედიატრების, მზადყოფნა მის განხორციელებაში.**

დღევანდელი მდგომარეობით საქართველოს განათლების მართვის საინფორმაციო სამსახურის და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2013. www.geostat.ge ISBN 978-9941-0-6103-5 მიერ მოწოდებული ინფორმაციის

• **რალდენობრივი მაჩვენებლების ანალიზით:**

• პირველი – განათლების მართვის საინფორმაციო სამსახურის მონაცემების მიხედვით 2014 წლის 10 მარტისთვის საქართველოში ფიქსირდება 551 446 მოსწავლე. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით საქართველოს მოსახლეობა არის 4 483,9 ადამიანი. ე.ი. საქართველოს მოსახლეობის 12,3 % შეადგენს სასკოლო ასაკის ბავშვი და მოზარდი.

• მეორე – დაავადებათა კონტროლის და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით ბოლო 12 წლის პერიოდში 1990 წლიდან 2012 წ. მკვეთრად შემცირდა ბავშვთა მოსახლეობა, განსაკუთრებით 4 დან 19წლის ასაკის. თითქმის 1/3 ით.

• მესამე – ბავშვის სასკოლო პერიოდი მოიცავს 7 დან 18 წლამდე პერიოდს უმცროს სასკოლო ასაკს, მოზარდობის ადრეული, შუა და გვიან პერიოდს. (პრეპუბერტატულ პერიოდს 10წ-დან – 12წ. პუბერტატულ პერიოდს 12წ-დან 17/18 წლამდე) იხ სქემა. 1.11 წლიანი სასკოლო პერიოდის ყოველი დღის 1/3 ბავშვი ატარებს სკოლაში.

• მეოთხე – ადამიანის სიცოცხლის სკოლის პერიოდში საბოლოოდ ფორმირდება ძირითადი სისტემები და ამავდროულად დროსარის სქესობრივი მომწიფების კრიტიკული ხანა.

#### • მოსწავლეების ჯანმრთელობის მდგომარეობის მაჩვენებლები.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშების და ბიულეტენების მონაცემებით თვალშისაცემია სასკოლო ასაკის ბავშვთა ავადობის მონაცემები.

• 2013 წლის საანგარიშო პერიოდში წინა წელთან შედარებით, დიარეის შემთხვევათა მატემა დაფიქსირდა თითქმის ყველა ასაკობრივ ჯგუფში. სულ რეგისტრირებული შემთხვევებიდან 19289 შემთხვევა (74%) დაფიქსირდა 0-14 წლის ასაკობრივ ჯგუფში, აქედან 42% არის 4-14 წლის ასაკობრივ ჯგუფში

• ჰიპერტენზიის ეპიდემიოლოგიური მახასიათებლები ბავშვთა და განსაკუთრებით მოზარდთა პოპულაციის საპედაგოგიკური რისკის მნიშვნელობით განპირობებულია ამ ასაკში ქვეითი მოდელის და აქედან გამომდინარე ქვეითი რისკების ფორმირების ფაქტორით. იმის მიხედვით, თუ როგორ იმართება არტერიული ჰიპერტენზია ამ ასაკობრივ ჯგუფებში, განისაზღვრება გახდება თუ არა მოზარდი ჰიპერტენზიის მქონე მოზარდი.

ამ სუბპოპულაციაში ჰიპერტენზიული ავადმყოფობების პრევალენტობა და ინციდენტობა და მისი დინამიკა ქვეყანაში არის გადაუდებელი ინტერვენციის ერთ-ერთი ძირითადი ფოკუსი.

საყურადღებოა არტერიული ჰიპერტენზიის მზარდი დინამიკა ბავშვებსა და მოზარდებში, ეს მაჩვენებელი უკანასკნელ წლებში 2,5-ჯერ გაიზარდა. ასევე მნიშვნელოვანია ბავშვებში გულის რემატოიდული დაავადებების მაჩვენებლების ზრდა. (დიაგრამა 1). ჰიპერტენზიული დაავადებების 2012 წელს. ინციდენტობა ბავშვთა ასაკში არის 3,3. პრევალენტობა 8,7 წინა წლებთან შედარებით მკვეთრად იმატებს პრევალენტობამ 2005 წლამდე 4.4-ის ტოლი.

• მოიმატა სასუნთქი სისტემის დაავადებების მაჩვენებელმა ბავშვთა ასაკში, განსაკუთრებით თბილისის ბავშვთა მოსახლეობაში (იხ. გრაფიკი) ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული ავადმყოფობების სტრუქტურაში ქრონიკულ და დაუზუსტებელ ბრონქიტზე მოდიოდა და ბავშვებში 99,4%-ს გაუტოლდა (პრევალენტობა – 443,9, ინციდენტობა – 293,8); წინა წლებთან შედარებით ეს მონაცემები მნიშვნელოვნად მომატებულია

• საქართველოს უმეტეს რეგიონში ნერვული სისტემის დაავადებების ინციდენტობის მაჩვენებელი ბავშვებში ბევრად აღემატება ავადობის მაჩვენებელს საქართველოს პოპულაციაში; მაგ.: თბილისში 1,5-ჯერ, კახეთი 1,4-ჯერ, იმერეთი 1,5-ჯერ, ქვემო ქართლში 1,3-ჯერ, გურიაში 1,7-ჯერ.

• 2011 წლის ბოლოს საქართველოს ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებებში რეგისტრირებულ იქნა ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების 69728 შემთხვევა, პრევალენტობის მაჩვენებელი 100 ათას მოსახლეზე – 1555,2, მათ შორის ბავშვებში 1207 შემთხვევა. ბავშვებში ფსიქიკური დაავადებების გავრცელების მხრივ, პირველ ადგილზეა გონებრივი ჩამორჩენილობა, რომელზეც 70% მოდის, ბავშვთა და მოზარდთა ასაკში დაწესებული ქცევითი და ემოციური აშლილობები – 7,5%.

• თითქმის 2-ჯერ გაიზარდა 2000-2011 წლებში შარდ-სასქესო სისტემის დაავადებების დინამიკა, როგორც პრევალენტობის, ასევე ინციდენტობის მაჩვენებლები, (იხ გრაფიკი) მაღალია საკეისრო კვეთების რაოდენობა. ჯამის 1985 წლამდე მონაცემებით არც ერთ რეგიონსა თუ ქვეყანაში მშობიარობათა საერთო რიცხვის 10-15%-ს არ უნდა აღემატებოდეს.

• მაღალია ენდოკრინული დაავადებების მაჩვენებლები.

წარმოდგენილი ავადობის მაჩვენებლების და მოსწავლეთა რაოდენობის მონაცემების ანალიზით ლოგიკურად მივიღებთ შედეგს: 10 წლის შემდეგ დღევანდელი „სკოლის თაობა“ - ქვეყნის განვითარების გადამწყვეტი იქნება რაოდენობრივად მცირე და ქრონიკულად მთავად.

აღნიშნულის საპირისპიროს საჯარო სკოლის დაახლოებით მხოლოდ 2 %-შია სამედიცინო კაბინეტი.

სამედიცინო პერსონალს არ აქვს სკოლის მედ. პერსონალისთვის აუცილებელი სპეციფიური სამედიცინო განათლება,

სკოლის სამედიცინო პერსონალს არ აქვს სკოლის სამედიცინო მომსახურების. გზამკვლევი// მეთოდური სახელმძღვანელო

დამატებით აღნიშნულისა საქართველოს, როგორც განვითარებადი ქვეყნის ბავშვები დამოზარდების სარიან დაუცველი (საერთაშორისო კვლევით) დაავადების გამოწვევი რისკ ფაქტორების წინაშე: კვების დეფიციტი, მშობლების დეპრესია, ნარკოტიკზე ან ალკოჰოლზე მშობლის დამოკიდებულება, ოჯახის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა, ბავშვის კვება, კლიმატი, ბავშვის მდგომარეობა ოჯახში, შვილების რაოდენობა, ოჯახის სტრუქტურა მარტოხელა მშობელი, ბავშვის გონებრივი მონაცემები, ყველა ეს რისკები უარყოფით გავლენას ახდენენ მათ ზრდა-განვითარებაზე.

ჩვენი რეკომენდაციად ავადმყოფობების მაჩვენებლებს ბავშვთა ავადობის სტატისტიკური მონაცემების ანალიზზე, სკოლაში დაავადების პრევენციის, სკრინინგის სისტემური მექანიზმების არ არსებობაზე, ჯანმრთელობის შესახებ განათლების საერთაშორისო სტანდარტზე, ჯანმრთელი და უსაფრთხო სკოლის საერთაშორისო რეკომენდაციებზე; რომ სკოლის დამთავრების შემდეგ მოზარდს უნდა შეეძლოს საკუთარი თავის, ოჯახის და საზოგადოების ჯანმრთელობის უზრუნველყოფა.

შესაბამისად, საქართველოს სასკოლო ასაკის ბავშვთა სტატისტიკური მაჩვენებლები დანაშაულოვანად დაბალია, რეკომენდირებულია: სკოლის სამედიცინო



ნო სამსახურის რეაბილიტაცია და მოდერნიზაცია, 551 446 მოსწავლის ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დაცვის სკოლაში.

**ლიტერატურა:**

Annual report of the Ministry of Labour, Health and Social Affairs OF Georgia. 2013

• დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი ეპიდემიოლოგიური ბიულეტენი 2013, მარტი №3, ტომი 17 თ. ჩანავა, მ. გელეიშვილი, ე. მახვი, ტ. რაში

• 2013, ივლისი №7, ტომი 17 დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი ეპიდემიოლოგიური ბიულეტენი ნაწლავთა ინფექციები საქართველოში 2010-2013 წ.წ.

• დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი ეპიდემიოლოგიური ბიულეტენი 2013, სექტემბერი №9, ტომი 17

• სტატისტიკის ეროვნული სამსახური ქალი და კაცი 2013წ

• განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წერილი 2014 10 მარტი

• „ჯანსაღი და უსაფრთხო სკოლა“ მანანა ვარაზაშვილი სასწავლო გეგმების ეროვნული ცენტრი, პრეზენტაცია 2014 27 იანვარი

• Models of Health Promoting Schools in Europe-European Network of Health Promoting Schools. Technical Secretariat WHO Regional Office for Europe 8 Scherfigsvej, DK-2100 Copenhagen Ø, Denmark

**რეზიუმე**

**ჯანსაღი და უსაფრთხო სკოლის თანმიმდევრული განვითარებისთვის**

**ლ. სირაძე; მ. ბაიდაური; მ. ვარაზაშვილი; ბ. სიმონია; ლ. შენგელია; რ. თათარაძე**  
(ალიანსი ჯანსაღი და უსაფრთხო სკოლა, რეაბილიტაციის და ჯანმრთელობის)

სამეცნიერო-პრაქტიკული ეროვნული ცენტრი, საქართველოს შრომის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო. დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი)

აღიარებულია, რომ ჯანმრთელობასა და აკადემიურ წარმატებას შორის არის მჭიდრო ურთიერთკავშირი და რომ ჯანსაღი და უსაფრთხო სკოლა, ეს არის გარემო სადაც თერთმეტი აკადემიური სასწავლო წლის დასრულების შემდეგ

• მოზარდს აქვს მიღებული განათლება ჯანმრთელობის შესახებ; საერთაშორისო სტანდარტით მოსწავლე აანალიზებს ოჯახის წევრების, მეგობრების ქცევას, ჯანმრთელობაზე მედიის და ტექნოლოგიების ზეგავლენას; ირჩევს ჯანმრთელობის ხელშემწყობ ინფორმაციას, პროდუქტს და მომსახურებას; იღებს გადაწყვეტილებას დაიუმჯობესებს ჯანმრთელობას; იცნობს მისი მიზანს და იძლიერებს იმუნარებს, რომლებიც ესმარება ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობებაში; შესწავს უნარი თავიდან აიცილოს ან შემციროს ჯანმრთელობისთვის მავნე რისკები; ზრუნავს საკუთარ, ოჯახის და საზოგადოების ჯანმრთელობაზე. (Health Education Standard)

• მოზარდი არის ჯანმრთელი ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად, რასაც განაპირობებს სკოლის ფიზიკური, სოციალური პირობები და სამედიცინო მომსახურება.

მიღებული მონაცემების ანალიზის შედეგად საქართველოს სასკოლო ასაკის ბავშვთა სტატისტიკური მაჩვენებლებიდან გამომდინარედა საერთაშორისო წარმატებული გამოცდილების ანალიზით, რეკომენდირებულია: სკოლის სამედიცინო სამსახურის რეაბილიტაცია და მოდერნიზაცია, 551 446 მოსწავლის ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დაცვის სკოლაში.

**SUMMARY**

**HEALTHY AND SAFE SCHOOL'S SUSTAINABLE DEVELOPMENT**

**L.SIRADZE MD, PhD; M.BAIDAURI MD. PhD; M.VARAZASHVILI PhD; G.SIMONIA MD, PhD. L. SHENGELIA MPH, R. TATARADZE MD, PhD**

Alliance H&S school, National Rehabilitation and health Practical Science Center, Ministry of Labor, Health and Social Affairs. Ministry of Education and Science. National Center of Diseases Control and Public Health.

According to the health education standard, school pupil has to be learned healthy and safe live style skills during 11 years study in the schools. Healthy and safe schools main elements are political documents, physical and social environment, formal and informal education, commune connection and health serves. Georgian health & Safe promotion school has been moving forward , but, here is a gap in school's, Only in 2% of schools has a health service. Duty of health team are the monitor of children's health development, health risk management, integration of special needed children in school; The controlling of healthy eating in school, observation of adequate sport exercise to children ages. National statistical date of children disease (NCDC \_ge) indicate the rapidly rise a numbers cardio-vascular, mental-neurological, oncological, bronco pulmonological disease. After analyze data Pediatrics and researchers of Alliance Health and safe school have conclude:

Have to start the rehabilitation of the health services for healthy and safe live of 551 446 pupils in Georgian schools

### კვების სწორი პოლიტიკა

და მართლაც, შ.პ.ს. „პურის“ პური – „აპიპური“ ძალიან „მაგარია“

შ.პ.ს. „პურის“ „აპიპური“ ძალიან „მაგარია“ – პროფესორები: ბატონები – ალექსო ლაბარტაშაძე, ბიორბი ჩახუნაშვილი, ელგუჯა ყიფიანი, ანთონილი კვიციანი-კოპაძე




## „აპიპური“ - ამინომჟავებით, ვიტამინებითა და მინერალებით გაძლიერებული „პურია“

ბ. ჩახუნაშვილი, შ. იუსუპოვი, ი. კალანდია, ნ. ჯობაძე, ნ. ბაგრაშვილი, ნ. თოფურბიძე, ბჩახუნაშვილი ზ. შატარაშვილი (სოციალური პედაგოგის დაცვის ფონდი, შ.პ. ს. „პური“ (თბილისი))

ახალი ტექნოლოგიით დამზადებული პური საქართველოში შეამცირებს მასიურად გავრცელებულ ვიტამინების, ამინომჟავების და მიკროელემენტების დეფიციტით გამოწვეულ დაავადებებს. მოსახლეობის ფართო ფენების კვების რაციონში საკმაოდ გავრცელებული მიკრონუტრიენტების დეფიციტი რომელიც მრავალი დაავადების საწინდარია. ცილოვან-ენერგეტიკული ტამინების, ამინომჟავების და მიკროელემენტების დეფიციტით გამოწვეულ დაავადებებს. მოსახლეობის ფართო ფენების კვების რაციონში საკმაოდ გავრცელებული მიკრონუტრიენტების დეფიციტი რომელიც მრავალი დაავადების საწინდარია. ცილოვან-ენერგეტიკული

ტამინების, ამინომჟავების და მიკროელემენტების დეფიციტით გამოწვეულ დაავადებებს. მოსახლეობის ფართო ფენების კვების რაციონში საკმაოდ გავრცელებული მიკრონუტრიენტების დეფიციტი რომელიც მრავალი დაავადების საწინდარია. ცილოვან-ენერგეტიკული



დეფიციტი (ზრდაში ჩამორჩენა) ბავშვთა და მოზარდთა ასაკში, ჯანმრთელობის მდგომარეობის მასიური გაუმჯობესებას მოგვცემს მიკროელემენტების, ვიტამინების და ამინომჟავების დეფიციტის მხრივ. ეფექტური და ყველასათვის ხელმისაწვდომი იაფი საკვები პროდუქტი „აპიპური“. გამდიდრებულია ჯანმთელობისათვის აუცილებელი ამინომჟავებით, ვიტამინებით და მინერალებით. იგი შეამცირებს მასიურად გავრცელებულ ვიტამინების, ამინომჟავების და მიკროელემენტების დეფიციტით გამოწვეულ დაავადებებს. მოსახლეობის ფართო ფენების კვების რაციონში საკმაოდ გავრცელებული მიკრონუტრიენტების დეფიციტი რომელიც მრავალი დაავადების საწინდარია. ცილოვან-ენერგეტიკული

ჩამორჩენის ნებისმიერი მაჩვენებელი საგანგაშოა და შესაბამისი რეაქციებისა და კვებისა და ჯანმრთელობის პროგრამის განხორციელების საფუძველს წარმოადგენს. ახალი ტექნოლოგიით დამზადებული პური „აპიპური“, რომელიც გამდიდრებულია ბიოლოგიურად აქტიური დანამატით (ფუტკრის ნატურალური პროდუქტების ნაზავი), გამოირჩევა სასიამოვნო, სპეციფიკური სურნელით და გემოთი, რაც პროდუქტს უფრო მიმზიდველ ხდის. ვინაიდან მოსახლეობა დარწმუნებულია ფუტკრის პროდუქტების სასარგებლო თვისებებში, პროდუქტი უფრო მეტ ნდობას მოიპოვებს მომხმარებელში ვიდრე სხვა უფრო ძვირად ღირებული კვების პროდუქტები (რძის ნაწარმი, ხორცი, თევზი და სხვა) ან კიდევ პრეპარატი (Multi-tabs B-complex და სხვა) და კვებითი დანამატები, რომლებიც შეიცავს სინთეზური გზით მიღებულ ამინომჟავებს, ვიტამინებს და მინერალებს. პური „აპიპური“ რომელიც გამდიდრებულია ბუნებრივი ბიოლოგიურად აქტიური პროდუქტით წარმოადგენს სიახლეს როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო ბაზარზე. არ არსებობს ისეთი პურ-ფუნთუშეულის პროდუქტი რომელიც შეიცავს ამ რაოდენობის ერთდროულად ამინომჟავებს, ვიტამინებს და მინერალებს. საქართველოში პურ-ფუნთუშეულის მრავალი სახეობა იწარმოება. მწარმოებლები, რომლებიც უშვებენ ვიტამინებით და მინერალებით გამდიდრებულ პურს.





მათი პროდუქცია გამდიდრებულია ძირითადად რკინით და B-ჯგუფის ვიტამინებით. ასეთ საწარმოთა რაოდენობა მცირეა და ვერ აკმაყოფ

დებულია ახალი ტექნოლოგიით, საქართველოში შეამცირებს მასიურად გავრცელებულ ვიტამინების, ამინომჟავების და მიკროელემენტე-

ლიტ.:

1. G. Chakhunashvili ,N.Kandelaki - Children and security: "Child has the right to be defended from birth" NATO science for peace and security series E: Human and societal Dynamics – vol.37 complexity and Security – 2008 Chap.126. p. 405-410www.iospress.nl

2. Sustainable development and child security. /G. Chakhunashvili, I. Phavlenishvili /. Social, Ecological and Clinical Pediatrics. – 2011. - #13-8-7. - pp. 25-46. – geo.; abs.: geo., eng.

3. ჩახუნაშვილი გ. ედიციის მეცნიერება და აუცილებელი გზა XXI საუკუნეში მისი განვითარებისაკენ „ჩანასახიდან ბავშვს უფლება აქვს იყოს დაცული“ სოციალური, ეკოლოგიური-დაკლინიკური პედიატრია. – თბილისი, 2009. – 11-6-5. – გვ. 54-60

4. Daro et all//Clin. Exp. Immunol.2008 v93 N3 p430-435//

5. Gabriel E.M.Btrgert E.M. et all//Germline polymorphism of codon 727of Human Thyroidstimulatinghormone receptoris associatedwith toxic multinodular goiter//J. Clin. Endokrin. Metab. 2011vol94p3328-3335//

Gon K. L. Wang F. A.// Am. Rheum. Diseases 2009 sol m99N2 p201-204// 6. www.kveba.ge/ 7. http://www.google.ge/

დასახელება	პური „აპიპური“	„ბეზვი“ ცეხვილი პური	პური „ბოროდინული“	„ქვის პური“	პური რძის შრატით
მწარმოებელი	შ.პ.ს. „იფელი“	შ.პ.ს. „ბეზვი“	შ.პ.ს. „ლიტვური საცხობი“	„შ.პ.ს. „კოლხი“	
B-ჯგ ვიტამინები: B1, B2	+	+	+	+	+
B-ჯგ ვიტამინები: B5,B6,	+				+
ვიტამინები: Bc (ac. folici), E,	+				
ვიტამინები :Beta carotin, PP	+	+	+		+
ვიტამინები: A, C,D, ,E,K	+				
მინერალები: Fe, Ka, Na	+	+	+	+	+
მინერალები: Ca, P	+	+			+
მიკროელემენტები Mg, Zn, Cu	+				
მიკროელემენტი: I,	+				
აღბუმინი	+				+
ამინომჟავების 22სახეობა (ვალინი, ლიზინი, ლეიცინი, გლუტამინი, ცისტინი და სხვა)	+				
ფოსფორტერინები, რუტინი	+				
ნაჯერი უჯერი ცხიმოვანი მჟავები	+				
საბაზრო ღირებულება	1 ლარი	1,10 ლარი	1,1,ლარი	0,90ლარი	1,20 ლარი

ფილებს ბაზრის მითხოვნილებას. ჩვენს მიერ წარმოებული პური-„აპი პური“ გამდიდრებული ამინომჟავებით, ვიტამინებით და მინერალებით, ზემოთ ჩამოთვლილი გამდიდრებული პურეულისაგან განსხვავებით, შეიცავს ყველაზე სრულყოფილ ნაკრებს. მხოლოდ მის შემადგენლობაშია ერთდროულად: მნიშვნელოვანი ნახშირწყლები (ფრუქტოზა, გლუკოზა), ამინომჟავების 22 სახეობა (ვალინი, ლიზინი, ლეიცინი, გლუტამინი, ცისტინი და სხვა), ვიტამინები

(A, B1, B2, B6, Bc ac. folici, C, D, PP, E, ფოსფორტერინები, რუტინი (სისხლძარღვის კედლის გამამაგრებელი ფლაეინოიდი) ნაჯერი და უჯერი ცხიმოვანი მჟავები, მინერალები (Ca, Mg, Pp, Fe, Zn, I, Ka, Na, Cu).

ყოველდღიური და ყველასათვის ხელმისაწვდომი იაფი საკვები პროდუქტი „აპი პური“. რომელც დამზა-

ბის დეფიციტით გამოწვეულ დაავადებებს.

**ამგვარად, და მართლაც შ.პ.ს. „პურის“ პური – „აპი პური“ ძალიან „მაგარია“**



რეზიუმე

„აპიპური“ – ამინომჟავებით, ვიტამინებითა და მინერალებით გამდიდრებული „პური“

ბ. ჩახუნაშვილი, შ. იუსუფოვი, ი. კალანდია, ნ. ჯობავა, ნ. ბადრიასვილი, ნ. თოფურიძე, ბჩახუნაშვილი ზ. შაკარაშვილი (სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდი, შ. კ. ს. „პური“ (თბილისი))

საქართველოში პურის მოხმარება საკმარისზე უფრო მაღალია. ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით ზოგადად დადგინდა, რომ პურის ნიმუშების მხოლოდ 24.9 % იყო შესაბამისად ფორტიფიცირებული, რაც არ არის საკმარისი მოსახლეობაში მიკრონუტრიენტების დეფიციტის შემცირებისთვის. ჩვენი ტექნოლოგიით დამზადებული პური, გამდიდრებულია ჯანმთელობისათვის აუცილებელი ამინომჟავებით, ვიტამინებითა და მინერალებით უნიკალური და მაღალმოთხოვნადია.

ყოველდღიური და ყველასათვის ხელმისაწვდომი იაფი საკვები პროდუქტი „აპიპური“. რომელც დამზადებულია ახალი ტექნოლოგიით, საქართველოში შეამცირებს მასიურად გავრცელებულ ვიტამინების, ამინომჟავების და მიკროელემენტების დეფიციტით გამოწვეულ დაავადებებს.

SUMMARY

APIPURI – BREAD ENRICHED WITH AMINO ACIDS, VITAMINS AND MINERALS

K. CHAKHUNASHVILI, SH. YUSUFOV, N. JOBAVA, N. BADRIASHVILI, N. TOPURIDZE, G. CHAKHUNASHVILI, Z. SHAKARASHVILI (SPPF, LLC “Puri”)

Bread is has the biggest consumer base in Georgia. According to the studies only 24.9% of the bread samples were fortified enough to correspond to daily standard and decrease the chance of micronutrient deficiencies. Apipuri, however, is made by totally new technology which enriches bread with amino acids, vitamins and minerals.

Cheap and daily product, affordable for everyone “Apipuri” – will decrease the chance of disease developed because of micronutrient deficiencies.

სამკურნალო დიაგნოზის შესახებ (იმიოხილვა)

ბ. ჩახუნაშვილი (სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდი)

ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად და სამედიცინო მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად, აუცილებელია დაცული იქნეს „სამკურნალო დიეტები“.

უმნიშვნელოვანესია რაციონალური კვება, სამკურნალო დიეტები და მეთოდური მითითებები მათი გამოყენების სფერო და ზოგადი მოთხოვნების ცოდნა დიეტებისადმი.

აღნიშნული შრომა დახმარებას გაუწევს სამედიცინო პერსონალს (ექ. დიეტოლოგები, დიეტები და სხვ.) მთელ რიგ დაავადებათა კომპლექსური მკურნალობის დროს ეფექტურად გამოიყენონ სამკურნალო კვება. გამიზნულია სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში დიეტოთერაპიის ჩასანერგად.

გამოყენებული დიეტური რაციონის აბსოლუტური უმრავლესობა, განსაკუთრებით ხანგრძლივი დროით დაღნიშნული დიეტები, საკვები ნივთიერებების ხარისხობრივი და რაოდენობრივი პროპორციებით უახლოვდება ჯანმრთელი ადამიანის ფიზიოლოგიურ მოთხოვნებს.

თითოეული დიეტის აგების პრინციპი, ერთი მხრივ, განისაზღვრება ორგანიზმის ფიზიოლოგიური მოთხოვნებით საკვებ ნივთიერებებსა და ენერჯისზე, მეორე მხრივ კი – აღნიშნული დაავადებისათ-

ვის დამახასიათებელი ფუნქციონალური დარღვევების ხარისხითა და მეტაბოლიზმის პროცესების დარღვევის დონით. უმნიშვნელოვანესია:

1. საკვები ნივთიერებების თანაფარდობა ოპტიმალურია, თუ რაციონის კალორიულობის 12% კომპენსირებულია ცილებით, 30% – ცხიმებით და 58% – ნახშირწყლებით. დღიური რაციონის საშუალო ენერგეტიკული ღირებულება 2800 კკალ-ს უნდა შეადგენდეს.

2. სამკურნალო კვების დანიშნისას გასათვალისწინებელია ზოგიერთი ფაქტორი, კერძოდ: პროდუქტის შერჩევა, მისი ქიმიური შემადგენლობის თავისებურება, ცალკეული პროდუქტებისა და საკვები ნივთიერებების რაოდენობრივი პროპორციები, კვლინარეული დამუშავების ხერხები, მარილისა და საგემოვნო ნივთიერებების მოხმარება, მექანიკური დამუშავების ხარისხი, საკვების მიღების რითმი, რაციონის ენერგეტიკული ღირებულება. ავადმყოფი ადამიანის კვება ამ მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე უარყოფითად მოქმედებს ნივთიერებათა ცვლაზე, ორგანიზმის ძირითად მარეგულირებელ სისტემებზე, აქვეითებს კომპლექსურ მკურნალობაში სხვა სამკურნალო ფაქტორების დადებით გავლენას. ამიტომაც, რომ დიეტოთერაპიის ჩატარებისას აუცილებელია მივადწიოთ სამკურნალო კომპლექსის ყველა კომპონენტის სინერგიულ მოქმედებას.



3. კვების რაციონის შედგენისას, განსაკუთრებით ქრონიკული ავადმყოფებისათვის, როდესაც საჭიროა დიეტური რეჟიმის ხანგრძლივად დაცვა, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ცილების, ცხიმების, ნახშირწყლების, ვიტამინების, მიკროელემენტების, მინერალური მარილების და წყლის მიღება.

4. რაციონის კალორიულობის განსაზღვრისას ასაკის, სქესის, ავადმყოფის საერთო მდგომარეობის, ავადმყოფობის პათოგენეტიკური თავისებურებების გარდა, გათვალისწინებულ უნდა იქნეს პაციენტისათვის დანიშნული საერთო რეჟიმიც. ამიტომაც სამკურნალო დაწესებულებაში საკვების კალორიულობა არ შეიძლება საერთო იყოს ყველა ავადმყოფისათვის.

5. კვების რაციონში საკმარისი რაოდენობით უნდა იყოს ცილები და ვიტამინები. ამ ნუტრიენტების დეფიციტი განსაკუთრებით უარყოფითად ვლინდება რეპარატიულ პროცესებზე. ცილის ნორმის ქვედა ზღვარია – 1 გ ავადმყოფის სხეულის მასის 1 კგ წონაზე. ეს გარემოება გათვალისწინებული უნდა იყოს უხორცო, რძე-მცენარეული და უმი მცენარეული საკვებისაგან შემდგარი დიეტების დანიშნისას. უნდა გვახსოვდეს, რომ მთლიანი ცილის რაოდენობის 50%-ს ცხოველური ცილა უნდა შეადგენდეს. ბუნებრივია, ამ წესს თავისი გამონაკლისიც აქვს. მაგალითად, ქრონიკული ნეფრიტის დროს, თირკმლის გამოსატოვებელი ქრონიკული უკმარისობით, დიეტაში ხანგრძლივი დროით იზღუდება ცილა 40 გ-მდე დღეში.

6. ავადმყოფის კვებაში აუცილებელია უჯრედისით მდიდარი კვების პროდუქტების (უმეტესად ბოსტნეულის) ჩართვა.

7. ავადმყოფის ორგანიზმის მინერალური ნივთიერებებით, ვიტამინებით, მიკროელემენტებით უზრუნველსაყოფად დიეტურ რაციონში უნდა ჩაირთოს ახალი ხილი, კენკროვანი, ბოსტნეული, მწვანილი და სხვა პროდუქტები. თუ ვერ ხერხდება ვიტამინების დეფიციტის კომპენსირება ნატურალური პროდუქტებით, აუცილებელია დაინიშნოს ვიტამინები პრეპარატების ან ბიოლოგიურად აქტიური დანამატების სახით.

8. დიეტის დანიშნისას აუცილებელია პროდუქტების მკაცრი აღრიცხვა და შერჩევა ქიმიური შემადგენლობისა და ბიოლოგიური ღირებულების მიხედვით, რადგან ბოსტნეულიც კი, რომელიც ერთ სახეობას განეკუთვნება, მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან თავისი მინერალური მარილების შემადგენლობით. ასე, მაგალითად, კომბოსტოს ხშირად რთავენ პიპონატრიუმიან დიეტაში, ამ დროს კი წითელ თავხვეულ კომბოსტოში დიდი რაოდენობითაა ნატრიუმის ქლორიდი, თეთრ კომბოსტოში საშუალო რაოდენობაა, სავოს კომბოსტოში კი თითქმის არ არის. კულინარული დამუშავების ხერხებიც ასევე მნიშვნელოვნად მოქმედებს დიეტური კვების კერძების ქიმიურ შემადგენლობაზე. ამიტომაც დიეტის დანიშნის დროს ექიმმა უნდა იცოდეს საკვები პროდუქტების ქიმიური შემადგენლობა და სხვადასხვაგვარი კულინარული დამუშავების დროს მიმდინარე ცვლილებები.

9. ზოგიერთი დაავადების (დამწვრობა, ნეფროზული სინდრომი და სხვ.) დროს ხდება ცილის, ასევე ვიტამინებისა და მინერალური ნივთიერებების მნიშვნელოვანი რაოდენობით დაკარგვა. რიგ შემთხვევაში აღინიშნება ნუტრიენტების შეწოვის დარღვევა (მაღალსორბციის სინდრომი, ენტერიტი და სხვ.). ასეთ სიტუაციებში აუცილებელია კვების ნაკლები კომპონენტების გაზრდილი რაოდენობით მოხმარება. დამწვრობის მიმდებარე ფორმები, ინფექციური დაავადებები რეკონ-

ვალესცენციის ფაზაში მნიშვნელოვანი ენერგოხარჯებით ხასიათდებიან, ამიტომაც აუცილებელი, რაციონის კალორიულობის გაზრდა, რაც უნდა მოხდეს რაციონში შემავალი თითოეული კომპონენტის პროპორციული ზრდის საფუძველზე.

10. მწვავე ან ქრონიკული დაავადებების გამწვაების პერიოდში, გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისას, სისხლის მიმოქცევის გამოსატოვებელი უკმარისობით, საჭიროა რაციონის ენერგეტიკული ღირებულების შემცირება მხოლოდ ნუტრიენტების სწორი თანაფარდობის დაცვით. ზოგიერთი დაავადების დროს კი (ალიმენტარული სიმსუქნე) აუცილებელია კალორიულობის შემცირება, რაც ხორციელდება ნახშირწყლებისა და ცხიმის ხარჯზე. ცილის ფიზიოლოგიური ნორმა კი დაცული უნდა იყოს. მხოლოდ თირკმლის გამოსატოვებელი უკმარისობისას, თერმინალური ურემიის დროს, სისხლის მიმოქცევისა და დეჰიდრის უკმარისობისას (მიმდებარე სტადია), აუცილებელია დიეტურ რაციონში ცილის მნიშვნელოვნად შემცირება. ამ დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რაციონში ცილის ამინომჟავურ შემადგენლობას. ცილის 40 გ-მდე შემცირებისასაც კი რაციონში, ცილოვანი პროდუქტების შერჩევის გზით, შესაძლებელი ხდება შეუცვლელი და ჩანაცვლებადი ამინომჟავების რაოდენობრივი მიხედვით ორგანიზმის ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებასთან.

11. თითოეულ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში პროფილის მიხედვით, ნაწილობრივ კი კვების ბლოკის ორგანიზაციის სისტემის, ტექნიკური აღჭურვილობისა და შრომის პირობების მიხედვით, დგება ძირითადი დიეტების რაოდენობა და ნომენკლატურა. დღევანდლამდე ჩვენთან გამოიყენებოდა რუსეთის კვების ინსტიტუტის სამკურნალო კვების კლინიკაში შემუშავებული და პეკინური მიერ მოწოდებული ნომენკლატურული სისტემით დანომრდებული დიეტები. ზოგიერთ დიეტას (N1,4,5 და სხვ.) რამდენიმე ვარიანტი გააჩნდა და აღინიშნებოდა რუსული ანბანით, რომელიც ემატებოდა ძირითადი დიეტის ნომერს. საზოგადოდ მიღებულ 15 დიეტასთან ერთად ფართოდ გამოიყენება სპეციალური, კონტრასტული დიეტები და კონტრასტული დიეტები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვს დიეტოთერაპიაში.

12. დიეტების უმრავლესობა ავადმყოფს ხანგრძლივი დროით ენიშნებათ. დღემდე გამოყენებულ დიეტებში ძირითადად შესულია რუსული სამზარეულოს კერძები, რომელნიც თავისი საგემოვნო თვისებებით უცხოვრა ჩვენი ავადმყოფისათვის და ხშირად უარყოფითად მოქმედებს მის მადასა და განწყობაზე. ამ გარემოებიდან გამომდინარე, წინამდებარე დოკუმენტში შეტანილია იმ ქართული კერძების მომზადების ტექნოლოგია, რეცეპტურა, ქიმიური შემადგენლობა, ენერგეტიკული ღირებულება, რომელთა გამოყენება დიეტოთერაპიის მიზნით შესწავლილია და მიღებული შედეგები საშუალებას გვაძლევს ჩავთვალოთ ისინი სამკურნალო კვების რაციონებში.

13. დიეტოთერაპიის დანიშნისას ექიმი ვალდებულია აუხსნას ავადმყოფს დიეტის არსი, რეჟიმი და მისი ორგანიზმზე მოქმედების ხასიათი. ექიმმა ავადმყოფი უნდა გააფრთხილოს, რომ დიეტა დროებით არის რეკომენდებული, რადგან ზოგიერთ პაციენტს ეშინია ავადმყოფობის გამწვაების და დიდი ხნით ზღუდავს კვების რაციონს. ამან კი შეიძლება უფრო გაამწვაოს დაავადების მიმდინარეობა. პრაქტიკულ დიეტოლოგიაში ხშირად მიიჩნევენ, რომ დიეტური რაციონი ყვე-

ლა შემთხვევაში ზოგადად კუჭ-ნაწლავის ტრაქტს, განსაკუთრებით, თუ დაზიანებულია საჭმლის მომწელებელი სისტემა. სინამდვილეში ორგანოს ან სისტემის დაზოგვა სამკურნალო კვების დროს უნდა ხდებოდეს შეთავსებით რეჟიმის პერიოდულ გაფართოებასთან, კონტრასტული დღეებისა და რაციონის ჩართვით, რომელიც გათვლილია საჭმლის მომწელებელი ჯირკვლებისა და რეადაპტიული მექანიზმების ფუნქციური უნარის გასაზარჯიშებლად.

14. დიდი მნიშვნელობა აქვს კვების რეჟიმის დაცვას. სამკურნალო დაწესებულებებისათვის, როგორც მინიმუმ, დადგენილია 4-ჯერადი კვება. ავადმყოფთა ზოგიერთი ჯგუფებისათვის (კუჭის, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები) აუცილებელია 5-ჯერადი კვება. მიზანშეწონილია საკვების თანაბარი განაწილება. სადამოს კვებაზე მთლიანი კალორიულობის 25-30%-ზე მეტი არ უნდა მოდიოდეს. სასურველია საკვების მიღების შემდეგი საათები: 8-9 სთ (საუზმე), 13-14 სთ (სადილი), 17-18 სთ (ვახშამი), 21 სთ (ძილის წინ).

15. რაციონის კალორიულობა უნდა განაწილდეს შემდეგნაირად: საუზმე – 30%, სადილი – 40%, ვახშამი – 20-25%, ძილის წინ დანიშნული კერძის კალორიულობა 5-10%-ს უნდა შეადგენდეს. შესვენებები საკვების მიღებებს შორის 4 სთ-ს არ უნდა აღემატებოდეს. 4-ჯერადი კვების დროს ბოლო კვება ინიშნება 21 სთ-ზე, 5-ჯერადი კვებისას ემატება მეორე საუზმე, 6-ჯერადი კვებისას ემატება მეორე საუზმე (11 სთ-ზე) და სამხარი (17 სთ-ზე). ამ საკვების კალორიულობა დიდი არ უნდა იყოს. ხშირად ესენია: ხილი, ასკილის ნახარში, ხილის წვენი, ბოსტნეულის სალათები და თეთრი პურის ორცხობილა. პირველი თავი კერძის ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს 60 0K, ხოლო მეორის 55 0K-ს.

16. აუცილებელია კერძების საგემოვნო თვისებების შენარჩუნება. ავადმყოფის გემოვნების დაკმაყოფილება აუცილებელი პირობაა წარმატებული მკურნალობისათვის, რადგან მათ უმრავლესობას მადა დაქვეითებული აქვს. განსაკუთრებით ეს ეხება ჰიპონატრიემიან დიეტებს ( 7 და მისი ვარიანტები, 10ა და სხვ), როდესაც საგემოვნო თვისებების გასაძლიერებლად და უგემური საკვების უსიამოვნო შეგრძნების ასაცილებლად საჭიროა სანელებლების, მწვანელების, თეთრი ძირების, ბოსტნეულისა და მუავე ხილის წველების გამოყენება.

17. თითოეული დიეტის კალორიულობისა და ქიმიური შედგენილობის საფუძველზე დგინდება პროდუქტების ნორმები, რაც აუცილებელია მრავალფერო-

ვანი და ბიოლოგიურად სრულფასოვანი რაციონის უზრუნველსაყოფად. ამ მიზნით თითოეული დიეტისათვის დგება 7-დღიანი მენიუ, იანგარიშება მთლიანი მოთხოვნილება პროდუქტებზე და გამოჰყავთ საშუალო დღიური ნორმა. პროდუქტების ნორმა და ნაკრები დგება სეზონების მიხედვით, ე. ი. ზამთარ-გაზაფხულისა და ზაფხულ-შემოდგომის პერიოდისათვის.

18. დღეისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით ერთ ავადმყოფზე დღეში დადგენილია პროდუქტების საშუალო მოხმარების შემდეგი ნორმები (ცხრ.1).

სამკურნალო კვების ორგანიზაციაში გასათვალისწინებელია სამკურნალო კვების ძირითადი პრინციპები

1. სამკურნალო კვება კომპლექსური თერაპიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია. მას უნიშნავენ თერაპიის სხვადასხვა სახეობასთან (ფარმაკოლოგიური პრეპარატები, ფიზიოთერაპიული პროცედურები და სხვ) კომპლექსში. ზოგიერთ შემთხვევაში, მაგალითად, საჭმლის მომწელებელი სისტემისა და ნივთიერებათა ცვლის დაავადებების დროს, სამკურნალო კვება ასრულებს თერაპიული ფაქტორის ერთ-ერთ ძირითად როლს, სხვა შემთხვევაში ქმნის სასურველ ფონს თერაპიული ღონისძიებების ეფექტურად წარმართვისათვის.

2. კვების რაციონის აგების ფიზიოლოგიური პრინციპების შესაბამისად, სამკურნალო კვებას უნიშნავენ სადღეღამისო რაციონის სახით, რომელსაც დიეტა ეწოდება. პრაქტიკაში გამოყენებულ ნებისმიერ დიეტას უნდა ახასიათებდეს შემდეგი ნიშნები:

ა) ენერგეტიკული ღირებულება და ქიმიური შემადგენლობა (განსაზღვრული რაოდენობით ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები, ვიტამინები, მინერალური ნივთიერებები);

ბ) საკვების ფიზიკური თვისებები (მოცულობა, მასა, კონსისტენცია, ტემპერატურა);

გ) დაშვებული და რეკომენდებული საკვები პროდუქტების საკმაოდ სრული ჩამონათვალი;

დ) საკვების კულინარული დამუშავების ხერხები;

ე) კვების რეჟიმი (საკვების მიღების ჯერადობა, კვების დრო, სადღეღამისო რაციონის განაწილება) (ცხრილი 2).

3. დიეტოთერაპია საჭიროებს დიფერენცირებულ და ინდივიდუალურ მიდგომას. დიეტის სწორად აგება, რომელსაც შეუძლია მოახდინოს თერაპიული ზემოქმედება როგორც დაზიანებულ ორგანოზე, ასევე მთლიანად ორგანიზმზე, შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ დაავადების საერთო და ადგილობრივი პათოგენური მექანიზმის, ნივთიერებათა ცვლის დარღვევის ხასიათის, საჭმლის მომწელებელი ორგანოების ცვლილების, პათოლოგიური პროცესის მიმდინარეობის ფაზის, ასევე შესაძლო გართულებებისა და თანამდგევი დაავადებების, სქესის, ასაკისა და სხეულის მასის გათვალისწინებით.

ცხრილი 1.

ერთ ავადმყოფზე პროდუქტის საშუალო მოხმარების ნორმა (გრამებში)			
პროდუქტის დასახელება	რაოდენობა	პროდუქტის დასახელება	რაოდენობა
პური ჭკვავის	150	ჩაი	1
პური ხორბლის	250	ყავა	1
ფქვილი ხორბლის	25	ხორცი (ფრინველი)	125
ფქვილი კარტოფილის	8	თევზი	100
ბურღულეული და მაკარონის ნაწარმი	100	მარილი	10
კარტოფილი	400	ყველი	10
ბოსტნეული, მწვანილი	400	რძე, მაწონი	365
ხილი ახალი	15	საჭო უცხიმო	17
ხილი ხმელი	15	არაქანი	11
შაქარი	70	კარაქი	40
ზეთი	16	კვერცხი (ყალი)	0,4

დღეში როგორც დაზიანებულ ორგანოზე, ასევე მთლიანად ორგანიზმზე, შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ დაავადების საერთო და ადგილობრივი პათოგენური მექანიზმის, ნივთიერებათა ცვლის დარღვევის ხასიათის, საჭმლის მომწელებელი ორგანოების ცვლილების, პათოლოგიური პროცესის მიმდინარეობის ფაზის, ასევე შესაძლო გართულებებისა და თანამდგევი დაავადებების, სქესის, ასაკისა და სხეულის მასის გათვალისწინებით.

4. სამკურნალო კვება უნ-



დღის რეჟიმი	პროდუქტების დასახელება და წონა გრამებში 1 სულ აღამიანზე დღეში												
	ხორციელი		ცხიმები				ბოსტნეული						
	ხორცი	თევზი	კარაქი	მცენარეული მეთი	ბრინჯი	ბურღული	ფქვილი	კარტოფილი	კომბოსტო	სტაფილო	ხახვი	პომიდორი, კიტრი	ტომატო, პასტა
პირველი საუზმე													
მეორე საუზმე													
საღილი													
ვახშამი													
სპროდუქტები დღეში													

და ემყარებოდა არა მხოლოდ კლინიკურ სიმპტომებს, იგი უნდა ითვალისწინებდეს ავადმყოფი ორგანიზმის ნივთიერებათა ცვლის პროცესების თავისებურებებს. ამისათვის საჭიროა ორგანიზმი უზრუნველყოფილი იყოს კვების შეუცვლელი ფაქტორებით, კერძოდ, ამინომჟავებით, ესენციალური ცხიმოვანი მჟავებით, ვიტამინებით.

მნიშვნელოვანია, რომ სამკურნალო კვება უნდა შემუშავდეს ავადმყოფი ორგანიზმის ფიზიოლოგიური მოთხოვნების საფუძველზე. ამიტომ ყოველგვარი დიეტა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ა) მისი ენერგეტიკული ღირებულება შეესაბამებოდეს ორგანიზმის ენერგოხარჯვას;
- ბ) უზრუნველყოფდეს ორგანიზმის მოთხოვნილებას საკვებ პროდუქტებზე მათი ბალანსირების გათვალისწინებით;
- გ) იწვევდეს კუჭის ოპტიმალურ შევსებას, რაც აუცილებელია მსუბუქი მადრობის შეგრძნების მისაღწევად;
- დ) ავადმყოფის გემოვნებას, რა თქმა უნდა, დიეტით დაშვებულ ფარგლებში, საკვების შეგუებისა და მენიუს მრავალფეროვნების გათვალისწინებით. ერთფეროვანი საკვები სწრაფად ბეზრდებათ, ის ხელს უწყობს ისედაც დაქვეითებული მადის შემცირებას, მომწივებელი ორგანოების მოქმედების არასაკმარისი აგზნება კი აფერხებს საკვების მონელებას;
- ე). დაცული უნდა იქნეს საკვების კვლინარული და მუშაობის სისწორე, საწყისი პროდუქტების შემადგენლობისა და მადლსაგემოვნო თვისებათა შენარჩუნებით;
- ვ) არ უნდა დაირღვეს რეგულარული კვების პროცესი.

დავიმახსოვროთ, რომ

1. სამკურნალო კვება დინამიკური უნდა იყოს. დინამიკურობის აუცილებლობა გამოწვეულია იმით, რომ ყოველგვარი სამკურნალო დიეტა, ამა თუ იმ თანაფარდობით, შემზღვევლია, აქედან გამომდინარე, ცალმ-

ხრივია და არასრულფასოვანი. ამიტომ განსაკუთრებულად მკაცრი დიეტის ხანგრძლივად დაცვამ შეიძლება გამოიწვიოს, ერთი მხრივ, ორგანიზმის ნაწილობრივი შიმშილი ცალკეული საკვები ნივთიერებების მიმართ, მეორე მხრივ, აღდგენის პერიოდში ცალკეული ფუნქციური მექანიზმის გაუვარჯიშებლობა. აუცილებელ დინამიკურობას აღწევს დიეტოთერაპიაში ფართოდ გამოყენებული „დაზოგვის“ და „ვარჯიშის“ პრინციპებით. „დაზოგვის“ პრინციპი გამოირიცხავს კვების იმ ფაქტორებს, რომლებიც ხელს უწყობენ პათოლოგიური პროცესის შენარჩუნებას ან მის პროგრესირებას (მექანიკური, ქიმიური, თერმული გამღიზიანებლები და სხვ.). „ვარჯიშის“ პრინციპი მდგომარეობს პირველადი მკაცრი დიეტის გაფართოებაში, ე.ი. სრულყოფილ საკვებ რეჟიმზე გადასვლის მიზნით მოხსნიან საწყის მკაცრ დიეტასთან დაკავშირებულ შეზღუდვას.

2. „დაზოგვის“ პრინციპი ძირითადად გამოყენებულია მკურნალობის დასაწყისში. იგი ითვალისწინებს მკაცრი დიეტის დაცვას. შემდგომში ცალკეული საკვები ნივთიერებების ნაწილობრივი შიმშილის თავიდან აცილების, დარღვეული ფუნქციური მექანიზმების გავარჯიშებისა და აღდგენის მიზნით საჭირო ხდება „ვარჯიშის“ პრინციპზე გადასვლა. იგი ხორციელდება „საფეხურების“ და „ზიგზაგის“ სისტემით. „საფეხურების“ სისტემა ითვალისწინებს საწყისი მკაცრი დიეტის თანდათანობით გაფართოებას შეზღუდვის დოზირებული მოხსნის ხარჯზე. „ვარჯიშის“ პრინციპზე გადასვლისას გასათვალისწინებელია, რომ დიეტაში როგორც სწრაფი გაფართოება, ასევე ზედმეტად გაჭიანურება უარყოფითად მოქმედებს. ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ორიენტაცია კლინიკური სიმპტომების დინამიკაზე, დარღვეული ფუნქციური მექანიზმების მდგომარეობასა და მათთან დაკავშირებულ შედეგებზე. ეს სისტემა პათოლოგიური პროცესის ლიკვიდაციის შემთხვევაში საშუალებას იძლევა მოვახდინოთ დიეტის თანდათანობითი დოზი-

რებული გაფართოება ორგანიზმის ფიზიოლოგიური მოთხოვნების შესაბამის რაციონალურ კვებაზე გადასვლამდე. „ზიგზაგის“ სისტემა ითვალისწინებს დიეტის შედარებით მკვეთრ, მოკლევადიან ცვლილებას. ასეთ დიეტას და, შესაბამისად, მისი გამოყენების დღეებს ეწოდება „კონტრასტული“.

3. „კონტრასტული“ დიეტა (დღეები) ორი სახისაა:

ა) დამტვირთავი („პლუს-ზიგზაგი“), ბ) განმტვირთავი („მინუს-ზიგზაგი“). დამტვირთავი დიეტა („პლუს-ზიგზაგი“) გამოყენებულია ვარჯიშის პრინციპზე დაყრდნობით. მას ხშირად „სადღესასწაულო დღესაც“ უწოდებენ. ამ დროს რაციონში ჩართულია ის საკვები ნივთიერებები, რომლებიც მკვეთრად იყო შეზღუდული ან საერთოდ გამორიცხული ძირითადი დიეტის დან. დამტვირთავი დიეტის პერიოდული დანიშვნა ხელს უწყობს დასუსტებული ფუნქციების ბიძისებურ სტიმულაციას. ეს დიეტა უზრუნველყოფს ორგანიზმში დეფიციტური საკვები ნივთიერებების შეყვანას, რაც იწვევს მადის გაძლიერებას, ხელს უწყობს ხანგრძლივი და საგრძობლად მკაცრი დიეტური რეჟიმის დაცვას. განმტვირთავი დიეტა („მინუს-ზიგზაგი“) ძირითადად დაფუძნებულია რაციონის ენერგეტიკული ღირებულების შეზღუდვასა და ქიმიური შემადგენლობის გარდაქმნაზე, რაც ხელს უწყობს დაზიანებული ფუნქციური მექანიზმის დაზოგვას, ახდენს ცვლითი დარღვევის კორექტირებას. სპეციალური განმტვირთავი დღეების დანიშვნა შეიძლება პერიოდულად („მინუს-ზიგზაგი“ 7-10 დღეში ერთჯერ) სხვადასხვა დაავადებების დროს (მკურნალობის დასაწყისში შედარებით მკაცრი დიეტის ფონზე). განმტვირთავი დღეების დანიშვნა მიზანშეწონილია დარღვეული ფუნქციების აღდგენის შემდგომაც, რადგან ამ პერიოდში ავადმყოფები ლაბილური არიან და საჭიროებენ პერიოდულ განტვირთვასა და დაზოგვას.

**ბასათვალისწინებალია სამკურნალო კვება ცალკეული დაავადებების დროს**

- 1. სამკურნალო კვება კუჭის ან თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების დროს დიეტა №1
- 2. სამკურნალო კვება გასტრიტის დროს. დიეტა №2
- 3. სამკურნალო კვება ნაწლავების დაავადების დროს. დიეტა №3

**რეკომენდებული და აკრძალული პროდუქტები და კერძები**

- 1. პური და პურ-ფუნთუშეული: უმადლესი ხარისხის ფქვილისაგან წინა დღეს გამომცხვარი ხორბლის პური (შეზღუდული რაოდენობით), ხორბლის პურის ორცხობილა, უცხიმო ნამცხვარი. აკრძალულია: ახალი და ჭკავის პური, ცხიმისანი ცომის ნაწარმი, ბლინები, მაჭკატი.
- 2. ხორცი და თევზი: საქონლისა და ხბოს, ქათმის, ინდაურის მსუფთო ხორცი, გახეხილი ან დაკეპილი, წყალში ან ორთქლზე მოხარშული, ფარშში პურის ნაცვლად ბრინჯის დამატებით; ფარშს 2-3-ჯერ ატარებენ წვრილბადიან ხორცსაკეპ მანქანაში. მოხარშული წიწილა, თევზი – აუცილებლად ახალი, უცხიმო (ფარგა, ვირთვეზა და სხვ.), გახეხილი ხორცის ლაბასხმული. აკრძალულია: ცხიმისანი ხორცი, ცხვრის, ღორის, ბატის, იხვის ხორცი, ნაჭრებად ჩათუშული და შემწვარი ხორცი, ძეხვი, შაში, კონსერვი, შებოლილი ნაწარმი.
- 3. ბურღულეულისა და პარკოსნების გარნირი და კერძი, მაკარონის ნაწარმი: წყალზე ან უცხიმო ბული-

ონზე მომზადებული გახეხილი ფაფა (ბრინჯის, ქერის, წიწიბურას, მანანის). აკრძალულია პარკოსნებისა და მაკარონის ნაწარმი.

4. კვერცხი: კვერცხი შეზღუდული რაოდენობით დღეში 1 ცალი, თოხლო ან ორთქლზე დამზადებული ომლეტის სახით. აკრძალულია უმი, შემწვარი და მაგრად მოხარშული კვერცხი.

5. რძის პროდუქტები: ახალი ხაჭო, კალციუმქლორით ან ძმრის სუსტი ხსნარით დაღეკილი, ნატურალური და გახეხილი, აგრეთვე ორთქლზე დამზადებული სუფლეს სახით. რძის სხვა ნაწარმი.

6. წვნიანი: ცხიმგაცილი თევზის ან ხორცის სუსტი ბულიონი ღორწოვანი ნახარშის დამატებით, ორთქლზე ან წყალზე მოხარშული ხორცის ან თევზის გუფთებით; მოხარშული ან გახეხილი ხორცი და კვერცხის ფიფქებით.

7. ბალნეული, ტკბილეული და ტკბილი კერძი: ვაშლის პიურე, ტკბილი ხილისა და კენკრის წვენიდან დამზადებული კისელი, ჟელე, გამხმარი შავი მოცხარის, შინდის, მოცვის, კომშის ნახარში, შაქრის შეზღუდული რაოდენობით.

**სამკურნალო კვება ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის დაავადების დროს. დიეტა №5**

**სამკურნალო კვება პოლპრის, შრატრისა და ოქსალურიის დროს. დიეტა №6**

**სამკურნალო კვება თირკმელების დაავადების დროს**

**სამკურნალო კვება სიმსუქნის დროს**

1. სიმსუქნით დაავადებულთათვის მრავალი დიეტა არსებობს. დიეტოთერაპიის ძირითადი პრინციპი არის რაციონის ენერგეტიკული ღირებულების მკვეთრი შეზღუდვა. კალორიულობის შემცირების ხარისხი სხეულის ჭარბი წონის (ნორმალურთან შედარებით) პირდაპირპროპორციულია. ამოსავალია სხეულის მასის ნორმალური წონა, შემდეგ განსაზღვრავენ ენერგეტიკულ ღირებულებას და ატარებენ რეკომენდებული დიეტის საორიენტაციო გათვლას.

2. გამოხატული სიმსუქნის დროს რაციონის ენერგეტიკულ ღირებულებას ნორმალურთან შედარებით ამცირებენ 40%-ით. ავადმყოფის მდგომარეობისა და მკურნალობის ეფექტურობიდან გამომდინარე, ეს პროცენტი შეიძლება დაქვეითდეს 30%-მდე ან გაიზარდოს 50%-მდე. ასეთ დროს სასურველია გათვალისწინებულ იქნეს ავადმყოფის ენერგოსაზღვრები სტანდარტულ ფიზიკურ დატვირთვასთან ერთად.

3. სიმსუქნის დროს მიზანშეწონილია მკურნალობის დაწყება რეღუცირებული საკვები რაციონის კალორიულობის ზომიერი შეზღუდვით. ასეთ მოთხოვნებს აკმაყოფილებს ძირითადი 8 დიეტა.

**სამკურნალო კვება ჰიპოთირეოზის დროს**

**სამკურნალო კვება შაქრიანი დიაბეტის დროს. დიეტა №9.**

თავი XIV. სამკურნალო კვება გულ-სისხლძარღვთა დაავადების დროს

სამკურნალო კვება ჰიპერტონიული დაავადების დროს (ზოგადი ნაწილი)

სამკურნალო კვება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჰიპერტონიული დაავადების პროფილაქტიკასა



და კომპლექსურ თერაპიაში. დაავადების პათოგენეზის არსის დრმა შესწავლამ უარყო დიეტური მკურნალობის პროცესში ავადმყოფთა მოკლე ვადითაც კი „ნახევრად მშვიერ“ რეჟიმზე გადაყვანა. პირიქით, მიღებულია მონაცემები, რომელნიც ადასტურებენ, რომ ჰიპონატრიემიანი დიეტა №10, გამდიდრებული C, PP და B ჯგუფის ვიტამინებით, მაგნიუმის მარილებითა და ლიპოტროპული ნივთიერებებით, 2600-2700 კკალ ენერგეტიკული ღირებულებით, ითვლება ფიზიოლოგიურად ადეკვატურ და პათოგენეტიკურად დასაბუთებულ დიეტად ჰიპერტონიით დაავადებულთა მკურნალობაში.

**დიეტა №10 (უმარილო დიეტა)**

1. დიეტა №10 გამოიყენება ჰიპერტონიული დაავადების სხვადასხვა სტადიის, ათეროსკლეროზთან თანმხლები ჰიპერტონიული დაავადების დროს, გულის დაავადებების კომპენსაციის სტადიაში ან ნაკლებგამოსატული სისხლის მიმოქცევის უკმარისობის ნიშნებისას (I-II ა სტადია), ქრონიკული გლომერულონეფრიტისა და პიელონეფრიტის დროს თირკმლის აზოტემიის ფუნქციის მოშლის გარეშე.

V. მარტივი ჰიპერპლაზიის დროს 19-დან 8 პაციენტში (42, 1%;  $p < 0,1$ ) აღინიშნება EGFR-ის მკვეთრი ექსპრესია. ნუმერაციით, ანუ ცხრილში ამ პაციენტთა შესატყვისი ნომრებია: 1, 4, 7, 10, 13, 14, 16, 18, და მათთან EGF-ის შემცველობა სისხლის შრატში შეადგენს 0, 30-1,02 ნგ/მლ-ს. აქედან: 1 შემთხვევაში (ნუმერაციით – 13) EGF-ის დონე პლაზმაში ნორმის ტოლია და შეადგენს 0,30 ნგ/მლ-ს (აქ მელატონინის შემცველობა სისხლის შრატში დაკლებულია მკვეთრად და შეადგენს 10, 3 პგ/მლ-ს, რაც შესაძლოა ცუდი პროგნოზის მაჩვენებელი იყოს, მიუხედავად EGF-ის ნორმული შემცველობისა პლაზმაში); 4 შემთხვევაში (ნუმერაციით – 1, 4, 7, 18) EGF-ის დონე პლაზმაში ზომიერად მომატებულია და შეადგენს 0,45-0,59 ნგ/მლ-ს (გარკვეულად თანხმობაშია მელატონინის მაჩვენებლებიც სისხლის შრატში – ანუ ზომიერად დაკლებულია და შეადგენს 15, 7-17, 4 პგ/მლ-ს); 2 შემთხვევაში (ნუმერაციით – 10, 16) EGF-ის დონე პლაზმაში მნიშვნელოვნად მომატებულია და შეადგენს 0, 65-0, 70 ნგ/მლ-ს (მელატონინის მაჩვენებლებიც სისხლის შრატშიც გარკვეულად თანხმობაშია: – დაკლებულია მნიშვნელოვნად/მკვეთრად და შეადგენს 11, 2 და 8, 2 პგ/მლ-ს, შესაბამისად); 1 შემთხვევაში (ნუმერაციით – 14) EGF-ის დონე პლაზმაში გამოხატულად მომატებულია და შეადგენს 1,02 ნგ/მლ-ს (მაგრამ მელატონინის შემცველობა სისხლის შრატში რატომღაც არ არის მკვეთრად დაკლებული, როგორც მოსალოდნელი იყო, არამედ ის ზომიერად დაკლებულია და შეადგენს 15, 7 პგ/მლ-ს ((შესაძლოა ეს უკეთესი პროგნოზის მაჩვენებელი იყოს წინა 4 შემთხვევასთან შედარებით)).

მაშ ასე: ენდომეტრიუმის მარტივი ჰიპერპლაზიის (ატიპიის გარეშე) დროს, მიუხედავად EGFR-ის სუსტი თუ ძლიერი ექსპრესიისა,



EGF-ის შემცველობა პლაზმაში – უფრო მეტად: ნორმაშია/ოდნავ ან ზომიერად მომატებულია, ხოლო უფრო ნაკლებად: მნიშვნელოვნად ან გამოხატულადაა მომატებული.

ყველა მატება EGF-ისა, განსაკუთრებით – მნიშვნელოვანი ან გამოხატული, სახიფათოა EGFR-ის ძლიერი ექსპრესიის ფონზე, რადგან მელატონინი კლებისკენ არის მიმართული! მელატონინი (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ) სწორედ EGFR-ის ექსპრესიაზე რეაგირებს განსაკუთრებულად და სუსტი ექსპრესიის დროს ყოველთვის ნორმაშია, ხოლო ძლიერი ექსპრესიის დროს – დაკლებულია! – მაშინაც კი, როცა EGF ნორმაშია (ერთი შემთხვევა გვქონდა ასეთი).

განხილულ შემთხვევებში (ანუ სადაც EGFR-ის ექსპრესია ძლიერია) მელატონინი ძირითადად უკუპროპორციულ კავშირშია EGF-ის მატებასთან: კორელაციურმა ანალიზმა აჩვენა, რომ სისხლის შრატში EGF-ის დონესა და მელატონინის შემცველობას შორის არსებობს გარკვეული უარყოფითი კორელაცია (შპეარმან-ის კორელაციის არაპარამეტრული კოეფიციენტი უდრის -0,372-ს, ხოლო Pearson-ის კორელაციის კოეფიციენტი უდრის -0,331-ს). მაგრამ იშვიათად გამოჩნდის არსებობაცაა შესაძლებელი (გვაქვს ერთი შემთხვევა). და ენდომეტრიული ჰიპერპლაზიაში მელატონინის კლება პლაზმაში – თუნდაც მარტივი ჰიპერპლაზიის დროსაც – საშიშია! ამიტომაც არსებობს მარტივი ჰიპერპლაზია ატიპიით, უიშვიათესად, მაგრამ არსებობს!

დამატებით წარმოებულმა კორელაციურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ენდომეტრიული ჰიპერპლაზიის დროს EGFR-ის ექსპრესიასა და სისხლის შრატში მელატონინის შემცველობას შორის არსებობს ძლიერი უარყოფითი კორელაცია (შპეარმან-ის კორელაციის არაპარამეტრული კოეფიციენტი უდრის -0,830-ს, ხოლო Pearson-ის კორელაციის კოეფიციენტი უდრის -0,805-ს). ასევე, დამატებით წარმოებულმა კორელაციურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ენდომეტრიული ჰიპერპლაზიის დროს EGFR-ის ექსპრესიასა და სისხლის შრატში EGF-ის დონეს შორის არსებობს სუსტი დადებითი კორელაცია (შპეარმან-ის კორელაციის არაპარამეტრული კოეფიციენტი უდრის 0,195-ს, ხოლო Pearson-ის კორელაციის კოეფიციენტი უდრის 0,147-ს).

**VI.** 15-დან 8 პაციენტში (53,3%;  $p<0,1$ ) აღინიშნება EGFR-ის მკვეთრი ექსპრესია. ნუმერაციით, ანუ ცხრილში ამ პაციენტთა შესატყვისი ნომრებია: 2, 5, 7, 8, 11, 12, 13, 15, და მათთან EGF-ის დონე პლაზმაში გამოხატულად/მკვეთრად მომატებულია და შეადგენს 0,93-2,60 ნგ/მლ-ს (მელატონინის შემცველობა სისხლის შრატში 8 შემთხვევაში მკვეთრად/მნიშვნელოვნად დაკლებულია და შეადგენს 9, 2-13, 2 პგ/მლ-ს); აქედან: 3 შემთხვევაში (ნუმერაციით – 2, 5, 12) EGF-ის დონე პლაზმაში გამოხატულად მომატებულია და შეადგენს 0,93-1,18 ნგ/მლ-ს (მელატონინის შემცველობა სისხლის შრატში მკვეთრად/მნიშვნელოვნად/მკვეთრად დაკლებულია და შეადგენს 10, 4-11, 9 პგ/მლ-ს); 5 შემთხვევაში (ნუმერაციით – 7, 8, 11, 13, 15) EGF-ის დონე პლაზმაში მკვეთრად მომატებულია და შეადგენს 1,90-2,60 ნგ/მლ-ს (მელატონინის შემცველობა სისხლის შრატში მნიშვნელოვნად/მკვეთრად დაკლებულია და შეადგენს 9, 2-13, 2 პგ/მლ-ს). 15-დან 1 პაციენტში კი (ნუმერაციით – 1) აღინიშნება EGFR-ის საშუალო ექსპრესია – აქ EGF-ის დონე პლაზმაში გამოხატულად მომატებულია და შეადგენს 1,30 ნგ/მლ-ს (ხოლო მელატონინის შემცველობა სისხლის შრატში მნიშვნელოვნად დაკლებულია და შეადგენს 14, 2 პგ/მლ-ს). ანუ, 15 პაციენტიდან (ვისაც აღვნიშნავთ კომპლექსური ჰიპერპლაზია ატიპიის გარეშე) 9 პაციენტში (60,0%;  $p<0,1$ ) EGF-ის დონე პლაზმაში გამოხატულად/მკვეთრად მომატებულია და შეადგენს 0,93-2,60 ნგ/მლ-ს (მელატონინის შემცველობა სისხლის შრატში კი მნიშვნელოვნად/მკვეთრად დაკლებულია). 1 შემთხვევა (ნუმერაციით – 16) აღინიშნა კომპლექსური ატიპური ჰიპერპლაზიისა, სადაც სახეზეა EGFR-ის მკვეთრი ექსპრესია – აქ EGF-ის შემცველობა სისხლის შრატში გამოხატულად მომატებულია და შეადგენს 1,19 ნგ/მლ-ს (ხოლო მელატონინის დონე პლაზმაში ძალიან დაბალია და შეადგენს 8, 5 პგ/მლ-ს).

ჯამში, 100%-ში ასევე გამოხატულად/მკვეთრად მომატებულია EGF-ის პლაზმური შემცველობა არაატიპური კომპლექსური ჰიპერპლაზიის დროს (თუმცა ატიპურ კომპლექსურ ჰიპერპლაზიაშიც გამოხატულად მომატებულია იგი! ერთი შემთხვევა გვაქვს ასეთი, ამიტომ სტატისტიკური ანალიზი აქ ვერ

წარმოებს).

მელატონინი მნიშვნელოვნად/მკვეთრად დაკლებულია კომპლექსური ჰიპერპლაზიის დროს EGFR-ის ძლიერი ექსპრესიის შემთხვევაში, და ასეთ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობისა უნდა იყოს EGF-ის შემცველობა სისხლის შრატში, ანუ: თუ EGF-ის პლაზმური დონე ძალიან მომატებულია – ეს პროგნოზულად ცუდია, ხოლო თუ მელატონინის იგივე მაჩვენებლების დროს EGF-ის პლაზმური დონე ძალიან მომატებული არ არის, მაშინ ეს უკეთესი ვარიანტია არაატიპური ჰიპერპლაზიისთვის, რათა ატიპური არ გახდეს ისინი;

**VII.** 15-დან 6 პაციენტში (40,0%;  $p<0,1$ ) აღინიშნება EGFR-ის სუსტი ექსპრესია; მათ შორის: 2 შემთხვევაში (ნუმერაციით – 4, 9) EGF-ის შემცველობა სისხლის პლაზმაში მნიშვნელოვნად მომატებულია და შეადგენს 0,77-0,85 ნგ/მლ-ს (მელატონინის შემცველობა სისხლის შრატში ნორმა/ზომიერად დაკლებულია და შეადგენს 23, 1 და 16, 0 პგ/მლ-ს, შესაბამისად); 2 შემთხვევაში (ნუმერაციით – 3, 14) EGF-ის დონე პლაზმაში გამოხატულად მომატებულია და შეადგენს 1,18-1,70 ნგ/მლ-ს (მელატონინის შემცველობა სისხლის შრატში ზომიერად დაკლებულია და შეადგენს 17, 9 და 7, 1 პგ/მლ-ს, შესაბამისად); 2 შემთხვევაში (ნუმერაციით – 6, 10) EGF-ის დონე პლაზმაში მკვეთრად/უაღრესად მკვეთრად მომატებულია და შეადგენს 2,70 და 3,20 ნგ/მლ-ს, შესაბამისად (მელატონინის შემცველობა სისხლის შრატში ნორმაშია/ნორმის ზღვართანაა და შეადგენს 23, 1 და 19, 3 პგ/მლ-ს, შესაბამისად).

გამოდის, ენდომეტრიუმის კომპლექსური ჰიპერპლაზიის (ატიპიის გარეშე) დროს, მიუხედავად EGFR-ის სუსტი თუ ძლიერი ექსპრესიისა, EGF-ის შემცველობა პლაზმაში – უფრო მეტად: მნიშვნელოვნად ან გამოხატულად მომატებულია, ხოლო უფრო ნაკლებად: მკვეთრად ან ძალიან მკვეთრადაა მომატებული.

საინტერესოა: ენდომეტრიუმის კომპლექსური ჰიპერპლაზიის დროსაც არის მელატონინის შრატისმიერი მაჩვენებელი ნორმაში – ოღონდ ამისთვის EGFR-ის დაბალი ექსპრესიაა მთავარი პირობა (მიუხედავად მკვეთრად/უაღრესად მკვეთრად მომატებული EGF-ის პლაზმური მაჩვენებლისა ზოგიერთ შემთხვევაში!). ყველა ვითარებაში

მელატონინის პლაზმური მახვენებელი მაინც უფრო მაღალია ჯამში *EGFR-ის* სუსტი ექსპრესიის დროს, ვიდრე ძლიერი ექსპრესიის დროს – კომპლექსური ჰიპერპლაზიის შემთხვევაში! მარტივ ჰიპერპლაზიაზე აღარცა საუბარი, – იქ *EGFR-ის* სუსტი ექსპრესიის დროს მუდამ ნორმაშია მელატონინის შემცველობა სისხლში, მიუხედავად EGF-ის პლაზმური დონისა.

საბოლოოდ, როგორც ჩანს, ენდომეტრიული ჰიპერპლაზიის შემთხვევაში (სისხლის შრატში EGF-ის სხვადასხვა დონის მიუხედავად), სადაც სუსტი ექსპრესიაა EGFR-ისა, იქ მელატონინი ნორმაშია. და ეს პროგნოზულად კარგია! და პირიქით – EGFR-ის ძლიერი ექსპრესიის დროს მელატონინის პლაზმური დონე დაკლებულია (მაშინაც კი, როცა სისხლის შრატში EGF-ის შემცველობა ნორმაშია). აი ასეთ შემთხვევებში ყოველგვარი მატება EGF-ის პლაზმური დონისა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი/გამოსატყულებელი მატება, EGFR-ის ძლიერი ექსპრესიის ფონზე სახიფათოა.

და ბოლოს, მელატონინი – ეს უნივერსალური ანტიპროლიფერა-

ციული და ანტინეოპლაზიური ჰორმონი EGFR-ის ექსპრესიის გაცილებით მეტად „პასუხობს“, ვიდრე EGF-ის პლაზმურ დონეს. და ეს პირდაპირ მიუთითებს, რომ მოცემულ ვითარებაში სწორედ EGFR უფრო „კანცეროგენეზულია“, ვიდრე თავად EGF. ანუ, თუ კი მხოლოდ EGF-ის შემცველობა იქნება მომატებული სისხლის შრატში, ხოლო ენდომეტრიუმში EGFR-ის ექსპრესია იქნება სუსტი, ეს უკეთესი ვარიანტი აღმოჩნდება პროგნოზულად, ვიდრე, ვთქვათ, ძლიერი ექსპრესია EGFR-ისა ენდომეტრიუმში და EGF-ის ზომიერად მომატებული დონე პლაზმაში.

**ლიტერატურა:**

1. Citri A., Yarden Y. EGF-ERBB signaling towards the systems level // Nat Rev Mol Cell Biol. –2006.–Vol.7, No.7.–P.505-516. 2. Ejksjaer K., Sorensen B.S., Poulsen S.S. et al. Expression of the epidermal growth factor system in endometrial cancer // Gynecol Oncol. – 2007. – Vol. 104, No. 1. – P. 158-167. 3. Gershtein E.S., Bocharova L.B., Ermilova V.D. et al. Epidermal growth factor receptors and their ligands in endomet-

rial carcinoma: correlation with clinicomorphological factors and steroid receptors // Vopr Onkol. – 2000. – Vol. 46, No. 2. – P. 180-186.

4. Kasradze M., Kasradze D., Tavartkiladze A. “AD AVGUSTA PER ANGUSTA”, - Tbilisi: “Mtatsmindeli”, 2013. – 128 p. (in Georgian/in English).

5. Niikura H., Sasano H., Kaga K. et al. Expression of epidermal growth factor family proteins and epidermal growth factor receptor in human endometrium // Human Pathology. – 1996. – Vol. 27, Issue 3. – P. 282-289.

6. Pierpaoli W., Regelson W., Colman C. Melatonin miracle. New York, London, Toronto, Sydney, Tokyo, Singapore: “Pocket Books”, 2011, 314 p.

7. Tanaka T., Mizuno K., Miyama M. et al. Enhanced Fas/CD9 5-mediated apoptosis by epidermal growth factor in human endometrial epithelial cells // Eur J Obstet Gynecol Reprod Biol. – 1999. – Vol. 86, No 2. – P. 189-194.

8. Wang S., Pudney J., Song J. et al. Mechanisms involved in the evolution of progesterin resistance in human endometrial hyperplasia – precursor of endometrial cancer // Gynecol Oncol. – 2003. – Vol. 88, No .2. – P. 108-117.

**რეზიუმე**

**ეპიდემიური ზრდის ფაქტორის რეცეპტორის ექსპრესია და ეპიდემიური ზრდის ფაქტორისა და მელატონინის შემცველობა სისხლის შრატში ენდომეტრიუმის მარტივი და კომპლექსური ჰიპერპლაზიის დროს**

**ნ. ძნელაშვილი, ღ. კახრაძე, ა. თამარაშვილი**

**დავით ტვილდიანის სახელების სამედიცინო უნივერსიტეტი, ადამიანის მორფოლოგიისა და პათოლოგიის დეპარტამენტი (თბილისი, საქართველო)**

ჩვენი კვლევის მიზანი იყო განგვესაზღვრა პროგნოზული მნიშვნელობა ეპიდემიური ზრდის ფაქტორის რეცეპტორის (EGFR, ინგლ.) ექსპრესიისა ენდომეტრიუმში და, ამასთანავე – ეპიდემიური ზრდის ფაქტორის (EGF, ინგლ.) და მელატონინის დონეებისა სისხლის შრატში ენდომეტრიუმის მარტივი და კომპლექსური ჰიპერპლაზიის დროს. EGFR-ის ექსპრესიის გამოსავლენად 35 პაციენტში ჩატარდა მორფოლოგიური მასალის (საშეიღოსნოს გამონაფხეკის) იმუნოჰისტოქიმიური კვლევა. პლაზმაში EGF-ის და მელატონინის შემცველობათა დასადგენად პაციენტებისგან აღებულ იქნა სისხლი. EGF-ის დონის განსაზღვრა სისხლის შრატში ვაწარმოეთ მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფიით – HPLC მეთოდით, ხოლო მელატონინისა – იმუნოფერმენტული ანალიზით – ELISA მეთოდით. მიღებული ციფრობრივი მონაცემები სტატისტიკურად დამუშავდა პროგრამის SPSS-12-ის გამოყენებით; ასევე გამოყენებულ იქნა სტატისტიკის პროგრამული სისტემა IBM SPSS, ვერსია 20.

როგორც ვლინდება, ენდომეტრიუმის ჰიპერპლაზიის შემთხვევებში (სისხლის შრატში EGF-ის სხვადასხვა დონის მიუხედავად), სადაც სუსტი ექსპრესიაა EGFR-ისა, იქ მელატონინი ნორმაშია. და ეს პროგნოზულად კარგია! და პირიქით – EGFR-ის ძლიერი ექსპრესიის დროს მელატონინის პლაზმური დონე დაკლებულია (მაშინაც კი, როცა სისხლის შრატში EGF-ის შემცველობა ნორმაშია). აი ასეთ შემთხვევებში EGF-ის პლაზმური დონის ყოველგვარი მატება (განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ან გამოსატყულებელი მატება) EGFR-ის ძლიერი ექსპრესიის ფონზე სახიფათოა.

და ბოლოს, მელატონინი – ეს უნივერსალური ანტიპროლიფერაციული და ანტინეოპლაზიური ჰორმონი EGFR-ის ენდომეტრიულ ექსპრესიას გაცილებით მეტად „პასუხობს“, ვიდრე EGF-ის პლაზმურ დონეს. და ეს პირდაპირ მიუთითებს, რომ მოცემულ ვითარებაში სწორედ EGFR უფრო „კანცეროგენეზულია“, ვიდრე თავად EGF. ანუ, თუ კი მხოლოდ EGF-ის შემცველობა იქნება მომატებული სისხლის შრატში, ხოლო ენდომეტრიუმში EGFR-ის ექსპრესია იქნება სუსტი, ეს უკეთესი ვარიანტი აღმოჩნდება პროგნოზულად, ვიდრე, ვთქვათ, ძლიერი ექსპრესია EGFR-ისა ენდომეტრიუმში და EGF-ის ზომიერად მომატებული დონე პლაზმაში.



SUMMARY

**EXPRESSION OF EPIDERMAL GROWTH FACTOR RECEPTOR AND PLASMATIC LEVELS OF EPIDERMAL GROWTH FACTOR AND MELATONIN IN SIMPLE AND COMPLEX ENDOMETRIAL HYPERPLASIA**

*N. DZNELASHVILI, D. KASRADZE, A.TAVARTKILADZE*

*D. Tvildiani Medical University, Department of Human Morphology and Pathology (Tbilisi, Georgia)*

The goal of our research was to find the prognostic significance of the epidermal growth factor receptor (EGFR) expression in endometrium and plasmatic levels of epidermal growth factor (EGF) and Melatonin in simple and complex endometrial hyperplasia. Immunohistochemical study of morphological material (endometrial scrap) was conducted in order to reveal the EGFR expression (in 35 patients). Measurement of EGF blood plasma content was carried out using HPLC (High performance liquid chromatography) method. The study of melatonin concentration in patients' blood plasma was performed using ELISA method). The numeric data of the investigation were processed statistically using the SPSS-12 and IBM SPSS-20 programs.

As it has been revealed, in endometrial hyperplasia ( regardless of the different EGF blood plasma levels ) with weak expression of EGFR melatonin levels are normal, which is prognostically favorable, and vice versa, with strong expression melatonin levels are decreased ( even with normal values of EGF blood plasma content). It is the case when every change towards the increase (especially significant or marked) of EGF blood plasma levels is particularly dangerous against the background of strong EGFR expression

Finally. Melatonin - the universal anti-proliferation and anti-neoplastic hormone is far more responsive to EGFR endometrial expression than to plasmatic levels of EGF. This directly indicates that in the given situation EGFR is more cancerogenic than EGF per se. That is, if merely EGF blood plasma content were increased while endometrial EGFR expression were weak, then this would be a prognostically better variant than with strong EGFR expression in the endometrium and moderately increased EGF blood plasma content.

**კონფერენციები, სიმპოზიუმები, შორუბები  
THIRD MEDICAL NURSE CONFERENCE**

**ექთანთა III კონფერენცია**

31. 05-1-2. 06. თბილისი 2014

კონფერენციის ინტერნეტ-ვერსია **Electronic Version**  
[www.sppf.info](http://www.sppf.info), [www.esgns.org](http://www.esgns.org) e-mail: [info@sppf.info](mailto:info@sppf.info)

**თავმჯდომარეები: კიმ კროუფორდი, მ. დიდებაშვილი, კ. ჩახუნაშვილი**

Chairmen: Kim Crawford, M. Didebashvili, K. Chakhunashvili

1. „ინოვაციური უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამა ექთნებისათვის საქართველოში“ თ. დაუსი, საექთნო სამსახურის ხელმძღვანელი, „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“ (საქართველო, თბილისი).

New approach of continuous medical education for nurses in Georgia. T. Dowse, Head of Nursing Department, EVEX Medical Corporation (Georgia, Tbilisi)

2. „საექთნო პოსტდიპლომური განათლება“ ქ. გარსევანიშვილი – საქართველოს ექთნების ასოციაციის პრეზიდენტი (საქართველო, თბილისი).

“Medical Nurse Post Diploma Education” – K. Garsevanishvili – President of Georgian Association of Nurses (Georgia, Tbilisi)

3. მარტივი საფეხურები პაციენტის მოვლის და საექთნო საქმის გაუმჯობესებისთვის – კიმ კროუფორდი (ა.შ.შ.) “Simple steps to improve nursing and patient care“ (Kim Crawford (USA)

4. „საექთნო საქმე“ მ. დიდებაშვილი (საქართველო, თბილისი)

Nursing – M. Didebashvili (Georgia, Tbilisi)

5. „ევროპის ექთანთა ასოციაციის სამეთვალყურეო საბჭოს სარეკომანდაციო წერილი ექთნების შესახებ“ საქართველოს ექთანთა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი ე. კაკაბაძე (საქართველო, ქუთაისი)

Recommendation Letter about Nurses from European Nursing Association Supervisory Board – E.Kakabadze, President of Georgian International Association of Nurses. (Georgia, Kutaisi)

6. „როგორ გავაუმჯობესოთ საშუალო მედიკოსების განათლება: იაშვილის კლინიკის გამოცდილება“. ტ. ანიკევა (საქართველო, თბილისი)

How to give additional education to average medical personnel: Iashvili Clinic Experience T. Anikeva (Georgia Tbilisi)

7. „ინფექციური კონტროლის თანამედროვე სტანდარტების დანერგვის გავლენა საავადმყოფოს შიგნით ინფექციების გავრცელების პრევენციაზე“. თ. ბახტაძე, ი. დუნდუა (საქართველო, ბათუმი)

Impacts of Implementation of Modern Standards on Prevention of Hospital Infections – T. Bakhtadze, I. Dundua (Georgia, Batumi)

8. „ექთნის როლი პოსტოპერაციულ პაციენტებში“ თ. რეხვიაშვილი, ნ. ქარუმაშვილი (საქართველო, თბილისი)

Roles of Nurses in Post operational patients – T. Rekhviashvili, N. Qarumashvili (Georgia, Tbilisi)

9. „საექთნო უმაღლესი (საბაკალავრო) განათლება საქართველოში“ მ. გოგაშვილი საქართველოს უნივერსიტეტი (დეკანი) (საქართველო, თბილისი)

Medical Nursery High Education in Georgia – M. Gogashvili, Georgia (dean) Tbilisi, Georgia

თელავის, ზუგდიდის, ვანის სამტრედიის დას სხვ. ქალაქთა წარმომადგენელთა თეზისების მიმოხილვა Vani, Samtredia and etc.

განხილვა

„დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა და საქართველოს მედგას უღელი“

(გაზეთი „სოციალური პედიატრია“ №9, 2003 წელი)



თამაზ მარტიაშვილი - მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიაში სპეციალიზაციის კათედრის დოცენტი და სახანაგლო ნაწილი, საქართველოს პედიატრია ასოციაციის გამგეობის წევრი და მდივანი, პედიატრიული კლინიკის დირექტორის მოადგილე, სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის მდივანი.

ჭეშმარიტებას ბრძანებდა ფრანგი მწერალი, მფრინავი და სპორტსმენი სენტ ეკზუპერი: „ჩვენი ჩვენი ბავშვობიდან მოვიდვართ“. ამასვე ეხმარება დიდი ქართველ მწერალი ალექსანდრე ყაზბეგი „გახსოვდეს იხი გორისა ხარ!“

მთელი ცხოვრება განვიცდიდი ერთი მხრივ სიამაგეს საკუთარი გვარის გამო, მეორე მხრივ მუდამ შიშის გრძობა მეუფლებოდა, შევძლებ კი გვარის ღრსეული წარმომადგენელი ვაქნები?

ჩემი პაპა გიორგი მარინაშვილი ქართლის მართლმადიდებელი ეკლესიის დეკანოზი, ქართული ეკლესიის განსაკუთრებული თავდადებული დამცველი იყო. იგი წინ აღუდგა გიგლა ბერბიჭაშვილის ცდას, გაეკატა ქართლის ეკლესიები და ამ ბრძოლაში დაიღუპა კიდევ. მემკვიდრეებიც შესანიშნავი მამულიშვილები ჰყავდა დეკანოზს: ალექსანდრე მარინაშვილი, გენერალ-მაიორი, მწერალი, ჟურნალისტი ჟურნალ არგუმენტი ი ფაქტის ერთ-ერთი დამაარსებელი. მოღვაწეობდა მოსკოვში, პოლიკონიკო მიხეილ მარინაშვილი დიდი პატრიოტი, აფხაზეთის იმის გმირი, უდროოდ დაღუპული.

მამაჩემი, სახალხო ექიმი, დავით მარინაშვილი კვიციანი წინა ვლადიმირის სახელობის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის კურსდამთავრებული. საქართველოს ეროვნული მთლიანობისათვის მებრძოლი, ქართულ ცენზორისათა პოლიკის უფროსი ექიმი 1920 წლის თურქეთისა და სომხეთის წინააღმდეგ სამარირ მოქმედების მონაწილე, გენერალ მანზინაშვილის მკურნალი ექიმი.

დავით მარინაშვილი ექიმთა ერთ-ერთ პირველ თაობას ეკუთვნოდა და 40 წლის მანძილზე თავდაუზოგავად ემსახურა მშობელ ხალხს.

არ მიყვარდა სახანაგლოების და სამსახურების ცვლა. პირველი კლასიდან მეთერთმეტე კლასის ჩათვლით ესწავლებიდი თბილისის რკინიგზის №2 ვაჟთა საშუალო სკოლაში, რომელიც ქალაქის კოლორიტულ უბანში, დიდ ბუბუში, ვახუშტი ბაგრატიონის ქუჩაზე მდებარეობდა. მიუხედავად უშიშროი პერიოდისა სკოლაში, როგორც მოსწავლეთა, ასევე მასწავლებელთა მხრივ სიკეთე და სიყვარული სუფევდა. ესწავლე თვალწინ მიდგას ჩვენი უსაყვარლესი ქართული ენის მასწავლებლის კლიმენტი კაპანაძის გაოგნებული სახე: იმ დროს უმაღლესი ინსტანციის ბრძანებით სკოლაში ვაჟა-ფშაველას სწავლება აიკრძალა, მასწავლებელი შეგვტყობდა რამოდენიმე სანდო მოსწავლეს და გატაცებით გვიკითხავდა ვაჟას უკვდავ სტრიქონებს.

როგორი ღრსეული მამულიშვილები ვაიზარდენ ჩვენს კლასში, პროფესორი რიჩარდ მეტრეველი, გროსმისტერი ბუხუტი გურგენიძე, ოლიმპური ჩემპიონი რობერტ შველაცაძე და სხვა.

ანიკ როგორ შეიძლებოდა იმდროინდელ თბილისში ბოროტებას ეხეიმა, როდესაც ყოველდღიურად ვხვდებოდით მღვდნოვის პროსპექტზე მოსიერნი გალაკტიონს, ხოლო რუსთაველის პროსპექტზე კი ჩოხა-ახალუხში გამონყოფილი, ქართული სიტყვის დიდოსტატი, კონსტანტინე გამსახურდია დაბრძანდებოდა. ვერ ვცილობდი რუსთაველსა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრებს, სადაც გე-

ნიალური მსახიობები მოღვენობდნენ: აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, ვერიკო ანჯაფარიძე, ვასო გომიშვილი, სერგო ზაქარაძე, ჟორა შავგულიძე და მრავალი სხვა.

სკოლის დამთავრებისთანავე 1952 წელს ჩავირიცხე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიულ ფაკულტეტზე. აქაც საოცარი სამყარო დამხვდა, შედეგობად განგებამ მომიჩინა ქართული უნივერსიტეტის ფუძემდებლები, დიდი ივანე ჯავახიშვილის თანამებრძოლები: აკადემიკოსები ალექსანდრე ავაშიანი, ვლადიმერ ჟღნბი, ზაქარია მისიურაძე და სხვანი.

მუშაობის დაწყების შემდეგ ბედმა კვლავ გამანებივრა: მე საქმიანი ურთიერთობა მქონდა ქართული პედიატრიის ყველა კორფესთან: დიდ მეცნიერთან და პრაქტიკოსთან, პროფესორ მარიამ ბოკურიასთან, საოცრად მზრუნველ, მაგრამ მკაცრ პროფესორ ფელციტა მთიათქსთან, პროფესორ ნიკაბორ ირაკლი რცხილაძესთან, მაღალი ადამიანური თვისებების მქონე აკადემიკოსი არტემიან ზარდავასთან, საოცრად დიდგულ და პატივსაცემ პროფესორ ვლადიმერ თაბაქაძესთან, ურდულირებულ და ნიჭიერ პროფესორ ნოდარ ხერხულიძესთან, ყველასათვის საყვარელი, დიდებულ ადამიანთან და პროფესიონალითან პროფესორ მერი გელოვანთან.

ამ ადამიანების მიმართ გამაჩნია საოცარი მადლიერების გრძობა. მაიტი დამსახურებათა შუკი რაიმე თეორიული ან პრაქტიკული ცოდნა გამაჩნია. ცალკე მინდა გამოვყო ჩემი ურთიერთობა უფროს მეგობართან და მასწავლებელთან, მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერ, პროფესორ იოსებ კვაჭაძესთან. ჩვენმა ხანგრძლივმა თანამშრომლობამ ბევრი სასარგებლო ნაყოფი გამოიღო. 1969 წელს ბატონმა იოსებ კვაჭაძემ, ბატონმა მინა ჩუქუშავაძემ და მე საქართველოში პირველად ჰიდროცეფალით და დაუნთხი დაავადებით შეპყრობილ ახალშობილის ზურგის ტვინის სითხეში გამოვყავით პარაზიტი ტოქსოლაზმა გონდი. პირველად ჩვენს მიერ იქნა ყურადღება გამახვილებული იმ ფაქტზე, რომ თანდაყოლილი ინფექციური საქართველოს რე-

სპუბლიკისათვის უცხო არაა და იგი დიდ საფრთხეს უქმნის ერის მომავალს. ეს მოსაზრება ნახევარი საუკუნით უსწრებდა წინ თანდაყოლილი ინფექციების დღევანდელ ბუმს.

1972 წლიდან კათედრაზე დავინყე რეგულარული ჯგუფის დაავადებების კლინიკის, იმუნოლოგიისა და იმუნოგენეტიკის საკითხების შესწავლა. ამ საკითხზე გამოქვეყნებულმა შრომებმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვეს.

ჩემს მიერ ბატონ იოსებ კვაჭაძესთან ერთად რესპუბლიკაში პირველად აღწერილია 10 ახალი სინდრომი და დაავადება. დასტაბუღებული მაქვს პედიატრიის აქტუალური პრობლემებისადმი მიძღვნილი 83 სამეცნიერო შრომა, რომელიც გამოქვეყნდაროგორც ჩვენში, ასევე ზეარგარეთ. ვარ სამი სახელმძღვანელოს ავტორთა კოლექტივის წევრი.

ძალზე მნიშვნელოვან ფაქტად მიმაჩნია ის ძალისხმევა, რის შედეგადაც საქართველოს პედიატრთა საზოგადოების პედიატრთა ასოციაციად გარდაქმნას, რის შემდეგ საქართველოს პედიატრთა საზოგადოების პედიატრთა ასოციაციის წევრებად მიიღეს. მაშინ მე ასოციაციის გენერალური მდივანი გახლდით.

1993 წელს თბილისის ბავშვთა №2 კლინიკურ საავადმყოფოს სათავეში ჩაუდგა გამორჩენილი მეცნიერი და კლინიციტი, პროფესორი მანანა ჟვანია. მე კი დირექტორის მოადგილე გახლდით. საავადმყოფო დარბეული და გაჩანაგებული იყო. ქალბატონ მანანას ხელმძღვანელობით მდგომარეობა გამოსწორდა. საბოლოოდ თი თსუს რექტორის აკადემიკოს რ. ხეცურიალის ძალიანსმეგობრული დახმავებით საავადმყოფო გადაკეთდა უნივერსიტეტის პედიატრიულ კლინიკად - დირექტორი პროფ. რ. კუტუბიძე. მასში თავმოყრილია ქართული პედიატრიული დარბის ძირითადი ძალები.

პროფესორმა მანანა ჟვანიამ თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე აღიწყო საქართველოს დავადებების და თანდაყოლილი ინფექციების შესწავლა. აღნიშნული საკითხი კათედრის ძირითადი თემატიკა გახდა.

თანდაყოლილ და მემკვიდრეობით დაავადებებს რამოდენიმე კონფერენცია მიუძღვნა სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდმა, რომელსაც წარმტებით ხელმძღვანელობს ბატონი იოსების

ღირსეული მონაწილე, პროფესორი გიორგი ჩახუნაშვილი, ფონდის მდივანი მე გახლავართ.

რაც შეეხება სამედიცინო და საკონსულტაციო მუშაობას, მას ინსტიტუტში სწავლების პერიოდთან ვენევი. აღნიშნული მუშაობა პროფ. ი. კვაჭაძემ მაღალ დონეზე აიყვანა, ადრე თუ იგი ერთეული ენთუზიასტების მხრებზე გადადიოდა, დღეს სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდმა გ. ჩახუნაშვილის ხელმძღვანელობით საკონსულტაციო მუშაობა გააჩინა მთელ საქართველოში, რომელშიაც მონაწილეობს ყველა მოქმედი მაღალკვალიფიციური ქართველი პედაგოგი.

ასევე აქტიურად ვმონაწილეობ მშობელთა მზრუნველობის მოვლელულ ბავშვთა საკონსულტაციო მუშაობაში. წლების განმავლობაში ვიყავი თბილისის რკინიგზის ბავშვთა საავადმყოფოს, თბილისის ბავშვთა IV პოლიკლინიკის, თბილისის დედათა და ბავშვთა სამკურნალო-პროფულტაციო ცენტრის კონსულტანტი.

თამამად შემძილა ვთქვა, რომ ჩემი ხანგრძლივი საქმიანი მოღვაწეობის მანძილზე 30 ათასზე მეტ ბავშვს ჩაუტარე კონსულტაცია ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე.

ცხოვრებაში ყველაზე მკაცრი მსჯელობა საკუთარი სინდისია. მოღვაწეობის 43 წლის გადასახედიად ადამიანი, უნდა თუ არა, აუტვილბლად დაუტყდამს კითხვას საკუთარ თავს: რისთვის იცხოვრე, საერთოდ ღირდა თუ არა მისი ამქვეყნად მოსვლა?

ამ კითხვაზე პასუხი ორგვარია: პირველი - კმაყოფილების გრძობა, უამრავი მადლიერი პაციენტი, მადლიერი სტუდენტები, სამეცნიერო თუ პრაქტიკული წარმატებების სიხარული; მეორე მხრივ კი ეჭვის ჭია გარდნის, ამონურე თუ არა მენი შესაძლებლობები, გაილეთ თუ არა ყველაფერი სამშობლოსათვის? პასუხი ხალხს, მომავალს ეკუთვნის.

**პ.ს. ბატონო თამაზა თაბატაშვილი, რომ ჩვენთან ახლოსაა თბილისი უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის კურსდამთავრებული. საქართველოს ეროვნული მთლიანობისათვის მებრძოლი, ქართულ ცენზორისათა პოლიკის უფროსი ექიმი 1920 წლის თურქეთისა და სომხეთის წინააღმდეგ სამარირ მოქმედების მონაწილე, გენერალ მანზინაშვილის მკურნალი ექიმი.**

ირაკლი ხიციანიშვილის განხილვა



სულ რაღაც რამოდენიმე თვეა გასული. რაც გარდაიცვალა ცნობილი პედიატრი, საქართველოს პედიატრიული სკოლის თვალწინით წარმომადგენელი პროფესორი ირაკლი ციციშვილი. ბატონი ირაკლი იმ მუდკოსთა პლადას განეკუთვნება, ვინც თავისი დაუღალავი შრომით ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა საქართველოს პედიატრიული სამსახურის განვითარებაში. დღეს მისი ყველა ახლობელი და მეგობარი დანადგლიანებული შევიკრიბებით ირაკლის საფლავთან. ცრემლით მივიფონებთ მის

მიერ განვლილ მშოკილო გზას და ვლოცვით, რომ მისი ღამაში სული სასუფევლოში ახოფაოს უფადა. მისაგონარო კი საზოგადოებას მან მართლაც ბევრი დაუტოვა.

ბატონი ირაკლი ციციშვილი დაიბადა 1922 წლის 12 სექტემბერს ღრმად ვერტიკულ ინტელიგენტის ოჯახში. მამა სამხედრო ოფიცერი იყო, ხოლო დედა - ცნობილი ექიმი. მეან-გინეკოლოგი ოჯახის დიდიმ ტრადიციულმა ადამიანებმა და აღზრდის სწორმა მიდგომამ გააღწია იქინა ბატონი ირაკლის

პროფესორის წამოყვანებაზე საქართველოს პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე თავის ერთ-ერთი კანონიკოს ადინიანას: „როგორც შეიცვალა მენსა საეპარქოსო, ისე იქნება შენი ცხოვრება“. ბატონმა ირაკლიმ სწავლა დაიწყო თბილისის მე-18 საშუალო სკოლაში. მაგრამ 1937 წელს, მასობრივი რეპრესიებში მიხვდა მისი მამა და ოჯახის რამდენიმე წევრი. პროტესტის ნიშნად, ბატონმა ირაკლიმ ამხანაგბითან ერთად ფარული ანტისაბჭოთა ორგანიზაცია წამოაყვალა, რომელიც 1 წლის განმავლობაში ფუნქციონირებდა. შემდეგ, დასმენის გამო, ამ ორგანიზაციის წევრები დაიპირეს და 13 თვის განმავლო-





ბაში პატივობაში აცოფვს. ციხიდან გამოსვლის შემდეგ, ბატონი ირაკლი 1941 წ. წარჩინებით ამთავრებს თბილისის 25-ე სკოლას და იმავე წელს სწავლას აგრძელებს თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტში. 1946 წელს, უკვე დიპლომირებული ექიმი, მუშაობას იწყებს სამედიცინო ინსტიტუტის საფეხურებზე პედიატრიის კათედრაზე პროფესორ ვლადიმერ თოხაძის ხელმძღვანელობით. აქ მან განწყო დიდი გზა ექიმი ორდინატორიდან კათედრის პროფესორამდე. კლინიკაში მუშაობის პერიოდში ბატონმა ირაკლიმ დიდი ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება შეიძინა. მას მუდამ ფაქიზი დამოკიდებულება ჰქონდა თავის პატარა პაციენტებთან და მომხსენებელ გავლენას ახდენდა მათზე. მას არასოდეს დაუშურებია სიყვარული, ხიბლი და ძალისხმევა თავისი პაციენტების ჯანმრთელობისათვის, ასევე უშურველად გადასცემდა თავის უიღვს პროფესორ გამოცდილებას ახალგაზრდა კოლეგებისა და მოწაფეების. ბატონი ირაკლი უპირატესობას ექიმის ზნეობრივ პრინციპებს ანიჭებდა. მას ღრმად სწამდა, რომ ადამიანი ვერ გახდება ჯეშმარიტი ექიმი, თუ იმათეთვე არ ჩამოყალიბდა, როგორც სანიშნო მოქალაქე, სპირატი მსახური თავისი ერისა.

ირაკლი ციციშვილი იყო ჩვენი საზოგადოებრივი ბრწყინვალე წარმომადგენელი, კეთილშეგობარ, პრინციპული, შესანიშნავი პედაგოგი, პრაქტიკოსი ექიმი და მეცნიერი. განსაკუთრებით ხაზი უნდა გასვას მისი, როგორც ქვეყნიშობის, თვისებებს. კაცი, რომელიც სულ იმის ფიქრში იყო, როგორ დახმარებოდა გაჭირვებულ ადამიანებს, თავისი საკუთარი ნაღ-

ვაწის თითქმის ნახევარი იგი და მისი შემდეგ, ქალბატონი დიდა, ამ კითხვებში ბიბლიურ საქმეს ახმარდნენ. ბატონი ირაკლის საქმიანობიდან გამომდინარე, იგი იყო ნამდვილი სახალხო ექიმი. შეიძლება იტყვას რომ საქართველოს ბარ-



სა და მათში ძველად მოიხებებოდა ოჯახი, რომლის ერთ წევრს მაინც არ შეეხოდა მისი თბილი ხელი, არ ყოფილიყო მისი პაციენტი. ბატონი ირაკლის ხანგრძლივი ცხოვრება ყოველთვის ია-გარეთი არ ყოფილა მიუხედი, მას ხშირად უხდებოდა მუშაობა ურთულეს პირობებში. თუხრდაც ავიღოთ საქართველოში არსებული ვითარება, როდესაც პედიატრულ სამსახურს ძალიან უჭირდა, ის, რო-

გორც ერთგული ჯარისკაცი, ყოველთვის იბედა თავისი საქმის სადარჯოზე მის მიმართ დაკისრებულ ვალდებულებებს პირნათლად ასრულებდა. მომაკვლის იმედი არ დაუკარგავს, ფარ-ხმალი არასოდეს დაუყურია. წინ მისიწრაფოდა

და ნათლად მომავალს შენატოდა. ბატონი ირაკლი იყო საქართველოს პედიატრიული აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და მისი შეუცვლელი პრეზიდენტი, თბილისის სახ. სამედიცინო უნივერსიტეტის კათედრის პროფესორი და პედიატრული


ფაკულტეტის დეკანი. მცირე ხნის განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს პედიატრიის ს/კ ინსტიტუტს, იყო მრავალი დარღობრივი ასოციაციის საპარტიო წევრი და სხვა. ბატონი ირაკლი თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის დღეებში მოწვეულებული იყო ღირსებისა და დაჯილდოებული იყო ღირსებისა და ბრწყინვალეების ორდენებით. მას საქართველოში პირველად გაუხსნეს მისი სახელობის ვარსკვლავი, ბავშვთა ახალ კონიკას მაინიგს ირაკლი ციციშვილის სახელი. გენდა გაიხსენი, რომ ეს დონისძიება გასული წლის დეკემბრის ბოლოს ჩატარდა, რის შემდეგაც გამიზნა ვაშში, რომელსაც ესწრებოდნენ ოჯახის წევრები ახლო ნათესავები, მეგობრები და კლინიკის თანამშრომლები. ბატონმა ირაკლიმ იმ საღამოს ყველას უწილადა გულწრფელი სიყვარული, ყველას მიუყვრა. ფაქტობრივად, ეს ადამიანი საზოგადოებასთან და ახლოობლებთან მისი გამოსამშვიობებელი უკანასკნელი საღამო.

წავიდა ჩვენგან გულმსურვალე მამულიშვილი, კაცთმოყვარეობითა და ღირსებებით გამოირჩეული, ყველასგან ახლოდებული პროფესორი, ნამდვილი ინტელექტუალი, ბრწყინვალე მეცნიერი, მისაბაძი მამა, მზრუნველი ბაბა და საიმეო მეგობარი.

ბატონი ირაკლი სიკვდილის წინ მივიდა სამსახურში, სამუშაო კაბინეტში წაიკვია თიერი ხალხით, რომელსაც ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე არასოდეს სცხვებია შვიი დაქა და საკუთარი მაციდთან გაწურება სურთაყო სული.

დრო გავა, ირაკლი ციციშვილის სიზნა მარადიული იქნება, მადლიერად ადამიანების მიერ დაწოებულ სახეთელი მუდამ იცავაგებს მისი სიყვარულისა და სიხვნის სიმბოლოდ.

საქართველოს პედიატრთა ასოციაციის სახელით პროფესორი ანაბერიძე სპეხერაძე-კოპაძე



უმიკაშვილი ნიკოლოზ დავითის ძე, დაიბადა ქ. თბილისში 1923 წლის 18 იანვარს, მოსამსახურის ოჯახში. ვარსკვლავი 1971 წლიდან. 1930 წელს დაიწყო სწავლა ქ. თბილისის მე-19 საშუალო სკოლაში, სადაც დაამთავრა 10 კლასი წარჩინებით 1941 წელს. 1941 წელს განავარაძე სწავლა ქ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე. 1946 წელს დაამთავრა ქობილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. 1946 წლის დეკემბრის თვიდან დაიწყო მუშაობა გორის რაიონის სოფელ დივის საექიმო უბნის გაიკის თანამდებობაზე. სადაც ემუშაობდა 1948 წლამდე. 1948 წლის 23 მარტიდან ამავე წლის 15 მაისამდე ემუ-

# ავტობიოგრაფია

შობიდი ქ. თბილისი 26 კომისრის სახ. რაიონის ჯანმრთელობის განყოფილების რაიონის პედიატრად. 1948 წლის 15 მაისიდან ამავე რაიონის მე-7 ბავშვთა კონსულტაციის უბნის პედიატრად. კონსულტაციაში მუშაობის პარალელურად ქალაქის პირველი კლინიკურ საავადმყოფოს ბავშვთა თერაპიულ განყოფილებაში. 1955 წლის აპრილიდან 1957 წლის აპრილამდე ემუშაობდა იმავე საავადმყოფოსთან გაერთიანებულ პირველ ბავშვთა პოლიკლინიკაში უბნის პედიატრად. 1957 წლის აპრილიდან 1960 წლის თებერვამდე ემუშაობდა იმავე საავადმყოფოსთან გაერთიანებულ მეორე ბავშვთა პოლიკლინიკის პედიატრული განყოფილების გამგედ. 1960 წლის თებერვლიდან გადმოვიწინდ ვიქინი საავადმყოფოს ბავშვთა თერაპიული განყოფილების ორდინატორად, ხოლო 1962 წლის იანვრიდან ამავე განყოფილების გამგედ. 1963 წლის 20 სექტემბრიდან საავადმყოფოში გაიხსნა მეორე ბავშვთა თერაპიული განყოფილება, სადაც დავითნი მუშაობდა განყოფილების გამგედ. 1969 წლის 10 თებერვლიდან გადმოვიწინდ ვიქინი პედიატრიის სამედიცინო კვლევის ინსტიტუტში დირექტორის მოადგილედ სამკურნალო დარგში. 1964 წლის 8 აგვისტოდან ჩემი ძირითადი სამსახურის პარალელურად ემუშაობდი ქ. თბილისის ჯანდაცვის სამარ-

თველოს ქალაქის მთავარი პედიატრის თანამდებობაზე. ჩემი მუშაობის მანძილზე გავიარე კვალიფიკაცია 1947 წლის 26 ნოემბრიდან 13 თებერვამდე ექიმთა დახვედრების ინსტიტუტში. 1950 წლის 27 თებერვლიდან 27 ივლისამდე და 1954 წლის 3 იანვრიდან 4 აპრილამდე ქ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ბავშვთა სნეულებათა კათედრაზე პედიატრიის ციკლზე. 1959 წლის 1 ოქტომბრიდან 30 დეკემბრამდე ქ. მოსკოვში ექიმთა დახვედრების ცენტრალურ ინსტიტუტში. აკადემიკოს გ/ნ სპერანსკის თანადადრევი ასაკის ბავშვთა ფიზიოლოგიის და პათოლოგიის ციკლზე. 1961 წლის 16 თებერვლიდან 1 დეკემბრამდე ქობილისის სსრ ჯანდაცვის სამინისტროს აკადემიკოს მუხაძის სახელობის სისხლის გადასხმის ინსტიტუტში კორპორაციული პედაგოგიის ციკლზე. 1970 წელს გავიარე საატესტაციო კომისია და მომენიჭა მადლიერობითა უმაღლესი კა-

# ბახსენება

ტეგორის ექიმ-პედიატრის. საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 26 ოქტომბრის ბრძანებით მინიჭებული მამუქს საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის საპატიო ხელისხილი ექიმის საპატიო ბიჯან, დაჯილდოებული ვარ შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით. მამუქს მიღებული მადლობები საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის საქართველოს სსრ ჯანდაცვის მინისტრის ქალაქის ჯანმრთელობის სამართველოს და პედიატრიის ს/კ ინსტიტუტის ადმინისტრაციისგან. მამუქს სიგელები რესპუბლიკური პროფკავშირებიდან, ქალაქის პარტიის კომიტეტის ჯანდაცვის სამინისტროდან, ვარ პედიატრთა სამედიცინო საზოგადოების გამგეობის წევრი და ამავე საზოგადოების პასუხისმგებელი მდიანი, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს პედიატრიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი.





# იგი გელოდ 50 წლის იხეზოდა

## ბახსენება



**ლევან ურუშაძე (1964-2013)**

საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორი არაერთი გამოჩენილი მეცნიერი შეიძლება შეგხედოს. თუმცა, ახალი თანამშრომელი შიორად მათ ისე ჩაუვლიდა გვერდს, რომ ვერც ხედვით ამა. შემდეგ ხელ-ხელა იცნობ მათ და მიუხედავად იმისა, რომ იცებ კონკრეტულად რა სფეროს ემსახურებოდა მისი ბოლომდე ვერ ან არ უფიქრდები იმ ფაქტს, რომ შენ წინ შეიძლება ახლა გამოჩენილი მეცნიერი იდგეს... ან იქნებ უფიქრდები კიდევ, მაგრამ დრო არ გეოფინს, შენერდ და ესაუბრო, უკეთ გაიცნო ისინი. ეს უდროობაც იმდენად თანმდევი გახდა ჩვენი 21-ე საუკუნის ცხოვრების, რომ აღარც იმის დრო გვაქვს ამ თემაზე დიდხანს იფიქრო... სულ ბევრი საქმე გვაქვს და სულ ცდილობ ვეღვას სასწრაფოდ გასცე პასუხი, ან სასწრაფოდ დაასრულო ერთი საქმე, მეორეზე რომ გადახვიდ და ასე... ეს აღმიახებთ კი არიან შენ გვერდით და ვინ იცის, რამდენ შესაძლებლობას უშვებ ხელიდან, რომ მათგან უფრო მეტი ისწავლო, სიამოვნება მიიღო მათთან ურთიერთობით და იმაზე ცოტა უკეთესი გახდო ვიდრე მანამდე იყავი... ხანდახან წაით ფიქრები ამაზე და მერე თავს იმიედებ, რომ როცა იქნება მოიცლი და... ასე გადის დრო... მერე უცბად იტვობ ძალიან სამწუხარო ფაქტს - გარდაიცვალა...

22 თქობმეურს ბატონი დევან ურუშაძე გარდაიცვალა... ახეთი ამბის გაერცელებას წუთიერი მწუხარე დუმილი და შემდეგ ვეღვას ერთდროულად აღაპარაკება მოეგება: „გახსოვს, ბოლოს აქ რომ შემიიარა...“ „გახსოვს, დერეფანში რომ შეგხედა, ოკუპაციის მუხეუზთან დაკავშირებით რაღაც საქმე მქონდა...“ მერე წუხსარ: ნეტა რამე ხომ არ ვაწყენინე როდისმე, ან ყურადღება ხომ არ მოვაკელი... უცებ გაგიღვებს ფიქრად, რომ არ არის აღვილი მონაწილეობდე ექსპოზიციის ექსნაში, რომელიც შენი ქვეყნის უახლეს და ერთ-ერთ ვეღვალე ტრავიკულ პერიოდს ასახავს და ეს იმდენად კარგად გააკეთო, რომ, გარდა ინფორმაციისა, გადმოსცემდე მოელ იმ ტრავიზმს რაც

ნივნი ქვეყნის საბჭოთა ოკუპაციის ახლდა თან. გახსენდება, რომ სულ რამდენჯერმე ხარ ამ ექსპოზიციასზე ნამყოფი და ყოველთვის ცდილობთ თავი აარილო იქ შესვლას, რადგანაც ძნელია ხილო... ალბათ თვითონ რამდენს ზიდავდოა ფიქრობ მერე... რამდენს განიცდიდა და როგორ განიცდიდა ჩვენი ქვეყნის წარსულ, რომ შენ დათლიერებაც გიტირს და ის მოელ ამ მასალას სწავლობა, აანალიზებდა, ალაგებდა და ამზადებდა, რომ მერე ჩვენ გაეცნობოდი... და ხვდები, რომ იმ კაცის ფიზიკური

**1998 წელს დევან ურუშაძის თავისნობით დაფუძნდა მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ხელშეწყობის პანვერპული ასოციაციის „ეკონომეცნიერების“ საქართველოს ეროვნული სექცია. იყო მისი ჯერ აღმასრულებელი მდივანი, 2000-06 წლებში კი - თავმჯდომარე. ეკონომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექცია გულწრფელ თანადგომას უცხადებს მის ინტელიგენტ ოჯახს**

ტავი და მეინჯა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. 2006 წელს 26 მაისს დევან ურუშაძის აქტიური მონაწილეობით დაარსდა საქართველოს



შუა მასალა, რომლის საფუძველზეც შეიქმნა საბჭოთა ოკუპაციის ამსახველი ექსპოზიცია.

1998 წელს მისი თავისნობით დაფუძნდა მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ხელშეწყობის პანვერპული ასოციაციის „ეკონომეცნიერების“ საქართველოს ეროვნული სექცია. იყო მისი ჯერ აღმასრულებელი მდივანი, 2000-06 წლებში კი - თავმჯდომარე. 2007 წლიდან იგი არსებული იქნა სამეცნიერო კვლევათა ხელშეწყობის საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტად (IAPSR-აშშ). იყო დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის სამეცნიერო საზოგადოების (RAS), ხელმძღვანელებისა და მეცნიერების მსოფლიო აკადემიის (WAAS, აშშ); ახალი ზელანდიის სამეცნიერო საზოგადოებისა და კულტურათა შორის კვლევების საერთაშორისო აკადემიის (IAIR, აშშ) წევრი.



პარამეტრები დერეფანში, რომ გხვდებოდა ან რომ მოდიოდა ამა თუ იმ აღმინისტრაციულ საკითხთან დაკავშირებით არც მისი სასრული ასახულიყო და არც საწყილი-ის ბევრად უფრო მასტაბური პიროვნება იყო...

და აი, ზიხარ, ათეალოერებე მის პირად საქმეს და იცებ: ცნობილი ქართველი მეცნიერი, ეროვნული მუზეუმის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, საბჭოთა ოკუპაციის მუხეუზის კურატორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, დევან ზურაბის ძე ურუშაძე დაიბადა 1964 წლის 7 თებერვალს ქალაქ თბილისში. 1986 წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავა-



ხიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის ქვეყნათმცოდნეობის განყოფილება. 2006 წელს, ამავე უნივერსიტეტში დაიცვა დისერ-

ერონული მუხეუზის საბჭოთა ოკუპაციის მუხეუმი. როგორც მეცნიერ-კონსულტანტმა რამდენიმე თვის განმავლობაში იმუშავა სხვადასხვა არქივში - მოიხილა და დაამუ-

შეის ისტორიის, საქართველოს 1801-1917 და 1921-1991 წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიის, ქართული პოლიტიკუ ემიგრაციის ისტორიის საკვანძო სა-

კითხვებზე გამოქვეყნებული 130-მდე სამეცნიერო შრომის, მათ შორის 7 მონოგრაფიის, ავტორი. მასვე ეკუთვნის ქართულ პერიოდიკაში გამოქვეყნებული 300-ზე მეტი პუბლიცისტური წერილი. მონაწილეობდა ინტერნეტ-ენციკლოპედიების - „ეკონომის“ და „ეკიპედიის“ ქართული ვერსიის შექმნაში, სადაც გამოქვეყნდა მისი 30 ტერმინ-სტატია.

დევან ურუშაძე 2006 წელს მიენიჭა ისტორიულ კვლევათა საერთაშორისო აკადემიის საპატიო მდივანის წოდება და გენერალური და დოქტორ მენტურ მეცნიერებათა საპატიო მეცნიერის წოდება აშშ-ში. 2000 წელს „ჟინ ვინაა ამერიკაში“ მიერ მომზადდა საკვილადური გამოცემა სადაც შევიდა დევან ურუშაძის ბიოგრაფია.

ფურცლავ საქალდეშო მოთავსებულ ატობიოგრაფიის,

**მაღლიაზაპის სიგალი**

საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორი

ლევან ურუშაძის ბიოგრაფია

ავტორი: ივანე ვინაა

გამომცემი: „ჯინ ვინაა ამერიკაში“

2006 წელი

დიკლომებს, საპატიო სიგალებს, მისადმი მოწერილ ღია წერილებს, ჯილდოებს, წოდებების ნუსხას და თვალწინ ცოცხლდება უაღრესად საინტერესო პიროვნება და მეცნიერი. გეკვირს კიდევ, რომ საქმიან ახალგაზრდა ამდენი რამე მოასწრო და გულში გვეუბნება, რომ არა ეს ტრავიკული ავტობიოგრაფია, დევან ურუშაძე კიდევ უფრო მეტ ნაშრომს გამოაქვეყნებდა და კიდევ ბევრჯერ წარმოაჩენდა ჩვენს ქვეყანას... შემდეგ აგროვებ მაგიდაზე გაფანტულ ფურცლებს და აბრუნებ პირად საქმეში... უცნაური და მძიმე განცდაა, როდესაც ათეალოერებ ადამიანის ცხოვრების ფურცლებს, სადაც მარტვიად, ქრონოლოგიური მიმდევრობითაა დალაგებული მნიშვნელოვანი თარიღები... ამ თარიღებს უკან კი დგას მეცნიერი, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ წვენ გვერით იყო...

**ნათია ხულუზაური**  
საქართველოს ეროვნული მუზეუმის მონაბე(IV)  
49-8.2013.620-622გგ





# საქართველოში მედიცინის დარგში მინიჭებული და უტინიკებში გახსნილი „ბრწყინვალეების ვარსკვლავი“



2010-11 წელი  
(პედიატრის – ირ. ციციშვილის – „ბავშვთა ახალ კლინიკაში“)



2012-13 წელი  
(ქირურგის – ლ. ჭაჭიაშვილის – „რკინიგზის საავადმყოფოში“ – დიღომში)



2013-14 წელი  
(ნეიროქირურგის – შ.ხევსურაიანის – „№1 საავადმყოფოს ნეიროქირურგიულ დეპარტამენტში“)



**ევექსი**

სამედიცინო კორპორაცია

„საპედიცინო კორპორაცია ევექსი“

ირაკლი ციციშვილის  
სახ. ბავშვთა ახალი კლინიკა

თბილისი,  
ლუბლიანას ქ. №21.  
(დიღომი)



**ევექსი**

ბაზილიანაული უაქანის ანოლაქტაბი





## სპერექსი ცეფაკლორი

## II თაობის ცეფალოსპორინი



**მოზრდილებისთვის** სადღეღამისო დოზა შეადგენს სხეულის მასის მიხედვით - 10-15 მგ/კგ გაყოფილი 2-4 მიღებაზე ჭამის დროს ან შემდეგ. საშუალო სიმძიმის ინფექციების დროს პრეპარატი მიიღება 250 მგ 3-ჯერ დღეში (ყოველ 8 სთ-ში), მძიმედ მიმდინარე ინფექციების დროს - 500 მგ 3-ჯერ დღეში (პნევმონია, შუა ყურის მწვავე ანთება). მოზრდილების მინიმალური სადღეღამისო თერაპიული დოზაა 750 მგ, მაქსიმალური რეკომენდებული დოზა - 2 გ, მაქსიმალური დასაშვები დოზა - 4 გ. მკურნალობის კურსი შეადგენს საშუალოდ 7-10 დღეს.

**6 წლამდე ასაკის ბავშვებში** რეკომენდებულია სპერექსის სუსპენზიის სახით დანიშვნა. ბავშვებში საშუალო სიმძიმის ინფექციების სამკურნალოდ სპერექსი ინიშნება **20-40 მგ/კგ** დღეში გაყოფილი 2 ან 3 მიღებაზე. მაქსიმალური დასაშვები სადღეღამისო დოზაა 1 გ. 1 თვიდან 1 წლამდე (9 კგ) - 2.5 მლ 3-ჯერ დღეში, 1 წლიდან 5 წლამდე (9-18 კგ) - 5 მლ 3-ჯერ დღეში **სუსპენზიის მომზადების წესი:** ფლაკონის შიგთავსს დაამატეთ გადაუღებელი, გაცივებული წყალი ფლაკონზე აღნიშნულ ზოლამდე. მიიღება ნითელი ფერის სუსპენზია ჟოლოს არომატით. გამოყენების წინ შეანჯღრიეთ!

სუსპენზია გამოიყენება მომზადებიდან არა უმეტეს 2 კვირის განმავლობაში. მჭიდროდ დახურულ ფლაკონს მზა სუსპენზიით ინახება მაცივარში 2-8°C ტემპერატურაზე. დაუშვებელია გაყინვა. **ბამოშვების ფორმა:** კაფსულები 250 მგ. №10 ფხვნილი პერორალური სუსპენზიის მოსამზადებლად 125 მგ/5 მლ. 60მლ ფლაკონი.

## კვადიმექსი ცეფოდოქსიმი

## III თაობის ცეფალოსპორინი



**მიღების წესი და დოზირება:** 5 თვიდან 13 წლამდე ასაკის ბავშვებში კვადიმექსი ინიშნება 5-10 მგ/კგ-ზე 12 სთ-ში ერთხელ. მაქსიმალური სადღეღამისო დოზა არ უნდა აღემატებოდეს 400 მგ-ს. მკურნალობის კურსის ხარგრძლივობა - 5-10 დღე.

**13 წლის ასაკის ზემოთ ბავშვებსა და მოზრდილებში** კვადიმექსი ინიშნება 100-400 მგ. 12 სთ-ში ერთხელ. მკურნალობის კურსის ხარგრძლივობა - 7-14 დღე. რეკომენდებულია კვადიმექსის ტაბლეტის მიღება საკვებთან ერთად. სუსპენზიის მიღება კვებთან დაკავშირებული არ არის. **ბამოშვების ფორმა:** ფხვნილი პერორალური სუსპენზიის მოსამზადებლად 50მგ/5მლ. 30 მლ ფლაკონი. ტაბლეტები 100 მგ, 200 მგ. №10.

## როქსიტასი-ავერსი როქსითრომიცინი



### როქსიტასის დოზირება

სხეულის მასა	რეკომენდებული სადღეღამისო დოზა
40 კგ-ზე მეტი	150 მგ (1 ტაბლეტი) 2-ჯერ დღეში ან 300 მგ (2 ტაბლეტი) ერთხელ დღეში
24-40 კგ	100 მგ (10 მლ სუსპენზია) 2-ჯერ დღეში
12-23 კგ	50 მგ (5 მლ სუსპენზია) 2-ჯერ დღეში
6-11 კგ	25 მგ (2.5 მლ სუსპენზია) 2-ჯერ დღეში

ტაბლეტები: მიიღება დაუღეჭავად, საკმარისი რაოდენობის წყალთან ერთად, ჭამამდე დაახლოებით 15 წთ-ით ადრე. სუსპენზია: 2 თვიდან 4 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის რეკომენდებულია როქსითრომიცინის სუსპენზიის სახით მიღება. სუსპენზია მიიღება პერორალურად, ჭამამდე დაახლოებით 15 წთ-ით ადრე. მიღების წინ შეანჯღრიეთ! **ბამოშვების ფორმა:** როქსიტასი-ავერსი 150 მგ №10 ტაბლეტი; როქსიტასი-ავერსი 50 მგ/5 მლ 30 მლ სუსპენზია.

შპს "ავერსი-რაქციონალი", საქართველო.  
საინფორმაციო სამსახური: 967 227  
www.aversi.ge

